USAID | GEORGIA
FROM THE AMERICAN PEOPLE

STRAWBERRY PRODUCTION MANUAL

Georgia New Economic Opportunities Initiative

ეს ნაშრომი ლიცენზირებულია არაკომერციული საერთაშორისო ლიცენზიის Creative Commons Attribution-NonCommercial 4.0 International License მიერ. ლიცენზიის ასლი მოიპოვება ამ ვებ- გვერდზე https://creativecommons.org/licenses/by-nc/4.0/

ამ ლიცენზიით საშუალება გეძლევათ:

- ნაშრომის გავრცელების ნებისმიერი ფორმით ან საშუალებით
- ნაშრომის ადაპტირების და გარდაქმნის

პირობები :

- ატრიბუცია: ამ ლიცენზიის გამოყენების შემთხვევაში ლიცენზიის ელექტრონული გვერდი უნდა იყოს მითითებული. ამ ნაშრომის გავრცელებით შთაბეჭდილება არ უნდა შეიქმნას რომ ლიცენზორი მხარს უჭერს თქვენს მიერ მასალის გამოყენებას.
- არაკომერციული ხასიათი. ამ მასალის კომერციული მიზნებისათვის გამოყენება დაუშვებელია.
- დამატებითი შეზღუდვები. მასალების ლიცენზიით დაშვებული გამოყენების კანონიერად შეზღუდვა დაუშვებელია.

უწყება :

- ლიცენზორის შეზღუდვები არ ვრცელდება ამ მასალის საჯაროდ ხელმისაწვდომ ელემენტებზე ან/და მასალის გამოყენებისათვის გამონაკლისის არსებობის შემთხვევაში.
- გარანტია არ აძლევა. ამ ლიცენზიამ შეიძლება არ მოგცეთ ყველა საჭირო ნებართვა მასალის მოხმარებისთვის. მაგალითად, სხვა უფლებებმა როგორიცაა საჯაროობა, კონფიდენციალურობა ან მორალური უფლებები, შეიძლება შეზღუდოს ამ მასალის გამოყენება.

This work is licensed under the Creative Commons Attribution-NonCommercial 4.0 International License. To view a copy of this license, visit https://creativecommons.org/licenses/by-nc/4.0/

Under this License

You are free to:

- Share: copy and redistribute the material in any medium or format
- Adapt: remix, transform, and build upon the material

Under the following terms:

- Attribution: You must give appropriate credit, provide a link to the license, and indicate if changes were made. You may do so in any reasonable manner, but not in any way that suggests the licensor endorses you or your use.
- Non-Commercial: You may not use the material for commercial purposes.
- No additional restrictions: You may not apply legal terms or technological measures that legally restrict others from doing anything the license permits.

Notices:

- You do not have to comply with the license for elements of the material in the public domain or where your use is permitted by an applicable exception or limitation.
- No warranties are given. The license may not give you all of the permissions necessary for your intended use. For example, other rights such as publicity, privacy, or moral rights may limit how you use the material.

დევიდ ვიჩა

მარწყვი

ფერმერის გზამკვლევი

USAID FROM THE AMERICAN PEOPLE | GEORGIA

დევიდ პიჩა

მარწყვი

ფერმერის გზამკვლევი

წინამდებარე პუბლიკაციის გამოცემა შესაძლებელი გახდა ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მიერ გაწეული დახმარების შედეგად. პუბლიკაცია შემუშავებულია USAID-ის ახალი ეკონომიკური შესაძლებლობების (NEO) ინიციატივის მიერ და მისი შეხედულებების გათვალისწინებით. პუბლიკაცია არ გამოხატავს ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოსა და ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის მოსაზრებებს.

თბილისი 2014

ავტორი: დ. პიჩა (ლუიზიანას უნივერსიტეტის მეხილეობის პროფესორი)
თარგმანი: ა. ადამია
რედაქტორი: ზ. ბობოქაშვილი (ასოცირებული პროფესორი)
გამოცემის კოორდინატორი: ე. შერმადინი (პროექტის კონსულტანტი)

© პირველი გამოცემა

მარწყვი/დევიდ პიჩა, რედ. ზ.ბობოქაშვილი, თბილისი, 2014.
60 გვ. ილუსტრაციებით – (ფერმერის გზამკვლევი), ქართულ ენაზე.

ISBN 978-9941-0-7102-7

გზამკვლევი განკუთვნილია მოცემულ სფეროში მომუშავე ფერმერების, აგრონომების, სპეციალისტების, მოყვარული მებაღეებისა და სხვა დაინტერესებული პირების ფართო წრისთვის.

USAID-ის ახალი ეკონომიკური შესაძლებლობების ინიციატივა – NEO
ნ. რამიშვილის ქუჩა # 6 ა
თბილისი 0179, საქართველო
ტელ: +995 32 225 05 61
ფაქსი: +995 32 225 05 41
office@georgianeo.ge
www.georgianeo.ge

სარჩევი

შესავალი	4
ადგილის შერჩევა	4
ნიადაგის მომზადება	8
პლანტაციის გაშენება	11
მარწყვის ჯიშები	16
ზამთარში მოყინვისგან დაცვა	17
მარწყვის მოყვანა დახურულ გრუნტში	20
ირიგაცია	21
განოყიერება	23
სტოლონების-პწკალების მოცილება	31
ივნისში მსხმოიარე მარწყვის პლანტაციაის	31
დამტვერვა	34
სარეველებთან ბრძოლა	34
მავნებლები	37
დაავადებები	44
მოსავლის აღება	56



შესავალი

მარწყვი (Fragaria ananassa) საქართველოში წარმოებულ ხილს შორის ერთ-ერთი პოტენციურად ყველაზე ძვირადღირებული კულტურაა. საქართველოს ნიადაგი და აგროკლიმატური პირობები ხელსაყრელ პირობებს ქმნის მარწყვის მოსაყვანად. შესაძლებელია მარწყვის მოყვანა თითქმის მთელი წლის განმავლობაში შესაბამისი ჯიშების, სხვადასხვა რეგიონის და განსხვავებული ტიპის სათბურების კომბინაციის პირობებში. გრძელვადიან პერიოდში მარწყვის მოყვანის მდგრადობისთვის საჭიროა ტექნოლოგიებისა და მოსავლის აღების შემდეგ დამუშავების ტექნიკის მუდმივი გაუმჯობესება, ამასთან ერთად, ახალი და გაუმჯობესებული ჯიშების გაშენება. მარწყვის სარეალიზაციო ბაზარი ძლიერ პერსპექტიულია როგორც ქვეყნის შიგნით, ისე, მის ფარგლებს გარეთ იმ მწარმოებლებისთვის, ვისაც შეუძლია უზრუნველყოს მაღალი ხარისხის მარწყვის სტაბილურად მიწოდება.

ამ გზამკვლევის მიზანია მარწყვის წარმოება-მოყვანის ტექნოლოგიის შესახებ სრულყოფილი ინფორმაციის მიწოდება დაინტერესებული პირებისთვის.

ადგილის შერჩევა

მარწყვის გასაშენებლად ადგილის შერჩევისას საჭიროა რამდენიმე ძირითადი ფაქტორის გათვალისწინება. ესენია: ნიადაგის ტიპი და ნაყოფიერება, pH-ის დონე, დრენაჟი, ქარისგან დაცვა, მზის სინათლე, წყლის ხელმისაწვდომობა და მოცემულ ადგილას მანამდე დარგული კულტურები. მარწყვის გასაშენებლად უნდა შეირჩეს მზიანი ადგილი. მარწყვი არ უნდა დაირგას ხეების რიგების გასწვრივ ან შენობების ჩრდილში. ნაკვეთზე უნდა იყოს სათანადო აერაცია. მიზანშეწონილი არ არის მარწყვის გაშენება ჩავარდნილ ტაფობებიან ნაკვეთზე, რათა არ ჩადგეს ნიადაგში ცივი ჰაერი და მარწყვი ყინვისგან არ დაზიანდეს.

უნდა მოერიდოთ ნიადაგს, სადაც მანამდე ძაღლყურძენასებრთა ოჯახის კულტურები (პომიდორი, კარტოფილი, წიწაკა, ბადრიჯანი) ან მარწყვი იყო გაშენებული. ეს ნიადაგი შეიძლება შეიცავდეს ვერტიცილიური ჭკნობის დაავადების გამომწვევ ორგანიზმს, რომელსაც შეუძლია ნიადაგში მრავალი წლის განმავლობაში არსებობა და რომლის მიმართ მარწყვი ძალიან მგრძნობიარეა. ასეთ ადგილებზე მარწყვის გაშენებისას ძალიან მნიშვნელოვანია ნიადაგის ფუმიგაცია. ასევე არ არის რეკომენდებული მარწყვის გაშენება ისეთ ადგილებში, რომლებიც მანამდე საძოვრად გამოიყენებოდა. ვინაიდან, ასეთი ნიადაგი, როგორც წესი, შეიცავს დიდი რაოდენობით ღრაჭებს, რომლებიც იკვებებიან მარწყვის ფესვებით. ამასთან, ადრე საძოვრებად გამოყენებულ ადგილებზე ხშირად მრავალწლიანი სარეველებია გავრცელებული. ასეთ ადგილებზე მარწყვის გაშენება უნდა გადაიდოს მინიმუმ 1 წლით, ღრაჭების პოპულაციების შესამცირებლად და მრავალწლიანი სარეველების კონტროლის მისაღწევად.

ნიადაგის შემოწმება

მარწყვის გასაშენებელი ნაკვეთის ნიადაგის ანალიზი უნდა ჩატარდეს დარგვამდე დიდი ხნით ადრე. უნდა შემოწმდეს pH-ის დონე, ორგანული ნივთიერებების შემცველობა, მარილიანობა, მაკრო და მიკროელემენტების შემცველობა და ნემატოდების პოპულაციების არსებობა. ანალიზისთვის ნიადაგს იღებენ მინდვრის სხვადასხვა ადგილიდან გაშენებამდე 1 წლის განმავლობაში (სურათი 1). ნიადაგთან დაკავშირებული პრობლემების გამოსწორება ყოველთვის ადვილია მარწყვის დარგვამდე, ვიდრე – შემდეგ. რეკომენდებულია ნიადაგის სულ მცირე 5 ნიმუშის აღება 1 ჰექტარი ფართობიდან. ნიადაგის ნიმუში უნდა აიღოთ ნიადაგის ზედა 15 სმ ფენიდან, რომელიც მოიცავს მარწყვის ფესვთა ზონის, დაახლოებით, 90%-ს.

სურათი 1. ინსტრუმენტი ნიადაგის ნიმუშის ასაღებად.

ნიადაგის ანალიზი, როგორც წესი, ტარდება კერძო ლაბორატორიებსა ან ინსტიტუტებში. სასურველია, ასევე, ნიადაგის pH-ის, მარილის შემცველობის და გარკვეული მინერალური ელემენტების საზომი მარტივი აპარატურის შეძენა.

ნიადაგის pH დონე

ნიადაგის pH-ის მაჩვენებელი დიდ მნიშვნელობას ახდენს მარწყვის საკვები ელემენტებით მომარაგებასა და სიძლიერეზე. მარწყვის ფესვთა ზონისთვის pH-ის ოპტიმალური მაჩვენებელია 6.5±0.5. pH-ის ამ ზღვრებისგან მნიშვნელოვნად განსხვავებული დონე უარყოფითად აისახება მცენარის სიძლიერეზე. ნიადაგის ოპტიმალური pH დონის პირობებში შეიქმნება ისეთი გარემო, რომელშიც მარწყვის ფესვები შეძლებენ ელემენტების სათანადოდ შეთვისებას (სურათი 2). მარწყვის ფესვთა სისტემის 75%-ზე მეტი ნიადაგის ზედა 15 სმ-ის ფენაშია.



სურათი 2. ნიადაგის pH-ის გავლენა საკვები ნივთიერებების ხელმისაწვდომობაზე. შედარებით ფართო ხაზები აღნიშნავს ხელმისაწვდომობის უფრო მაღალ დონეს.

თუ ნიადაგის ზედა 15 სმ ფენაში pH მაჩვენებელი 6.0-ზე ნაკლები ან 7.0-ზე მაღალია, შესაბამისად, საჭიროა წვრილმარცვლოვანი კირქვის ან გოგირდის დამატება ნიადაგის pH-ის მაჩვენებლის შესაცვლელად. ნიადაგის pH-ის დონის კორექტირება საკვები ნივთიერებების მართვის ერთ-ერთი ყველაზე ეფექტური მეთოდია მარწყვის ნარგავების ნაყოფიერების გასაუმჯობესებლად. ნიადაგის pH-ის დონის კორექტირება უნდა ჩატარდეს მარწყვის დარგვამდე. მარწყვის დარგვის შემდეგ ნიადაგის pH-ის დონის შეცვლა ძალიან რთულია.

ნიადაგის pH-ის მაჩვენებლის გაზომვა იოლად შეიძლება პორტატული pH-ის საზომი ხელსაწყოთი, რომელსაც აქვს სპეციალური ელექტროდი წყალბადის იონების კონცენტრაციის გასაზომად. ნიადაგის pH-ის გაზომვამდე pH-ის საზომი ხელსაწყო სათანადოდ უნდა დაკალიბრდეს. ნაკლებად ზუსტ შედეგებს მივიღებთ ფერებიანი ინდიკატორებით და ლაკმუსის ქაღალდით შემოწმებისას, თუმცა ნიადაგის pH-ის დასადგენად შესაძლებელია ამ მეთოდების გამოყენებაც.

ნიადაგის pH-ის დასადგენად ტარდება შემდეგი პროცედურა: 1 წილი ნიადაგი ერევა 1 წილ გამოხდილ/დეიონიზებულ წყალს, რომელსაც აქვს pH-ის ნეიტრალური დონე–7. ნიადაგის და წყლის ნარევი უნდა შეინჯღრეს, დაახლოებით, 1 წუთის განმავლობაში, შემდეგ კი დაიდგას დასალექად pH ელექტროდის ნარევში მოთავსებამდე არანაკლებ 30 წუთის განმავლობაში (სურათი 3). საზომ ინსტრუმენტზე დაიწერება ნიადაგის pH-ის მაჩვენებელი.

სურათი 3. ნიადაგის pH-ის საზომი პორტატული აპარატი.

ნიადაგის pH-ის შეცვლა

ნიადაგის pH-ის მაჩვენებელი შეიძლება, გაიზარდოს კირის დამატებით ან შემცირდეს ელემენტარული გოგირდის დამატებით. ეს დანამატები ნიადაგში უნდა შევიდეს მარწყვის დარგვამდე სულ მცირე რამდენიმე თვით ადრე. ნიადაგის pH-ის შესაცვლელად

კირის ან გოგირდის საჭირო რაოდენობა განისაზღვრება იმით, თუ რამდენად წვრილად არის ისინი დაფქული (მარცვლის ზომა) და ნიადაგის ბუფერულობით. მარცვლების დიდი რაოდენობა (60-100) მიანიშნებს წვრილად დაფქულ კირსა ან გოგირდზე, რომელიც უფრო სწრაფად შევა რეაქციაში ნიადაგის pH-ის შესაცვლელად. ნიადაგის ბუფერულობა კათიონების ცვლის უნარის (CEC) და არსებული ორგანული ნივთიერებების მოცულობის ფუნქციაა. მაღალი CEC-ის ან/და ორგანული ნივთიერებების მაღალი შემცველობის ნიადაგის ბუფერულობა უფრო მაღალია; ასეთ ნიადაგებზე საჭიროა უფრო დიდი რაოდენობით კირის ან გოგირდის დამატება pH-ის იმავე დონით ცვლილებისთვის.

ტუტოვან ნიადაგში (pH>7) წვრილმარცვლოვანი გოგირდი უნდა შეერიოს ნიადაგის ზედა 15 სმ ფენაში დარგვამდე სულ მცირე რამდენიმე თვით ადრე, pH-ის მაჩვენებლის ოპტიმალურ ზღვრამდე შესამცირებლად. ნიადაგის ცვლილება დარგვამდე ბევრად უფრო იოლია, ვიდრე დარგვის შემდეგ ნიადაგის pH-ის დონის მოდიფიკაცია. ნიადაგის ზედაპირზე მარცვლოვანი გოგირდის დამატებით შემცირდება მხოლოდ ზედა რამდენიმე სმ-ის pH-ის დონე. თუმცა, დროთა განმავლობაში, თანდათანობით შემცირდება pH-ის დონე ნიადაგის ღრმა ფენებშიც.

ქვემოთ მოყვანილ ცხრილში ნაჩვენებია წვრილმარცვლოვანი გოგირდის საჭირო რაოდენობა pH-ის 6.5-მდე შესამცირებლად სხვადასხვა სტრუქტურის ნიადაგში.

გოგორდი (ტონა ჰექტარზე) ან (კგ/10 კვ.მ)		
ნიადაგის ტექსტურა	pH 8.5 - 6.5	pH 7.5 - 6.5
ქვიშა	2.9	2.2
ქვიშნარი	2.3	1.8
თიხნარი	2.0	1.4
ლამოვანი თიხნარი	1.6	1.1
მძიმე თიხნარი	1.2	0.7

ელემენტარული გოგირდის გარდა, მიწის მჟავიანობის გასაზრდელად შეიძლება რკინის სულფატის გამოყენებაც. ეს მასალა ელემენტარულ გოგირდთან შედარებით უფრო სწრაფად შედის რეაქციაში, როგორც წესი, დამატებიდან 3-4 კვირაში. pH-ის 0.5 ერთეულით შესამცირებლად საჭიროა 36 კგ-ის დამატება 100 კვადრატულ მეტრზე. არ შეიძლება 100 კვადრატულ მეტრზე 40 კგ-ზე მეტი რკინის სულფატის დამატება.

ფოსფორმჟავის წვეთოვანი სარწყავი სისტემის მეშვეობით დამატება, ასევე, ხელს უწყობს ნიადაგის pH-ის დონის თანდათანობით შემცირებას. ელემენტარული გოგირდის შეტანასთან შედარებით, ნიადაგის მჟავიანობის გაზრდის ეს მეთოდი უფრო სწრაფი და ერთგვაროვანია. ფოსფორმჟავა, ასევე, ამარაგებს ნიადაგს ფოსფორით (P). დასამატებელი დოზა და ფოსფორმჟავას დამატების სიხშირე დამოკიდებულია წყლის წყაროზე, წყლის ნაკადზე, მორწყვის დროსა და ინჟექტორის სახეობაზე. ამას გარდა, სხვადასხვა ნიადაგს ფოსფორმჟავას განსხვავებული საჭიროება აქვს, pH-ის დონის, ბიკარბონატის და კარბონატის შემცველობის მიხედვით.

მჟავიან ნიადაგში, სადაც pH-ის დონე 6.0-ზე ნაკლებია, მარწყვის ოპტიმალური ზრდისთვის აუცილებელია ფესვთა სისტემაში ნიადაგის pH-ის 6.5±0.5-მდე გაზრდა. ეს სრულდება წვრილად დაფქული კირქვის (CaCO3), დოლომიტიანი კირქვის [CaMg (CO3) 2] ან ჰიდრატირებული კირის (CaOH2) დამატებით დარგვამდე, სულ ცოტა, რამდენიმე თვით ადრე, რათა მოესწროს ნიადაგის pH-ის დონის შეცვლა. დასამატებელი კირქვის რაოდენობა დამოკიდებულია ნიადაგის pH-ზე, ელექტროგამტარობა – CEC-ზე და ორგანული ნივთიერებების პროცენტულ შემცველობაზე. დაბალი CEC-ის მქონე ნიადაგის pH უფრო სწრაფად გაიზრდება მაღალი CEC მქონე ნიადაგთან შედარებით.

ქვემოთ მოყვანილ ცხრილში წარმოდგენილია წვრილმარცვლოვანი კირქვის საჭირო რაოდენობა სხვადასხვა სტრუქტურის ნიადაგში pH-ის მაჩვენებლის pH 6.5-მდე გასაზრდელად.

კირქვა (ტონა ჰექტარზე) ან (კილოგრამი 10 კვადრატულ მეტრზე)		
ნიადაგის ტექსტურა	pH 4.5-დან 6.5-მდე	pH 5.5-დან to 6.5-მდე
ქვიშა	2.8	1.5
ქვიშნარი	5.3	3.3
თიხნარი	7.5	4.3
ლამოვანი თიხნარი	8.7	5.0
მძიმე თიხნარი	10.5	5.7

კირი კარგად უნდა გაერიოს ნიადაგში როტოციული კულტივატორით, საუკეთესოა, სულ მცირე, 15 სმ სიღრმეზე. მარწყვის საუკეთესო ზრდის უზრუნველსაყოფად საჭიროა მთელ ნაკვეთზე კირის დამატება (სურათი 4).

სურათი 4. კირის ნიადაგში დამატება შერევამდე და მარწყვის დარგვამდე.

მარწყვი უნდა დაირგას კარგი დრენაჟის მქონე, ნაყოფიერ და ორგანული ელემენტების მაღალი შემცველობის (2-4%) მქონე ნიადაგში. წყლის დაწრეტა მარწყვის გასაშენებელი ნაკვეთის შერჩევისას ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტორია, ვინაიდან მარწყვის ფესვთა სისტემა შეიძლება რამდენიმე სახის სოკოვანი ლპობის დაავადებით დაზიანდეს. არასასურველია ცუდი დრენაჟის მქონე შეუღწევი შრის მქონე ნაკვეთები.

არსებობს მარწყვის გასაშენებლად ნაკვეთზე წყლის დაწრეტის შემოწმების მარტივი მეთოდი. გაზაფხულის დასაწყისში, როდესაც ნიადაგი წყლითაა გაჯერებული, მაგრამ არ არის გაყინული, დასარგვავ ფართობზე უნდა ამოიღოთ რამდენიმე ორმო, 75 სმ სიღრმის და 15 სმ სიგანის. ამოღებულ ხვრელში უნდა ჩაისხას, დაახლოებით, 20 ლიტრი წყალი და ერთი საათის შემდეგ შემოწმდეს. თუ ხვრელის ძირში წყალი არ გაიწოვა, ნიადაგი, სავარაუდოდ, არასაკმარისად იწრიტება და მეტისმეტად ტენიანია მარწყვის ოპტიმალური რაოდენობით მოსაყვანად.

მარწყვი უნდა დაირგას სწორ ან ოდნავ დაქანებულ ნაკვეთზე. ძალიან მნიშვნელოვანია ნარგავების გარშემო ჰაერის სათანადო მოძრაობა. ჰაერის მოძრაობა ამცირებს ტენიანობას მცენარეების გარშემო და ხელს უშლის ფოთლების დაავადების განვითარებისთის ხელსაყრელი პირობების შექმნას. ამას გარდა, ჰაერის მოძრაობა ამცირებს გაზაფხულზე მცენარეების მოყინვის საფრთხეს. როდესაც მცენარეები დარგულია შედარებით მაღალ, დაქანებულ ნაკვეთზე, ცივი ჰაერი მიემართება ქვევით, ნაკვეთის ყველაზე დაბალ შესაძლო წერტილში. იმის გამო, რომ ცივი ჰაერი დაგუბდება ყველაზე დაბალ წერტილში, ჰაერის სათანადო მოძრაობის პირობებში ნაკლებ სავარაუდოა გვიანი გაზაფხულის ყინვებით ნარგავების დაზიანება. მეორე მხრივ, საჭიროა მარწყვის დაცვა ძლიერი ქარისგან, რომელიც ამცირებს მცენარეთა სიძლიერეს.

ასევე, გასათვალისწინებელია ნარგავების განლაგების ექსპოზიცია. მარწყვისთვის, საზოგადოდ, უფრო ხელსაყრელია დაცული ჩრდილოეთის ფერდობები ქვეყნის შედარებით გრილ მხარეებში. შიდა ქართლში შეიძლება სამხრეთი ფერდობების გამოყენება, თუმცა ზამთარში დღის განმავლობაში მცენარეების ტემპერატურა შეიძლება მაღალი იყოს. იანვარ-თებერვლის პერიოდში არა ერთი

თბილი დღის გამო შეიძლება კვირტების ზრდის სტიმულირება, შემდეგ კი აქტიურ ცივ პერიოდში კვირტები შეიძლება დაზიანდეს მოყინვით, თუ მარწყვი სათანადოდ არ დაიფარა. მეორე მხრივ, სამეგრელოს შედარებით თბილი პირობები და სამხრეთი ფერდობები შეიძლება ხელსაყრელი იყოს მარწყვის გასაშენებლად ზამთრის პერიოდში, შესაბამისი მეთოდების გამოყენებითა და სათანადო კულტივარების დარგვით.

მარწყვი ძალიან მგრძნობიარეა ნიადაგში მარილის შემცველობაზე და არ უნდა დაირგას ნიადაგში, სადაც მარილის შემცველობა 1.5 დს/მ-ზე მაღალია. ისეთ ნაკვეთებზე, სადაც დაგროვილია მარილის დიდი მოცულობა, როგორც წესი, ზედაპირი დაფარულია მარილის თხელი თეთრი ქერქით (სურათი 5). ასეთ ნიადაგში მარწყვის დარგვა არ არის რეკომენდებული.

სურათი 5. მოთეთრო ქერქი ნიადაგის ზედაპირზე მიუთითებს ჭარბ მარილიანობაზე.

მარილიან ნიადაგში დარგულ მარწყვს დაეწყება ფოთლის კიდეების ქლოროზი, შეფერხებული ზრდა და ფესვების მოხმობა (სურათი 6). მარილის მაღალი კონცენტრაცია ფესვთა სისტემაში აფერხებს წყლის და საკვები ნივთიერებების შეწოვას. ფოთლებზე სიმპტომების გამოვლენამდე შეიძლება შესუსტდეს მცენარის სიძლიერე და დაფიქსირდეს მოსავლიანობის დანაკარგი. ნიადაგში მარილის მაღალმა კონცენტრაციამ მარწყვის მწარმოებლებს შეიძლება მნიშვნელოვანი ეკონომიკური ზარალი მიაყენოს.

სურათი 6. ფოთლის კიდეების ნეკროზი მარილით მოწამვლის ტიპიური სიმპტომია.

ნიადაგის მომზადება

მარწყვის დასარგავად შერჩეული ნიადაგი სათანადოდ უნდა მომზადდეს დარგვამდე დიდი ხნით ადრე. ეს მოიცავს მიწის დამუშავებას, მოხვნას და გაფხვიერებას. უნდა მივიღოთ ერთგვაროვანი კარგად გაფხვიერებული ნიადაგი, რომელსაც არ ექნება ქერქი და არ იქნება დატკეპნილი. დატკეპნის გამოსწორება შეიძლება ღრმა მოხვნით (30-დან 35 სმ სიღრმეზე). გარდა ამისა, გამოიყენება მრავალბოლოვანი ფენის გასაფხვიერებელი აღჭურვილობა („ჩიზელები“, „რიპერები“), რომელიც ნიადაგში 50-დან 60 სმ-მდე სიღრმეზე ჩადის, უზრუნველყოფს ნიადაგის აერაციას, გაფხვიერებას და დაარღვევს ნიადაგში არსებულ გამაგრებულ მკვრივ ფენებს – ორტშტაინებს (სურათი 7). ნიადაგის სათანადო მომზადება ძალიან მნიშვნელოვანია მარწყვის ფესვთა სისტემის კარგად განვითარებისთვის.

სურათი 7. გასაფხვიერებელი აღჭურვილობა გამოიყენება ნიადაგის აერაციისთვის და ორტშტაინის დასაშლელად.

ორგანული ნივთიერებები

მარწყვის მცენარის ზრდისთვის ძალიან სასარგებლოა კარგად კომპოსტირებული ორგანული სასუქის ან/და ცხოველების ნაკელის (ფრინველის, მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის, ცხვრის) სათანადო ნარევის დამატება გადარგვამდე. ორგანული ნივთიერება და ნაკელი ხელს უწყობს ნიადაგის ტექსტურის გაუმჯობესებას, წყლის შეღწევას და ტენიანობის ერთგვაროვნად განაწილებას ფესვთა სისტემაში, იგი, ასევე, საკვები ნივთიერებების ნელა გამოყოფის წყაროცაა. ორგანულ სასუქად შეიძლება გამოიყენოთ ჩალა, რომელშიც შერეულია ცხოველთა ნაკელი, მწვანე მცენარეულობა (სუდანურა, ჭვავი, საშემოდგომო ხორბალი) ან კომპოსტი (სურათი 8).

სურათი 8. მარწყვის დარგვამდე რიგში ან შემაღლებულ კვალში უნდა მოიყაროს დიდი რაოდენობით ორგანული სასუქი.

ორგანული სასუქი/ნაკელი უნდა შეერიოს დარგვამდე რიგში ან შემაღლებულ კვალში შემდეგი პროპორციით: 15-დან 30 ტონამდე ჰექტარზე. ნაკელი განოყიერების სისტემის მნიშვნელოვანი ნაწილია. სავარაუდოდ, სავეგეტაციო სეზონის განმავლობაში ერთ ჰექტარზე პირუტყვის ნაკელის 25 ტონის შეტანით გამოიყოფა 50 კგ-ზე მეტი აზოტი N.

ნიადაგის მიკროორგანიზმებით ორგანული ნივთიერებების ოპტიმალურად დასაშლელად საჭირო იქნება აზოტის დამატება, თუ შეტანილი ორგანული ნივთიერება პარკოსანი მცენარე არ არის. დაშლის ხელშესაწყობად ცხოველის ნაკელთან შერეული ჩალის ყოველ მეტრულ ტონაზე უნდა დაემატოს, დაახლოებით, 6 კგ აზოტი (N), არაპარკოსან ორგანულ ნივთიერებას ან სიდერატს კი - 12 კგ N. ქათმის ნაკელი ემატება შემოდგომაზე შემდეგი პროპორციით: 5-10 ტონა ყოველ ჰექტარზე. საუკეთესო შემთხვევაში, ორგანული სასუქი უნდა დაემატოს დარგვამდე, ზედა 10-15 სმ სიღრმეზე.

მარწყვის მოყვანა შესაძლებელია როგორც სწორ ნიადაგზე, ისე, შემაღლებულ კვლებზე. მეთოდის არჩევა დამოკიდებულია სხვადასხვა ფაქტორზე, მათ შორის, ნიადაგის სახეობაზე, დაწრეტის სისტემასა და ნიადაგის დასამუშავებელი ტექნიკის ხელმისაწვდომობაზე. სანერგეებში მარწყვს, ძირითადად, რგავენ სწორ ნიადაგზე.

შემაღლებული ბაზო-კვლების – „ბედების“ მომზადება

მარწყვის გაშენების ოპტიმალური მიდგომაა შემაღლებულ ბაზო კვლებზე გაშენება. როგორც წესი, მარწყვს რგავენ, დაახლოებით, 20 სანტიმეტრის სიმაღლის შემაღლებულ კვლებზე. ეს სამეგრელოს რეგიონისთვის მარწყვის საწარმოებელი რიგების მოწყობის რეკომენდებული მეთოდია. შემაღლებული კვლების გამოყენება ხელს უწყობს ადრეული მოსავალის აღებას, ნიადაგის კარგ დრენაჟს, მწერებთან და დაავადებებთან ბრძოლასა და უხვი მოსავლის აღებას. თუმცა, მეტისმეტად მძიმე ან თიხოვან ნიადაგზე არცთუ ისე ადვილია კარგი კვლის მოწყობა, ვინაიდან ასეთ ნიადაგში იოლად წარმოქმნება ბელტები ან გამაგრებული კოშტები.

ნიადაგის შესაბამისად მომზადება ძალზე მნიშვნელოვანია დასარგავი შემაღლებული ბაზო კვალის სათანადოდ ჩამოსაყალიბებლად. დასარგავი კვლების რიგების ფორმირებისთვის, როგორც წესი, გამოიყენება როტაციული კულტივატორები და „ბედების“ წარმომქმნელი მანქანა-იარაღები. შემაღლებულ ბაზო კვლებად მომზადებული, კარგად დამუშავებული ნიადაგი იდეალურია მარწყვის გადასარგავად (სურათი 9). ტექნიკის მიმწოდებელ კომპანიებს აქვთ სპეციალური მანქანები ასეთი ტიპის კვლების ფორმირებისთვის. მარწყვის კვლის სტანდარტული ზომებია 80 სმ სიგანის კვალი საფუძველთან, რომელიც 75 სმ სიგანისაა ზედა ნაწილში და 25 სმ სიმაღლის. ზედა ნაწილი კარგად ამობურცულია კარგი დრენაჟირებისთვის. მანძილი კვლების ცენტრებს შორის 1.5 მეტრია. კვლების ამაღლებები უნდა იყოს თანაბარი, რათა ხელი შეეწყოს მორწყვის ზრდის ერთგვაროვნებას. უსწორმასწორო კვლების შედეგად მცენარეებს განსხვავებული სიძლიერე ექნებათ.

სურათი 9. როტოვატორი/კვლის წარმოქმნელი მექანიზმით აღჭურვილი მანქანა, რომელიც ერთდროულად აფხვიერებს კვალს და ახდენს მის ფორმირებას.

ნიადაგის მულჩირება

შემაღლებული კვლის მომზადების შემდეგ საჭიროა მისი დაფარვა პოლიეთილენის ნიადაგის მულჩით ან ჩალით (სურათი 10). შავი პოლიეთილენის და ჩალის, ნამჯის მულჩს არაერთი უპირატესობა აქვს. ნიადაგის მულჩი აფერხებს დასარგავი კვლის შიგნით სარეველების ზრდას. მულჩი აუმჯობესებს ნიადაგის ტენიანობის კონტროლს, ამცირებს კვლიდან ტენის დაკარგვას და უზრუნველყოფს ტენიანობის ერთგვაროვნების გაუმჯობესებას წვეთოვანი სარწყავი სისტემის გამოყენებისას. ნიადაგის მულჩი, ასევე, ამცირებს ნიადაგის დატკეპნას და ძლიერი წვიმებით გამოწვეულ ეროზიას. ის ასევე ქმნის ბარიერს ნაყოფსა და ნიადაგს შორის, ამცირებს ნაყოფის ლპობას და უზრუნველყოფს ნაყოფის სუფთად შენახვას (სურათი 10). მარწყვის მოყვანისას აუცილებელია ნიადაგის მულჩის რომელიმე სახეობის გამოყენება.

სურათი 10. მულჩი იცავს მარწყვს ნიადაგთან კონტაქტისგან და ნაყოფის – შესაძლო ლპობისგან.

მარწყვის მოსაყვანად გამოსაყენებელი პოლიეთილენის მულჩის ფირის სისქე უნდა იყოს 1-1.5 მილი (0.025-0.038 მმ), ჩალის ან ნამჯის მულჩის სისქე კი, დაახლოებით, 2,5 სმ-ს უნდა შეადგენდეს. შავი პოლიეთილენის მულჩის გამოყენების შემთხვევაში მნიშვნელოვანია ფირის ნიადაგზე მჭიდროდ დაფენა. ეს ხელს უწყობს სითბოს ეფექტურ გადაცემას, რაც ხელს შეუწყობს მარწყვის კარგად ზრდას შედარებით გრილი თვეების განმავლობაში.

წვეთოვანი ირიგაციის მილები ეწყობა ნიადაგის კვლის ზემოდან, პოლიეთილენის მულჩის ფირის დაგებამდე, მაგრამ, ასევე, შეიძლება ჩალის, ბზის მულჩის თავზე მოეწყოს (სურათი 11).

სურათი 11. შავი პოლიეთილენის მულჩის და წვეთოვანი სარწყავი მილების მოწყობა კვალში.

პოლიეთილენის მულჩის ფირის მოსაწყობად ძალიან მნიშვნელოვანია მისი მჭიდროდ დამაგრება და კიდეების კარგად ჩაფვლა მიწაში, ისე, რომ კვალს არ მოსცილდეს (სურათი 12). ძალიან მნიშვნელოვანია, ასევე, კიდეებში პოლიეთილენის ფირის საკმარისი მოცულობის ჩაფლვა, რათა დროთა განმავლობაში არ მოეშვას. მინიმუმ 15 სმ პოლიეთილენის ფირი უნდა ჩაიფლას კვლის თითოეულ მხარეს. აღნიშნულზე ნაკლებ დონეზე ფირის ჩაფლვა, ასევე, მისი ადგილზე შენარჩუნება, რთულია. ბაზო კვლის საკმარისად დასაფარად და კიდეებისთვის საკმარისი პოლიეთილენის მულჩის ფირის სიგანე გამოითვლება შემდეგი მონაცემების შეჯამებით: კვლის სიგანე, კვლის სიმაღლე x2, და 15 სმ x2 – ჩაფლული პოლიეთილენის სიგანე.

პლანტაციის გაშენება

დარგვის დრო

საქართველოში მარწყვის დარგვის დრო დამოკიდებულია რეგიონზე. სამეგრელოში მარწყვი უნდა გადაირგას სექტემბრის შუა რიცხვებიდან ოქტომბრის დასაწყისამდე, შიდა ქართლსა და გრილ ადგილებში კი – გაზაფხულის დასაწყისში (მარტის ბოლოდან აპრილის შუა რიცხვებამდე). შესაბამისად, შესაძლებელი იქნება სამეგრელოში პირველი მცირე მოსავლის აღება დეკემბრის თვიდან, რის შემდეგაც, შედარებით თბილ

სურათი 12. მიწაში საკმარისად ჩაფლული და მჭიდროდ მოწყობილი შავი პოლიეთილენის მულჩის ფირი.

გაზაფხულის თვეებში მოსავლის მოცულობა მნიშვნელოვნად გაიზრდება. იმ შემთხვევაში, თუ მარწყვი მოჰყავთ სათბურში, გვირაბში ან თუ კვალი დაცულია ქსოვილის საფარით, მოსავლის აღება გაგრძელდება ზამთრის განმავლობაშიც.

დღის ხანგრძლივობისადმი ნეიტრალური ჯიშების კრეფა შიდა ქართლში დაიწყება ზაფხულის ბოლოს, ხოლო მოკლე დღის (ივნისში მსხმოიარე) ჯიშებისა - მომდევნო წლის გვიან გაზაფხულზე. შიდა ქართლის მსგავსი ჰავის მქონე გრილ ადგილებში გვიან შემოდგომაზე მცენარეები, როგორც წესი, უნდა დაიფაროს ჩალით ან ნამჯით, რათა თავიდან ავიცილოთ ზამთარში მოყინვით გამოწვეული დაზიანება. ჩალა, ნამჯა უნდა მოიხსნას ადრეულ გაზაფხულზე, მარწყვი აყვავილდება მაისში, მსხმოიარობა კი, ჩვეულებრივ, იწყება ივნისის დასაწყისში ღია გრუნტში ივნისში მსხმოიარე ჯიშებში და გრძელდება მთელი ზაფხულის და მომდევნო წლის შემოდგომის განმავლობაში დღის ხანგრძლივობისადმი ნეიტრალური ჯიშებისთვის.

სარგავი მასალა

მარწყვის მოსაყვანად შეიძლება რამდენიმე სახის სარგავი მასალის გამოყენება. ყველაზე ხშირად იყენებენ ფესვიან ნერგს (სურათი 13). ასეთი მცენარე შეიძლება იყოს მოსვენებულ მდგომარეობაში და ფოთლების გარეშე („frigo“ ნერგები), ასევე, მოვეგეტირე ფოთლებიანი (ფოთლოვანი ნერგები). სხვა სახის სანერგე მასალაა საჩითილე კასეტებში გამოყვანილი მარწყვის ნერგები (ეგრეთ წოდებული „plug“ ნერგები); ესაა აქტიურად მზარდი ფოთლოვანი მცენარე დაუზიანებელი დახურული ფესვთა სისტემით, რომელიც კომპოსტთან ერთად საჩითილე კასეტის მცირე ზომის უჯრედშია მოთავსებული. ასეთი ნერგი ყველაზე ადრე იწყებს მსხმოიარობას, მას მოსდევს ფოთლოვანი ნერგები, მოგვიანებით კი „frigo“ მცენარეები. ფოთლოვანი და დახურულ ფესვთა სისტემიანი ნერგები რეკომენდებული სანერგე მასალაა მარწყვის წარმოებისთვის სამეგრელოს ტერიტორიაზე. დახურულ ფესვთა სისტემიანი ნერგები ყველაზე ნაკლებად ექვემდებარება გადარგვისას შოკს, თუმცა, იმავდროულად, ყველაზე ძვირადღირებული სანერგე მასალაა. „frigo“ ნერგები რეკომენდებულია შიდა ქართლისა და შედარებით გრილი რეგიონებისთვის.

სურათი 13. მოსვენებული „frigo“ ნერგი (მარცხნივ), ახალი ფოთლოვანი ნერგი (შუაში) და „plug“ ნერგი (მარჯვნივ).

გადარგვის დროს ნიადაგი უნდა იყოს ტენიანი. ამას გარდა, ფოთლოვანი ნერგები და დახურულ ფესვთა სისტემიანი ნერგები გადარგვისთანავე უნდა მოირწყას. ეს ხელს შეუწყობს გადარგვის შოკის მინიმუმამდე დაყვანას და ფესვთა სისტემის უკეთესად ფორმირებას. ნაკვეთის ჩამოყალიბებისთვის შეიძლება როგორც წვეთოვანი, ისე, ზემოდან წყალგამშხეფი სარწყავი სისტემის გამოყენება (სურათი 14).

ძალიან მნიშვნელოვანია სერტიფიცირებული, ჯანსაღი ნერგების შეძენა სანდო სანერგიდან. მარწყვის ერთ-ერთი ყველაზე სერიოზული სოკოვანი დაავადებაა ანთრაქნოზი ფესვის სიდამპლე, რომელსაც შეუძლია სწრაფად გაანადგუროს ერთი შეხედვით ჯანსაღი მცენარეები. დაავადება იჭრება ჯიშების უმეტესობის ვარჯზე, ფოთლებზე, ძირში, ყვავილებსა და ნაყოფზე. ანთრაქნოზი შეიძლება გავრცელდეს როგორც ნიადაგიდან, ასევე, ინფიცირებული სანერგე მასალიდან. მარწყვის მწარმოებლები, რომლებიც თავად ამრავლებენ ნერგებს, დგანან ინფიცირებული, საბოლოოდ დასა-

სურათი 14. ნაკვეთის სათანადოდ ჩამოყალიბებისთვის საჭიროა მარწყვის გადარგვისთანავე მორწყვა.

ღუპად განწირული სანერგე მასალის დარგვის რისკის წინაშე. უცხოური სანერგეებიდან მიღებული ნერგები უნდა იყოს სერტიფიცირებული და ჯანსაღი, რათა თავიდან ავიცილოთ არასასურველი დაავადებების შემოტანა.

ნერგის ფუნგიციდით დამუშვება

დარგვის შემდეგ ფესვის სიდამპლის განვითარების პრევენციისთვის მიზანშეწონილია „frigo“ ნერგის ან ფოთლოვანი ნერგის გადარგვამდე ფუნგიციდით შეწამვლა (სურათი 15). ფუნგიციდში 30 წამიდან 1 წუთამდე მოთავსებით ფესვთა სისტემის და ღეროს შეწამვლა ხელს შეუწყობს ვარჯის ანთრაქნოზის და ფესვის სიდამპლის (Colletotrichum acutatum), ფიტოფტორული ფესვის სიდამპლის და რამდენიმე სხვა ნიადაგით გადამდები დაავადების სიხშირისა და სიმწვავის შემცირებას მცენარეთა ზრდის პერიოდში.

სურათი 15. მარწყვის ვარჯის და ფესვთა სისტემის ფუნგიციდით შეწამვლა ჩარგვამდე.

ამ სახის შეწამვლისთვის საუკეთესოა ფუნგიციდების შემდეგი კომბინაციის გამოყენება: აზოქსისტრობინი (Quadris ან Amistar), რომელსაც ერევა შემდეგი პრეპარატები: ციპროდინილი + ფლუდიოქსონილი (Switch) და მეტალაქსილი (Ridomil). თითოეული ფუნგიციდის დოზებია: აქტიური ნივთიერების 1,000 (ppm) წყლის გამწმენდ ავზში. ზემოაღნიშნული ფუნგიციდების არქონისას შეიძლება შემდეგი პრეპარატების გამოყენება: აზოქსისტრობინი, შერეული 1,000 ppm CAPTAN-თან, ან 1,000 ppm ქლოროტალონილი (Daconil ან Bravo) შერეული CAPTAN-თან, რაც, ასევე, ეფექტურია.

შემაღლებული კვლების მოწყობის სქემები

მარწყვის დარგვა შესაძლებელია სხვადასხვა სქემით, თუმცა სასურველია ორ რიგიანი შემაღლებული კვალი. ორ რიგიანი სქემა მთელი მსოფლიოს მასშტაბით ყველაზე გავრცელებული მეთოდია მცენარეების გასაშენებლად. შემაღლებულ კვალზე მარწყვის გაშენებისას (სურათი 16) ორ რიგიან სისტემაში რიგებს შორის მანძილი 30-35 სმ-ია, შავი პოლიეთილენის მულჩით დაფარული კვლის სიგანე კი 60-67.5 სმ. თითოეულ რიგში მარწყვის ნერგებს შორის დაშორება, ასევე, 30-35 სმ-ს უნდა შეადგენდეს, ჯიშის მიხედვით. საუკეთესოა, ნერგები დაირგოს ჭადრაკულად, ისე, რომ ერთ რიგში ნარგავი განთავსებული იყოს მეორე რიგში ნარგავებს შორის სივრცის გასწვრივ. მანძილის სათანადოდ დაცვა ხელს უწყობს მცენარეთა შორის ჰაერის სათანადოდ მოძრაობას, რაც ამცირებს ხანგრძლივი პერიოდით სველი მდგომარეობის შედეგად ფოთლების დაავადების განვითარების საფრთხეს. რიგებს შორის სივრცის სიგანე უნდა იყოს 60-67.5 სმ-ის ფარგლებში.

სურათი 16. მარწყვის მოყვანა ორ რიგიან შემაღლებულ კვალზე.

ერთ რიგიანი დარგვის სქემა

მრავალწლიანი მოკლე დღის (ივნისში მსხმოიარე) მარწყვის ჯიშისთვის შიდა ქართლსა და საქართველოს შედარებით გრილ რეგიონებში რეკომენდებული დარგვის სისტემაა ერთ რიგიანი გაშენება. ეს სისტემა ითვალისწინებს რიგში მარწყვის ნერგებს შორის 45 სმ მანძილის დაცვას, რიგებს შორის მანძილი კი 120-130 სმ უნდა იყოს. ზრდის პირველი წელი მთლიანად სავეგეტაციოა. მთავარი ნერგიდან უნდა მოსცილდეს განვითარებული ყვავილები. ამის შედეგად, მცენარის მთელი ფოტოსინთეზის ენერგია გადადის ახალი ფოთლების და სტოლონების წარმოქმნაზე. ყოველი მთავარი ნერგი წარმოქმნის მრავალ ტოტს, რომლებიც ჩამოაყალიბებენ ახალ მცენარეებს. ახალი მცენარეები გამოიღებენ ფესვებს და შეავსებენ შერეულ რიგს დამატებითი ნარგავებით სავეგეტაციო სეზონის განმავლობაში. იდეალურ შემთხვევაში, შემოდგომის დასაწყისისთვის ახალი მცენარეებით გაივსება მთელი ნაკვეთი. თითოეული რიგის სიგანე არ უნდა აღემატებოდეს, დაახლოებით, 60 სმ-ს, რათა შესაძლებელი იყოს მომდევნო წელს ნაყოფის იოლად დაკრეფა (სურათი 17). მარწყვის პწკალებით განლაგება შეიძლება რიგის სასურველ მდგომარეობაში, ფესვების გამოტანამდე. ახალფესვგადგმული მცენარეები, რომლებიც რიგის სიგანის 60 სმ-ის გარეთ გადიან, უნდა ამოიღოთ. ნარგავებს შორის, დაახლოებით, 15 სმ დაშორება უნდა შენარჩუნდეს. რიგებს შორის სიგანე უნდა იყოს, დაახლოებით, 60 სმ მოსავლის აღების ხელშესაწყობად.

სურათი 17. ივნისში მსხმოიარე ჯიშის პირველი ზრდა პირველივე წელს, ერთ რიგიან სქემებში.

ნერგების წარმოება

ნერგების წარმოებისთვის გამიზნული მარწყვი უნდა დაირგას სწორ ნიადაგში. ამაღლებული კვლები არ არის საჭირო, არც სასურველი. არ უნდა გამოიყენოთ შავი პოლიეთილენის მულჩი ნიადაგის დასაფარად მარწყვის რიგებს შორის. ეს ხელს შეუშლის ახალ მცენარეებს ნიადაგში ფესვების გადგმაში. საუკეთესო სანერგეს უნდა ჰქონდეს შედარებით სწორი რელიეფი, კარგი დრენაჟის მქონე ქვიშოვანი ან ქვიშოვან-ლამოვანი ნიადაგი, რომელიც მდიდარია ორგანული ნივთიერებებით (სურათი 18). მარწყვის ნერგებს შორის დაშორება უნდა შეადგენდეს 30 სმ-ს რიგში, რიგებს შორის მანძილი კი 120-150 სმ-ს შორის უნდა იყოს. ყოველი ნერგი წარმოქმნის არა ერთ გართხმულ ულვაშს, რომელიც გამოიღებს ახალ მცენარეს. საჭიროა ნერგზე განვითარებული ყველა ყვავილის მოცილება. ახალი მცენარეები გამოიღებენ ფესვებს და შეავსებენ რიგს დამატებითი მცენარეებით სავეგეტაციო სეზონის განმავლობაში. იდეალურ შემთხვევაში, მთელი დარგული სივრცე შეივსება ახალი მცენარეებით შემოდგომის ბოლოსთვის. სანერგეს მთლიანი ნაკვეთის ყველა ნარგავი ამოითხრება შემოდგომის შუა პერიოდიდან შემოდგომის ბოლომდე, სუსხიანი ამინდების დადგომამდე. დარგვის პროცესი

სურათი 18. მარწყვის სანერგეში ნერგის ზრდა ადრეულ ეტაპზე.

მარწყვი შეიძლება დაირგას ხელით ან მექანიკურად. შეიძლება გადასარგავი ინსტრუმენტების გამოყენება მულჩში ხვრელების გასაკეთებლად, მათ შორის, მრგვალი სარგავი ან ფოლადის ცილინდრი, რომელიც მიდუღებულია სახელურის ბოლოზე (სურათი 19).

სურათი 19. გრძელი სახელურის მქონე ან ჩვეულებრივი მრგვალი სარგავი პოლიეთილენის მულჩში ხვრელების მოსაწყობად.

მარწყვის ნარგავის გარშემო ხვრელში ნიადაგი გაშლილი ფესვთა სისტემის გარშემო კარგად უნდა შემჭიდროვდეს ჰაერის ჯიბეების თავიდან ასაცილებლად. ყველა ფოთოლი უნდა დარჩეს ხელუხლებლად ფოთლოვან და მძინარე მცენარეებზე (სურათი 20). ფოთლების მოცილებით შენელდება მცენარეთა ზრდის ტემპი და შეფერხდება ადრეული მოსავალი. დარგვისას მცენარის ფესვთა გარშემო უნდა მოესხას ხსნადი თხევადი სასუქი, როგორც წესი, ფოსფორის მაღალი შემცველობის მქონე. ეს თხევადი სასუქი გამოიყენება ფესვთა განვითარების და მცენარის ჩამოყალიბების დაჩქარების მიზნით. ზოგადად რეკომენდებულია 2 სუფრის კოვზის (30 გრ) 15-30-15 გახსნა 4 ლიტრ წყალში. შემდეგ მოასხურეთ ხსნარის 1 ჭიქა (250 მლ) ყოველი ნარგავის ფესვების გარშემო.

1 ჰექტარზე ნაკლები მარწყვის ნაკვეთი ძალიან მცირე ზომისაა იმისთვის, რომ მწარმოებლისთვის ეკონომიკურად გამართლებული იყოს მექანიკური სარგავის შეძენა. მსხვილი მწარმოებლებისთვის, რომლებსაც რამდენიმე ჰექტარზე მეტი მარწყვის ნაკვეთი აქვთ, ძალიან ეფექტიანი და მომგებიანია მექანიკური გადასარგავი მანქანის შეძენა. არსებობს მანქანები ერთი ან რამდენიმე რიგისთვის, რომლებიც ნერგებს რგავს პოლიეთილენის ნიადაგის მულჩზე. გადასარგავ მანქანაზე მიმაგარებული წყლის ავზი უნდა იქნას გამოყენებული თითოეული მარწყვის ნარგავის ნიადაგში მოთავსებისას ფერტიგაციისთვის, ფესვთა სისტემის გამოშრობისგან დასაცავად. გარდა ამისა, კვლები საკმარისად ტენიანი უნდა იყოს დარგვამდე კვლის ფორმირების და მულჩირებისას. ცხელ ამინდში ზაფხულის ბოლოს დარგვის პერიოდში სამეგრელოში,

სურათი 20. ნიადაგის დატკეპნა მარწყვის დარგვისას ფესვების გარშემო

სპრინკლერებით ირიგაცია მოკლე პერიოდებით დარგვიდან პირველი რამდენიმე კვირის განმავლობაში ხელს შეუწყობს ფესვების განვითარებას და გააძლიერებს ნარგავს.

ნარგავის გახარებისთვის მნიშვნელოვანია, რომ გადარგული ჩითილის ვარჯი სათანადო სიღრმეზე ჩაირგას (სურათი 21). ძალიან მაღლა ჩარგვა ფესვთა სისტემაზე ქარის ზემოქმედებას შეუწყობს ხელს და ნარგავი გამოხმება, შეიძლება, დაიღუპოს კიდეც. მეორე მხრივ, მეტისმეტად ღრმად ჩარგვის შედეგად შეიძლება ნარგავის ვარჯი დალპეს. საჭიროა ნარგავის ფესვების გაშლა ნიადაგის დონის ქვეშ. თუ ნარგავის ფესვები მოხრილია, ის არ იქნება ძლიერი, რაც შეამცირებს მოსავლიანობას.



სათანადო სიღრმე ძალიან ღრმა ზედაპირული

სურათი 21. მარწყვის ნარგავის ოპტიმალური განვითარებისთვის აუცილებელია სწორ სიღრმეზე ჩარგვა.

მარწყვის ჯიშები

საქართველოში გავრცელებულია მარწყვის ორი ძირითადი სახეობა, მოკლე დღის (ივნისში მსხმოიარე) და დღის ხანგრძლივობისადმი ნეიტრალური (რემონტატული) ჯიშები. მოკლე დღის და დღის ხანგრძლივობისადმი ნეიტრალურ მარწყვის კულტივარებს შორის განსხვავება მდგომარეობს დღის ხანგრძლივობაში, რომლის პირობებშიც მათ გამოაქვთ კვირტები. მოკლე დღის ჯიშები საყვავილე კვირტებს ივითარებს შემოდგომით, როდესაც დღე მოკლეა. დღის ხანგრძლივობისადმი ნეიტრალურმა კულტივარმა შეიძლება საყვავილე კვირტები ჩაისახოს დღის ნებისმიერი ხანგრძლივობის პირობებში, საქართველოში ზაფხულის გრძელი დღეების პერიოდშიც. ყვავილების კვირტები აგრძელებს განვითარებას, თუ ტემპერატურა არ არის ძალიან მაღალი ან ძალიან დაბალი.

მოკლე დღის (ივნისში მსხმოიარე) მარწყვის ჯიშები შიდა ქართლის რეგიონში მოსავალს იძლევა მაისის ბოლოდან ივნისის ჩათვლით, რაც დამოკიდებულია ჯიშზე, კულტივაციის მეთოდებზე და გადახურული სტრუქტურების გამოყენებაზე (მაგ., რიგის საფარი, დაბალი ან მაღალი გადახურული გვირაბები). ივნისში მსხმოიარე ჯიშები, როგორც წესი, გამოიზამთრებს და მოსავალს იძლევა 2 ან 3 წლის განმავლობაში. ივნისში მსხმოიარე ჯიშები, რომელთა მოყვანა რეკომენდებულია შიდა ქართლში და საქართველოს შედარებით ცივ რეგიონებში, არის: Honeoye, Jewel და Wendy. ეს არის სამი ყველაზე ფართოდ გავრცელებული მარწყვის ჯიში ჩრდილოეთ ამერიკაში, სადაც შიდა ქართლის მსგავსი აგროკლიმატური პირობებია. ამ ჯიშების ნაყოფი საშუალო-მოდიდო ზომისაა, ერთგვაროვანი წითელი ფერის და ტკბილი. ამას გარდა, არსებობს ყინვაგამძლე ჯიშები, რომლებიც სუსხიანი ზამთრის პირობებში არ იყინება. თუმცა, ისინი უნდა დაიფაროს ჩალის ან ნამჯის მულჩით ნოემბრის დასაწყისში პირველ თოვლამდე გაყინვით დაზიანების თავიდან ასაცილებლად ისეთ ზამთრში, როდესაც თოვლის საფარი მცირეა ან საერთოდ არ არის.

დღის ხანგრძლივობისადმი ნეიტრალური მარწყვის ჯიშები შიდა ქართლში მსხმოიარობს ივნისიდან შემოდგომამდე, პირველი ყინვის დადგომამდე. ისინი შეიძლება გაშენდეს როგორც მრავალწლიანი (2 წლიანი) ან ერთწლიანი (1 წელი) ნარგავები. 2-წლიანი ნარგავის მოსაშენებლად საჭიროა ვარჯის დათხელება და ძველი ფოთლების მოცილება მეორე წლის გაზაფხულის დასაწყისში. დღის ხანგრძლივობისადმი ნეიტრალურ ჯიშებს, რომელთა კულტივაცია მეორე წელსაც გრძელდება, აუცილებლად უფრო მცირე ზომის ნაყოფი ექნება. შიდა ქართლში მოსაყვანად რეკომენდებული დღის ხანგრძლივობისადმი ნეიტრალური კულტივარებია Diamante, Aromas, Sweet Ann, Albion და San Andreas. ჩამოთვლილი კულტივარები ხშირად გამოიყენება კომერციულ წარმოებაში მსოფლიოს მრავალ რეგიონში.

მარწყვის მოკლე დღის ჯიშები სამეგრელოში ნაყოფს გამოიღებს ნოემბრის ბოლოდან ივნისის ჩათვლით. ნაყოფიერების პიკური პერიოდი, როგორც წესი, მარტის ბოლოდან ივნისის დასაწყისამდეა. სამეგრელოში მოსაყვანად რეკომენდებული მოკლე დღის ჯიშებია: Festival, Fortuna და Ruby Gem. ეს ძალიან პროდუქტიული ახალი ჯიშები კარგად არის ადაპტირებული რეგიონში და ფართოდ მოჰყავთ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში, სადაც სამეგრელოს მსგავსი გროკლიმატური პირობებია. ამ კულტივარების ნაყოფი საშუალო-მოდიდოა, არის მკვრივი და ტკბილი. ამ კულტივარების მოყვანა არ არის რეკომენდებული შიდა ქართლში (ან მსგავსი აგროკლიმატის ადგილას). ის ვერ უძლებს დაბალ ტემპერატურას და საქართველოს შედარებით დაბალტემპერატურიან ადგილებში მნიშვნელოვნად ზიანდება ზამთარში.

დღის ხანგრძლივობისადმი ნეიტრალური მარწყვის ჯიშები, ასევე, მსხმოიარობს სამეგრელოში ნოემბრის ბოლოდან ივნისის ჩათვლით. შეიძლება მათი მრავალწლიანი ნარგავების სახით მოყვანა 2 წლის განმავლობაში ან როგორც ერთწლიანი მცენარისა. 2 წლის განმავლობაში მოყვანისას საჭიროა ვარჯის შეთხელება და ძველი ფოთლების მოცილება მეორე წლის ზაფხულში. დღის ხანგრძლივობისადმი ნეიტრალურ რემონტატულ ჯიშებს, რომელთა კულტივაცია გრძელდება, მეორე წელს უფრო პატარა ზომის ნაყოფი ექნება. დღის ხანგრძლივობისადმი ნეიტრალური ჯიშები, რომელთა მოყვანა რეკომენდებულია სამეგრელოში, არის: Diamante, Aromas, Sweet Ann, Albion და San Andreas-ს.

ზამთარში მოყინვისგან დაცვა

საქართველოს უმეტეს ტერიტორიაზე ზამთრის დაბალი ტემპერატურის გამო საჭიროა მარწყვის ნარგავების დაფარვა ზამთარში მოყინვით დაზიანების თავიდან ასაცილებლად. თუმცა, საფარის ტიპი დამოკიდებულია მოყვანის ადგილზე. სამეგრელოს შედარებით თბილ პირობებში მხოლოდ თხელი ქსოვილის (აგრო-ბოჭკო) რიგის საფარი იქნება საჭირო ზამთრის თვეებში ყვავილების მოყინვით დაზიანების თავიდან ასაცილებლად. შედარებით დაბალტემპერატურიან ადგილებში, შიდა ქართლსა და სხვაგან, საჭირო იქნება სქელი ნამჯის მულჩის საფარი, რათა თავიდან ავიცილოთ მცენარეთა მოყინვით დაზიანება ზამთრის თვეებში.

რიგის საფარები

დაბალი ტემპერატურის პერიოდებში, როდესაც ტემპერატურა შეიძლება, -5°C-მდე დაეცეს, მარწყვის ყვავილების მოყინვისგან დასაცავად მთელ მსოფლიოში ფართოდ გამოიყენება სპეციალური სინთეტიკური ქსოვილის საფარები (აგრო-ბოჭკო). -5°C ტემპერატურაზე ნაკლები ტემპერატურა ძალიან დაბალია იმისათვის, რომ მოხდეს ყვავილების მოყინვისგან დაცვა. შეიძლება ცალკეულ რიგებზე მსუბუქი ქსოვილის დაფენა ან რამდენიმე რიგზე ერთად გადაფარება. რიგების საფარის გამოყენებით შეიძლება შესაძლებელი იყოს მარწყვის წარმოება ზამთრის თვეებში სამეგრელოს რეგიონში.

გადასაფარებლები – ესა არის მსუბუქი სინთეტიკური ქსოვილი, რომელიც დამზადებულია პოლიესტერის, პოლიეთილენის ან პოლიპროპილენისგან. ქსოვილი საკმარისად მსუბუქია იმისათვის, რომ უშუალოდ მარწყვის ნარგავზე დაეფინოს რაიმე სახის დაზიანების გამოწვევის გარეშე. ქსოვილის გამოყენება შეიძლება რამდენიმე წლის განმავლობაში. მსუბუქი უქსოვი რიგის გადასაფარებლები, როგორც წესი, 2 წელი ძლებს, შედარებით მძიმე ნაქსოვი ქსოვილების გამძლეობა კი შეიძლება 5 წელს აღწევდეს. ქსოვილის რიგის საფარი ნარგავებზე უნდა დაეფინოს პროგნოზირებული ყინვის პერიოდამდე. რიგის საფარები შეიძლება დატოვოთ რიგებზე და რიგთაშორისებში რამდენიმე დღის განმავლობაში; ამით მარწყვის ნარგავები არ დაზიანდება (სურათი 22). თუმცა, მოყინვისგან დაზიანების საფრთხის გადავლის შემდეგ საჭიროა მათი აღება.

სურათი 22. საფარი, რომელიც მოთავსებულია მარწყვის რიგებზე, უზრუნველყოფს ყვავილების და ნაყოფის გარკვეულ დაცვას მოყინვით დაზიანებისგან.

სხვადასხვა წონის რიგის საფარები განსხვავდება ქსოვილის სიმკვრივით. რაც უფრო მძიმეა ქსოვილი, მით უფრო მაღალია მისი ყინვისგან დაცვის უნარი. ქსოვილები, რომელთა წონა, სულ მცირე, 68 გრამია კვადრატულ მეტრზე, რეკომენდებულია საფარ მასალად გამოსაყენებლად. ეს მძიმე საფარი უკეთეს იზოლაციას უზრუნველყოფს და იცავს ყვავილებს მოყინვისგან -5°C ტემპერატურამდე. შედარებით მსუბუქი 40 გრამიანი საფარი უზრუნველყოფს ყინვისგან დაცვას მხოლოდ -2°C-მდე.

მარწყვის სხვადასხვა ნაწილს განსხვავებული გაყინვის ტემპერატურა აქვთ. გაშლილი ყვავილების გაყინვის ტემპერატურა -1°C-ია, ნაყოფისა კი -2°C. გამოტანილი, თუმცა გაუშლელი კვირტები იყინება -2.5°C-ზე. მარწყვის ყვავილების მოყინვით დაზიანების სიმპტომები ჩნდება ვარჯის ფურცლის გულში ჩამუქებული ცენტრის სახით (სურათი 23). ნაწილობრივ მოყინული ყვავილებისგან შეიძლება წარმოიქმნას დეფორმირებული ნაყოფი, ძალიან დაზიანებული ყვავილებიდან კი ნაყოფი არ განვითარდება.

სურათი 23. ჯანმრთელი (მარცხნივ) და მოყინული (მარჯვნივ) მარწყვის ყვავილები.

დასხურებით სარწყავი სისტემა

დასხურებით მორწყვა კიდევ ერთი მეთოდია, რომელიც უზრუნველყოფს მარწყვის ყვავილების მოყინვისგან დაცვას. სპრინკლერებით უნდა დაიფაროს მთელი ნაკვეთი და ისინი უნდა ჩაირთოს, როდესაც ტემპერატურა ეცემა 1°C-მდე. როდესაც წყალი გაიყინება და ჩამოყალიბდება ყინული, გამოიყოფა სითბო და მცენარე დაცული იქნება -6°C ტემპერატურამდე. სპრინკლერები ჩართული უნდა დატოვოთ, ვიდრე ტემპერატურა არ აიწევს ნულს ზევით და ყინული არ გალღვება (სურათი 24). სპინკლერის ჟიკლიორები, რომლებიც საათში 25 ლიტრ წყალს ასხურებს, ჩვეულებრივ, გამოიყენება ყინვისგან დასაცავად, რათა გამოშვებული წყალი საკმარისი იყოს ყვავილების დასაცავად და არ დაიტბოროს რიგები.

სურათი 24. მცირე დაწვიმებითი მორწყვა მარწყვის მოყინვისგან დასაცავად.

ნამჯის მულჩი

ზამთრის ცივი ტემპერატურა, რომელიც დამახასიათებელია საქართველოს შიდა რეგიონებისა და ზღვის დონიდან დიდ სიმაღლეზე მდებარე ადგილების უმეტესობისთვის, მოითხოვს მარწყვის ზამთარში მოყინვისგან გარკვეულ დაცვას. მულჩი იცავს ნარგავებს ზამთრის ექსტრემალური სიცივისგან და ნიადაგის სწრაფად გაყინვა-გალღობის შედეგად ფესვების დაზიანებისგან. რეკომენდებულია მულჩირებისთვის ნამჯის მულჩის გამოყენება. ის უნდა იყოს სუფთა და არ უნდა შეიცავდეს სარეველების თესლს. ნამჯის მულჩი საჭირო არ არის სამეგრელოში, სადაც შედარებით თბილი ჰავაა.

ნამჯის მულჩი უნდა მოეწყოს მას შემდეგ, რაც მარწყვის ნარგავი მიაღწევს მნიშვნელოვან გამძლეობას სიცივისადმი, თუმცა მანამ, სანამ დაბალი ტემპერატურა დააზიანებს ნარგავებს. ჩვეულებრივ, მიღებულია ნამჯის მულჩის მოწყობა მას შემდეგ, რაც მიყოლებით სამი დღის განმავლობაში ნიადაგის ტემპერატურა 4°C -ზე ნაკლებია 10-სმ-ის სიღრმეზე. ეს, როგორც წესი, ხდება ნოემბრის დასაწყისში ქვეყნის შიდა რეგიონებში (სურათი 25). შერეული რიგებისთვის ჰექტარზე საჭიროა, დაახლოებით, 8 ტონა ნამჯა. მულჩის ფენა უნდა იყოს 8-10 სმ სისქის და მთლიანად უნდა ფარავდეს მარწყვის ფოთლებს.

სურათი 25. ნამჯის მულჩის დაფენა მარწყვზე გვიანი შემოდგომით.

მულჩი უნდა მოიხსნას გაზაფხულის დასაწყისში (მაგალითად, მარტის ბოლოს და აპრილის დასაწყისში), როგორც კი თოვლის დნობა იწყება და როდესაც მცენარეებს ეწყებათ ზრდის ან ახალი ფოთლის გამოტანის ნიშნები მულჩის ქვეშ. ამაზე ადრე მულჩის მოხსნისას ნიადაგი გათბება, ნარგავი უფრო ადრე გაიზრდება, გაყვავილდება და დაუცველი იქნება გაზაფხულის ყინვისადმი. თუმცა, საჭიროა მულჩის მოხსნა ფოთლების გაყვითლებამდე. მულჩი უდა მოაცილოთ ფოცხით ან ფიწლით. საჭიროა მცირე რაოდენობით მულჩის დატოვება ნარგავებზე, ის ჩავა ნიადაგში და ხელს შეუწყობს ნაყოფის მშრალად და სუფთად შენახვას. მულჩის უდიდესი ნაწილი უნდა გადაიტანოთ რიგის შუა ნაწილებში სარეველების გასაკონტროლებლად, ნიადაგის ტენიანობის შესანარჩუნებლად და დაკრეფის გასაიოლებლად (სურათი 26).

სურათი 26. ნამჯის მულჩი ნარგავებს და რიგებს შორის შერეული რიგის მეთოდის გამოყენებისას.

მარწყვის მოყვანა დახურულ გრუნტში

მრავალი მწარმოებლის მიზანია მარწყვის საადრეო მოსავლის უფრო ადრე აღება ან წარმოება ზამთრის განმავლობაში. ამ პერიოდებში საბაზრო ფასები, როგორც წესი, ძალიან მაღალია. იმისათვის, რომ ადრეულ გაზაფხულზე შიდა ქართლში იყოს მწიფე მარწყვი ან ზამთრის განმავლობაში სამეგრელოს რეგიონში, აუცილებელი იქნება გარკვეული სახის დამცავი სტრუქტურის ან საფარის მოწყობა. აღნიშნული, როგორც წესი, მოიცავს მარწყვის მოყვანას პოლიეთილენით დაფარული დაბალი გვირაბის ტიპის სათბურების ქვეშ ან მაღალი გვირაბის ტიპის სათბურებში. გარდა ამისა, ასეთ პერიოდში წარმოებისას საჭიროა საადრეო ჯიშების აქტიურად მზარდი ნარგავების გამოყენება.

დაბალი გვირაბის ტიპის სათბურები

ასეთი ტიპის სათბურები, ძირითადად, არის მინი-სათბურები, რომლებიც არ თბება და ფარავს მარწყვის ცალკეულ რიგებს. ისინი დაფარულია გამჭვირვალე პოლიეთილენის ფენით, რომელიც დამაგრებულია მსხვილ მავთულებზე, რომლებიც მოხრილია ნახევარ წრედ რიგის თავზე (სურათი 27). ტემპერატურის ცვლილებისთვის შესაძლებელია გვერდების და ზედა ნაწილის გახსნა.

სურათი 27. მარწყვის წარმოება დაბალი გვირაბების ტიპის სათბურებში.

მაღალი გვირაბის ტიპის სათბურები

მაღალი გვირაბები – ესაა, ძირითადად, სათბურები, რომლებიც არ თბება და დაფარულია გამჭვირვალე ერთფენიანი 6 (0.15 მმ) პოლიეთილენის ფენით და დამაგრებულია ლითონის ჩარჩოს სალტეებით (სურათი 28). მაღალი გვირაბები უზრუნველყოფს გარემოს კონტროლის საშუალო დონეს ღია გრუნტსა და გათბობის სისტემის მქონე სათბურებს შორის. ისინი უზრუნველყოფს ტემპერატურის და გარემოს უკეთეს კონტროლს დაბალ გვირაბებთან შედარებით. არსებობს მრავალი სტილის მაღალი გვირაბი, მაგრამ ყველა მათგანი შექმნილია ერთ კონსტრუქციაში მარწყვის რამდენიმე რიგის მოსაცავად. გვერდები და ბოლოები შეიძლება აიკეცოს ან გაიხსნას ვენტილაციის მიზნით შედარებით თბილ თვეებში.

სურათი 28. მარწყვის ნარგავები დახურულ მაღალ გვირაბში ზამთარში (მარცხნივ) და ნახევრად ღია მაღალ გვირაბში გაზაფხულზე (მარჯვნივ).

ირიგაცია

სურათი 29. წვეთოვანი სარწყავი მილების ერთი ხაზი, მოთავსებული კვლის ცენტრში, რწყავს მარწყვის 2 რიგს.

საქართველოში წარმოებული მარწყვისთვის საჭიროა მორწყვის დამატებითი წყარო. წვიმის მოცულობა და განაწილება, საზოგადოდ, არ არის საკმარისი მარწყვის ნარგავის ოპტიმალური ზრდისთვის. ხანგრძლივი მშრალი პერიოდები ნაყოფის განვითარებისას გამოიწვევს მცირე და ხშირად უფორმო ნაყოფის მიღებას. ირიგაცია ხელს უწყობს ნარგავის უფრო ერთგვაროვან ზრდას, იძლევა თხევადი სასუქის გამოყენების (fertigation), რიგ შემთხვევებში კი ყინვისგან დაცვის შესაძლებლობას. მარწყვისთვის შესაფერისია წყლის მიწოდების ორი მეთოდი: წვეთოვანი ირიგაცია და სპრინკლერით ირიგაცია. თუმცა, წვეთოვანი ირიგაცია გაცილებით სასურველია (სურათი 29). მისი უპირატესობები მოიცავს წყლის და ენერგიის მოხმარების დაბალ მაჩვენებელს, ტენიანობის ერთგვაროვანი დონის შენარჩუნებას და ნაყოფის სიდამპლის გაძლიერებას. უარყოფითი მხარეებია: სუფთა წყლის წყაროს საჭიროება, პერიოდულად შეცვლის საჭიროება და მღრღნელების მიერ სარწყავი ხაზების შესაძლო დაზიანება. სპრინკლერით ირიგაცია არ არის რეკომენდებული მარწყვის წარმოებისას, ვინაიდან ამით შეიძლება გაძლიერდეს ფოთლების დაავადების და ნაყოფის სიდამპლის მაჩვენებელი.

ტემპერატურა, ფარდობითი ტენიანობა, მზის სინათლე, ქარი, ატმოსფერული ნალექი, ნარგავის ზომა და მდგომარეობა გავლენას ახდენს მორწყვის საჭიროებასა და სიხშირეზე. ნარგავები უნდა მოირწყას აუცილებლობის შემთხვევაში ნიადაგის კვლებში ტენიანობის შესანარჩუნებლად. საჭიროა საკმარისი წყლის მოცულობა, რათა ნიადაგის ზედა ფენა 20 სმ პოლიეთილენის მულჩის ან ჩალის ქვეშ შენარჩუნდეს ნოტიოდ 25 სმ-ზე წვეთოვანი სარწყავი ხაზის ორივე მხარეს.

სურათი 30. როდესაც ნიადაგი საკმარისად ტენიანია, იკვრება კოშტი, რომელიც შეკუმშვით არ იშლება.

ნიადაგის ტენიანობის შეფასება

ნიადაგის ტენიანობის შეფასებისა და მორწყვის დროის განსაზღვრისთვის ხშირად კარგი მეთოდია ნიადაგის მუჭში დამრგვალება. ნიადაგის ნიმუში უნდა აიღოთ 15 სმ სიღრმეზე. თუ ნიადაგის ამ სიღრმიდან აღებული ნიადაგი არ შეიკვრება მყარ ბურთად მუჭში შეკუმშვისას, ტენიანობა დაცემულია იმ დონეზე, როდესაც საჭიროა მორწყვის დაწყება. თუ აღებული ნიადაგი იკვრება ბურთად, ეს ნიშნავს, რომ ნიადაგის ტენიანობა საკმარისია და მორწყვა არ არის აუცილებელი (სურათი 30).

მორწყვის მორყვის დროის და სარწყავი წყლის მოცულობის განსაზღვრაც შეიძლება ნიადაგის ტენზიომეტრის გამოყენებით (ნახატი 31). ტენიანობის საზომი ზონდი უნდა მოთავსდეს ნიადაგში ისე, რომ წვერმა ჩააღწიოს 15 სმ სიღრმეზე. როდესაც ნიადაგის ტენიანობა 15 სმ სიღრმეზე ეცემა ნაკვეთის ტენტევადობის 40%-ზე დაბლა, ეს ნიშნავს, რომ მორწყვის დაწყების დროა. ტენტევადობის 100%-ზე ან ამ დონესთან ახლოს დასაბრუნებლად საჭიროა საკმარისი რაოდენობით წყლით მორწყვა. ეს შეესაბამება ტენზიომეტრის სკალის, დაახლოებით, 5 სენტიბარს. თუ მაჩვენებელი უფრო დაბალია, ეს ნიშნავს, რომ ძალიან ბევრი წყალია დასხმული. ტენზიომეტრი ქვიშიან – ქვიშიან-ლამოვან ნიადაგებში საკმაოდ სწრაფად რეაგირებს ნიადაგის ტენიანობის ცვლილებაზე და მათზე დაყრდნობით შეიძლება მორწყვის ხანგრძლივობის დროის განსაზღვრა.

სურათი 31. ტენზიომეტრი ნიადაგის ტენიანობის გასაზომად.

წყლის ხარისხი

საუკეთესო შემთხვევაში, მარწყვის მოსარწყავად გამოყენებული წყლის გამტარობა არ უნდა იყოს (ECw) 0.6 დს/მ-ზე მაღალი, ანუ წყალი არ უნდა იყოს მარილებით დამლაშებული. მორწყვისას წყლით, რომლის ECw 0.9 დს/მ-ია, როგორც წესი, მოსავლიანობა შემცირდება 10%-ით. შედარებით მაღალი მარილიანობის მქონე სარწყავი წყლით მორწყვისას მოსავლიანობის შემცირების მაჩვენებელი კიდევ უფრო მაღალი იქნება.

მარწყვისთვის დასაშვები მარილიანობა მხოლოდ 1.2 დს/მ-მდეა (ECe). მოსავალი მცირდება 25%-ით 1.8 დს/მ-ის, ხოლო 50%-ით ისეთი ნიადაგის შემთხვევაში, რომელსაც ECe 2.3 დს/მ-ს შეადგენს. როგორც წესი, მარწყვი იღუპება, როდესაც ნიადაგის ECe აღემატება 3.0 დს/მ-ს.

როდესაც ნიადაგის ECe აღემატება 1.2 დს/მ-ს, საჭიროა ფესვთა სისტემის (მაგ., ზედა 20 სმ) არის საფუძვლიანად გამომარილება წვიმით ან დაბალი მარილიანობის მქონე სარწყავი წყლით (≤0.6 სდ/მ ECw).

სასუქების ჭარბი ოდენობით გამოყენების შედეგად დროთა განმავლობაში ნარჩენი სასუქი მარილებისგან ნიადაგის არასაკმარისი გათავისუფლების შედეგად ნიადაგში შეიძლება სწრაფად დაგროვდეს ხსნადი მარილის მაღალი დონე. მარილიანობის კონტროლისთვის წვეთოვანი სარწყავის პირობებში, როგორც წესი, საჭიროა ნიადაგის მარილიანობის დაწევა წვიმით ან დაწვიმების სარწყავი სისტემით.

მარილის ტოქსიკურობა იწვევს მარწყვის ფოთლების მტვრევადობას, ფესვების გაყავისფრებას და დაღუპვას. მარილის დაგროვება დამთრგუნველად მოქმედებს ნარგავების სიძლიერეზე და აფერხებს ზრდას. ნიადაგის ჭარბი მარილიანობის დამახასიათებელი სიმპტომია ფოთლის კიდის მსუბუქი ან მწვავე ნეკროზი. შედარებით ჩამოყალიბებული ნარგავები, რომლებსაც ფესვთა სისტემა ღრმად აქვს გავითარებული, როგორც წესი, უფრო უკეთ იტანენ მარილის მაღალ დონეს. ნიადაგის ჭარბი მარილიანობა შეიძლება, საქართველოში მარწყვის წარმოებისთვის მნიშვნელოვანი დაბრკოლება იყოს.

წვეთოვანი ირიგაცია

წვეთოვანი სარწყავი სისტემის სახეობა, რომელიც ყველაზე მეტად შესაბამისია მარწყვის წარმოებისთვის საქართველოში – ესაა წნევით კომპენსირებული დრეკადი მილები (ანუ T-tape) მთიან ადგილებში გამოსაყენებლად და დრეკადი მილები წნევით კომპენსირების გარეშე სწორი ფართობებისთვის. ამ ტიპის მილებიდან წყალი ჟონავს მთელ სიგრძეზე. მილებში საწვეთურებს შორის დაშორება უნდა იყოს 30 სმ და საათში უნდა გამოდიოდეს 2-4 ლიტრამდე წყალი. ტუმბოს არარსებობისას წყლის მიწოდება შესაძლებელია საირიგაციო მილების წყალმომარაგების ავზის შემაღლებულ ადგილზე დადგმით და წყლის თვითდინებით მიწოდებით (სურათი 32). ყველა წვეთოვანი სარწყავი სისტემისთვის საჭიროა კარგი წყლის ფილტრი, წყლის წყაროს მიუხედავად, ასევე – წნევის მარეგულირებელი.

სურათი 32. წვეთოვანი სარწყავი სისტემა მარწყვის პატარა ნაკვეთს თვითდინებით აწვდის წყალს.

განოყიერება

მარწყვის ზრდის სიძლიერის, მოსავლიანობის და ნაყოფის ხარისხისთვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს კვებას. ამაზე, თავის მხრივ, გავლენას ახდენს ნიადაგის სტრუქტურა, pH-ის დონე და ორგანული ნივთიერებების პროცენტული შემადგენლობა. დარგვამდე საჭიროა ნიადაგის ანალიზი, რათა დადგინდეს თითოეული მაკრო და მიკროელემენტების შემცველობა და ნიადაგის pH-ის დონე.

მცენარის სიძლიერე, ფოთლის ზომა და ფოთლების ფერი მიანიშნებს ნარგავის სიჯანსაღესა და განოყიერების პროგრამის სათანადოობას. გარდა ამისა, საჭიროა ჩატარდეს ფოთლის ანალიზი ყველა მაკრო და მიკრო ელემენტის შემცველობაზე სავეგეტაციო სეზონის განმავლობაში, რათა დადგინდეს შესაძლო კვებითი დისბალანსი და, საჭიროების შემთხვევაში, დარეგულირდეს/კორექტივები შევიდეს განოყიერების პროგრამაში.

კიდევ ერთი ხერხი, რომლის გამოყენებაც გამოცდილ მწარმოებლებს შეუძლიათ განოყიერების რეჟიმის კორექტირებისთვის საკვები ნივთიერებების ნაკლებობის დასაძლევად, ესაა მცენარეთა დეფიციტის სიმპტომების ვიზუალური დიაგნოზი. ყოველ არსებით ელემენტს მისთვის დამახასიათებელი დეფიციტის სიმპტომი აქვს. სამწუხაროდ, როდესაც დეფიციტი ხილული ხდება, მცენარე, სავარაუდოდ, უკვე მნიშვნელოვნად დაზიანებულია. თუმცა, რაც უფრო ადრე გამოსწორდება დეფიციტი, მით უფრო დაბალი იქნება ზიანი.

მარწყვის პლანტაციაში საკვების მიწოდების და გამოყენების განსხვავებული სქემებია. განოყიერების პროგრამა განსხვავებულია ნაკვეთის ადგილმდებარეობის, ნიადაგის ფაქტურის და მოყვანის სისტემის მიხედვით. ამას გარდა, ორგანული ნივთიერებებით მდიდარ ნიადაგებს დასჭირდება ნაკლები სასუქი, ვიდრე ორგანული ნივთიერებების დაბალი შემცველობის მქონეს.

განოყიერების დრო დამოკიდებულია ნაკვეთის ადგილმდებარეობაზე. მაგალითად, სამეგრელოს რეგიონში მარწყვის წარმოებისას განოყიერება საჭირო იქნება ზამთრის თვეებში, შიდა ქართლის შედარებით დაბალტემპერატურიან რეგიონში კი განოყიერება დასრულდება აგვისტოში და განახლდება გაზაფხულზე.

მარწყვის ნარგავების განოყიერება შეიძლება ერთი ან რამდენიმე მეთოდით, მათ შორისაა: 1) ნაკელი, 2) გრანულირებული სასუქი, 3) თხევადი სასუქის დამატება წვეთოვანი სარწყავი სისტემით (ფერტიგაცია) და 4) ფოთლებზე შესხურება. თითოეული ამ მეთოდის გამოყენებით შეტანილი სასუქის რაოდენობა დამოკიდებულია კონკრეტულ საკვებ ნივთიერებაზე, ნიადაგის ბუნებრივ ნაყოფიერებაზე და წვეთოვანი სარწყავი სისტემის არსებობაზე. როდესაც წვეთოვანი სარწყავი სისტემა ხელმისაწვდომი არ არის, განოყიერება უნდა მოხდეს ნაკელის, მარცვლოვანი სასუქის და ფოთლებზე შესხურების მეთოდების კომბინაციის გამოყენებით.

ნაკელი

მიუხედავად იმისა, რომ ნაკელი მოცულობითია და შედარებით დაბალი საკვები ნივთიერებების შემცველობა აქვს ერთ ტონაზე, ის შეიძლება განოყიერების პროგრამის მნიშვნელოვანი ნაწილი იყოს. ნაკელის განოყიერების მაჩვენებელი განსხვავებულია და, ჩვეულებრივ, არ არის დაბალანსებული N-P-K-ს მიმართ. როგორც წესი, ნაკელი შეაქვთ 10-20 ტონა ჰექტარზე (ჰა), ნიადაგის ნაყოფიერებიდან გამომდინარე. ფრინველის ნაკელი, რომელიც, როგორც წესი, მაღალია N-ის შემცველობით, უნდა დაემატოს 5-10 ტონა ჰექტარზე. ნაკელი რიგს ან შემაღლებულ კვალს უნდა მოეყაროს დარგვამდე რამდენიმე თვით ადრე და შეერიოს ნიადაგის ზედა 10 სმ-ს. სავარაუდოდ, სავეგეტაციო პერიოდში ერთ ჰექტარზე დამატებული პირუტყვის ნაკელის 10 მეტრული ტონიდან მარწყვის ნარგავებისთვის შესაწოვად, სავარაუდოდ, გამოიყოფა, დაახლოებით, 2 კგ-ზე მეტი N. ნიადაგის განოყიერებისთვის ღირებული დანამატია, ასევე, კომპოსტი ანუ ჩალის და ნაკელის ნარევი, თუმცა სუფთა ნაკელთან შედარებით მისი განოყიერების მაჩვენებელი ნაკლებია.

აზოტი N, რომელიც ნაკელის შეტანის შედეგად მიეწოდება ნიადაგს, უნდა იქნას გათვალისწინებული საერთო განოყიერების პროგრამაში და შესაბამისად, უნდა შემცირდეს გრანულირებული ან თხევადი სასუქის რაოდენობა. როგორც წესი, უნდა დავუშვათ, რომ განოყიერების წლის განმავლობაში, უმეტეს შემთხვევაში, ნაკელის ან კომპოსტის N-ის მხოლოდ 50%-ის მიღება იქნება

შესაძლებელი. თუმცა, N-ის არსებობა ფრინველის ახალ ნაკელში პირველ წელს შეიძლება 90%-თან იყოს მიახლოებული. ნაკელი ანუ ორგანული ნივთიერება უნდა შეადგენდეს მარწყვის ნარგავების განოყიერების პროგრამის განუყოფელ ნაწილს, თუმცა არ უნდა იყოს მცენარეთა საკვები ნივთიერებების ერთადერთი წყარო. საჭიროა დამატებითი განოყიერება გრანულირებული ან / და თხევადი სასუქით.

გრანულირებული სასუქის შეტანა

მარწყვის ნარგავებისთვის ყველაზე დიდი მოცულობით საჭიროა შემდეგი სამი ელემენტი: აზოტი (N), კალიუმი (K) და ფოსფორი (P). დარგვამდე კვალში ან რიგში უნდა დაემატოს და შეერიოს მთლიანი N-ის და K-ს, დაახლოებით, 25%, ხოლო P-ს - 100%. N-ის და K-ის ეს მცირე დოზა ხელს უწყობს მარწყვის ახალ ნარგავებს ძლიერი ფესვთა სისტემის ჩამოყალიბებაში და უზრუნველყოფს ნარგავის კვებას ზრდის საწყის ეტაპებზე, როდესაც წვეთოვანი სარწყავი სისტემიდან (fertigation) არ არის საჭირო დიდი რაოდენობით წყლის დამატება.

მარწყვის სანერგეში, სადაც მხოლოდ ნერგები იწარმოება, დარგვამდე საჭიროა მთლიანი N-ის და K-ის, დაახლოებით, ნახევრის დამატება, დარჩენილი ნახევარი კი უნდა დაემატოს 5 სმ-ის სიღრმეზე რიგის კიდეზე, დარგვიდან 6 კვირის შემდეგ, მას მერე, რაც დაიწყება გართხმული ულვაშების ფორმირება.

სურათი 33. ახალდარგული მარწყვის ფერტიგაცია შერეულ რიგებად.

ფერტიგაცია

სასუქის შეტანის ძირითადი მეთოდი, რომელიც რეკომენდებულია მარწყვის გასაყიდად წარმოებისთვის – ფერტიგაციაა, რომელიც, უბრალოდ, ნიშნავს ხსნადი სასუქების შეშვებას წვეთოვანი სარწყავი სისტემის მეშვეობით (სურათი 33), რის შედეგადაც შესაძლებელი ხდება სასუქის შეტანის სიზუსტე და დროის უკეთესი კონტროლი, მარწყვის ნარგავების განვითარების გათვალისწინებით მაქსიმალური ეფექტიანობის მიღწევა. საზოგადოდ, ეს გულისხმობს ზრდის ციკლის ადრეულ ეტაპზე მცირე რაოდენობით საკვები ნივთიერებების დამატებას, შემდეგ კი განოყიერების მოცულობის გაზრდას, როდესაც მარწყვი იწყებს ყვავილობას და ნაყოფის გამოსხმას. ნაყოფის გამოსხმის დასრულების შემდეგ შეტანილი სასუქის რაოდენობა მცირდება, ბოლოს კი წყდება.

მთლიანი N-ის და K-ის სასუქის მოთხოვნის დანარჩენი 75% უნდა დაემატოს ნარგავებს წვეთოვანი სარწყავი სისტემის მეშვეობით სავეგეტაციო სეზონის განმავლობაში. დანარჩენი P, რომელიც არ დამატებია დარგვამდე, შეიძლება თხევადი სახით დაემატოს წვეთოვანი სარწყავი სისტემის მეშვეობით. ორგანული ნივთიერებების მაღალი შემცველობის ნიადაგებში შესაძლებელია N-ის, P-ისა და K-ის დამატება წვეთოვანი სარწყავი სისტემის მეშვეობით. მარწყვის მოსავალი, როგორც წესი, უფრო მაღალია, როდესაც N-ისა და K-ის დიდი ნაწილი ემატება წვეთოვანი სისტემის გამოყენებით, ნაცვლად იმ მეთოდისა, როდესაც N და K ემატება მარცვლოვანი ფორმით. აზოტი N-ის და კალიუმი K-ის დიდი ნაწილი უნდა დაემატოს გაზაფხულის ბოლოდან ზაფხულის შუა პერიოდამდე შიდა ქართლის რეგიონში, სამეგრელოში კი – ზამთრის ბოლოდან მაისის შუა რიცხვებამდე.

მცირე რაოდენობის თხევადი სასუქის ხშირად დამატებამ შეიძლება შეამციროს ხსნადი მარილით გამოწვეული დაზიანებები. საზოგადოდ, თხევადი სასუქი ემატება რამდენიმე საათიანი ფერტიგაციის პერიოდის განმავლობაში ყოველ მეორე დღეს ზრდის ყველაზე აქტიური თვეების განმავლობაში, როდესაც მნიშვნელოვანი ყვავილობის და ნაყოფის გამოღების პროცესები მიმდინარეობს. კომერციული თხევადი სასუქი მასალები წვეთოვანი სისტემიდან ხშირად არის N-ისა და K-ის ნარევი

ხსნარები. კონცენტრირებული მასალების შეშვება უფრო იოლია, ვინაიდან საჭიროა ინექცირების შედარებით მოკლე ციკლები სასუქის იმავე რაოდენობის დასამატებლად, უფრო განზავებულ სასუქის ხსნარებთან შედარებით.

ნალექის თავიდან აცილების მიზნით, წვეთოვანი სისტემის საშუალებით დამატებული ქიმიკატები ძლიერ ხსნადი უნდა იყოს. თუ ინექცირებისთვის სასუქი ხსნარის მომზადებისას გამოიყენება ერთზე მეტი მასალა, ქიმიკატები არ უნდა შევიდეს ერთმანეთთან რეაქციაში, რათა არ წარმოქმნან ნალექი. ამას გარდა, ქიმიკატები უნდა იყოს თავსებადი ელემენტებთან, რომლებსაც შეერევა სარწყავ წყალში. კონცენტრირებულმა სასუქის ხსნარებმა ან ძალიან დაბალი ან მაღალი pH-ის მქონე სასუქებმა შეიძლება გამოიწვიოს სპილენძის, თუთიის და ბრინჯაოს შენადნობების და სარწყავი სისტემების სხვა ლითონის ნაწილების კოროზია. ამიტომ, სისტემის კომპონენტები, რომლებიც შეხებაშია კოროზიულ ხსნარებთან, უნდა შედგებოდეს უჟანგავი ფოლადის, პლასტმასის ან სხვა შედარებით ინერტული მასალებისგან.

ქვემოთ მოცემულია სასუქების ჩამონათვალი, რომელიც ფერტიგაციისთვის გამოიყენება: ამონიუმის ნიტრატი, ამონიუმის სულფატი, კალციუმის ნიტრატი, შარდოვანა, კალიუმის ნიტრატი და ამონიუმის ფოსფატი. მარწყვის ზრდა, ზოგადად, ერთნაირია აზოტოვანი სასუქის სხვადასხვა სახეობის გამოყენებისას. კალიუმის K - ის ნებისმიერი გავრცელებული ფორმების (ქლორიდის, სულფატის ან ნიტრატის ფორმები) გამოყენება შეიძლება წვეთოვანი სარწყავი სისტემებისთვის. თუმცა, კალიუმის ქლორიდთან შედარებით უპირატესობა ენიჭება კალიუმის სულფატს და კალიუმის ნიტრატს, ვინაიდან კალიუმის ქლორიდი იწვევს მარილით მოწამვლას.

ფოთლებიდან განოყიერება

მარწყვის განოყიერების კიდევ ერთი მეთოდია ფოთლებზე შესხურება. თუმცა განოყიერების ამ მეთოდის გამოყენებისას მცენარე შეიწოვს მხოლოდ ძალიან მცირე რაოდენობის საკვებ ნივთიერებებს. ფესვგარეშე ფოთლებზე შესასხურებელი სასუქი, რომელიც შეიცავს N-ს, P-ს და K-ს, საზოგადოდ, არ არის საჭირო, თუ სათანადო რაოდენობით იყო დამატებული დარგვამდე და/ან ფერტიგაციის მეთოდების გამოყენებით. ფოთლებზე შესხურებით განოყიერება არ გაზრდის მოსავლიანობას და განმეორებითი დამატების შემდეგ შეიძლება გამოიწვიოს ფოთლის სიდამწვრე კიდეებზე და ნაყოფის ჯამის გამუქება.

გარკვეული მიკროელემენტების ნაკლებობისას ფოთლებზე შესხურებამ შეიძლება კარგი შედეგები გამოიღოს დეფიციტის აღმოფხვრის თვალსაზრისით, თუ ნიადაგის pH ძალიან ტუტეა მიწიდან სათანადოდ შესაწოვად. ეს შეიძლება იყოს რკინის (Fe), მანგანუმის (Mn), ბორის (B) და თუთიის (Zn) შემთხვევაში. თუმცა, სასურველი საშუალებების დიაპაზონი მიკროელემენტებისთვის საკმაოდ დაბალი და ვიწროა და მიკროელემენტების ჭარბად დამატებამ შეიძლება მოწამვლა გამოიწვიოს. ამის გამო, მიკროსაკვები ნივთიერებები არ უნდა დაემატოს მარწყვის ნარგავებს, თუ ფოთლის ანალიზის შედეგით ან ხილული სიმპტომებით არ დასტურდება დეფიციტის არსებობა.

კონკრეტული მიკროელემენტის ნაკლებობის აღმოჩენის და დადასტურებისას ფოთლების სათანადო მიკროსაკვები ნივთიერებებით დამუშავება საკმარისი უნდა იყოს დარღვევის გამოსასწორებლად. სიმპტომების გასაქრობად შეიძლება საჭირო იყოს ფოთლების რამდენჯერმე დამუშავება, დაახლოებით, 10-დღიანი ინტერვალით. საჭიროა დამატენიანებელი ნივთიერების დამატება, თუ ის უკვე არ შედის მიკროსაკვებ ნივთიერებაში. მიკროსაკვები ნივთიერებების ფოთლებზე დამატება არ შეიძლება ყვავილობის პერიოდში ყვავილების შესაძლო სიდამწვრის გამოწვევის გამო. ნიადაგში მიკროელემენტების გრანულირებული ფორმებით დამატება შეიძლება, ასევე, ეფექტური იყოს მიკრონივთიერებების ნაკლებობის დასაძლევად, თუმცა დეფიციტის აღმოსაფხვრელად მათი გამოყენება უფრო ხანგრძლივი პროცედურაა, ვიდრე ფოთლებზე შესხურება.

ფოთლის ანალიზი

განოყიერების პროგრამის დასარეგულირებლად მწარმოებლებს უნდა ჰქონდეთ მარწყვის ფოთლის ანალიზის პასუხი სერტიფიცირებული ლაბორატორიიდან. ფოთლის ანალიზის შედეგების მიხედვით შეიძლება აუცილებელი გახდეს განოყიერების პარამეტრების ცვლილება. ფოთლის ანალიზისთვის რეპრეზენტატული ნიმუშის ასარჩევად შემთხვევითი პრინციპით შერჩეული 10 ნარგავიდან მთელი ნაკვეთიდან უნდა აიღოთ, დაახლოებით, 5 ახალგაზრდა განვითარებული ფოთოლი. გარდა ამისა, დეფიციტის სიმპტომების მქონე მცენარეები უნდა შემოწმდეს ცალკე, რათა გადამოწმდეს უჩვეულო ვიზუალური სიმპტომების კავშირი საკვებ ნივთიერებებთან.

ცხრილ 1-ში წარმოდგენილია ფოთლებში საკვები ნივთიერებების შემცველობის კავშირი მარწყვის სხვადასხვა მდგომარეობასთან. ნაჩვენები კონცენტრაციები ემყარება მშრალი ნივთიერებების წონას. სხვადასხვა საკვები ელემენტისთვის მითითებულია დეფიციტი, ნორმაზე დაბალი, ნორმა და ნორმაზე მაღალი კონცენტრაციების ზღვრები.

საჭიროა ფოთოლში თითოეული საკვები ელემენტის შენარჩუნება ნორმის ზღვრებში. იმ შემთხვევაში, თუ საკვები ნივთიერებების კონცენტრაცია ნორმაზე ნაკლები ან მაღალია, ეს გამოიწვევს მარწყვის მოსავლიანობის შემცირებას.

ცხრილი 1. მარწყვის ფოთოლში მნიშვნელოვანი საკვები ნივთიერებების შემცველობა.

	დეფიციტი	ნორმაზე დაბალი	ნორმა	ნორმაზე მაღალი
N(%)	1.50	1.80	2.00	2.80
P(%)	0.20	0.25	0.35	0.40
K(%)	1.20	1.50	2.00	2.50
Ca(%)	0.60	0.70	1.50	1.70
Mg(%)	0.25	0.30	0.45	0.50
Mn(ppm)	40	50	150	250
Fe(ppm)	50	60	150	250
Cu(ppm)	5	7	10	20
B(ppm)	20	30	60	70
Zn(ppm)	15	20	35	50

აზოტი

აზოტი მარწყვისთვის საჭირო ძირითადი საკვები ნივთიერებაა. ზოგადად რეკომენდებულია 100 კგ N-ის დამატება ერთ ჰექტარზე წელიწადში ან მოსავლის ციკლში. ორგანული ნივთიერებების დაბალი შემცველობის მქონე ქვიშოვან ნიადაგზე ან/და დღის ხანგრძლივობისადმი ნეიტრალური ჯიშების ოპტიმალური ზრდისთვის შეიძლება, საჭირო იყოს 150 კგ N. აზოტი N ნიადაგს, სულ ცოტა, 50%-იანი ნიტრატის ფორმით უნდა დაემატოს. ოპტიმალურ ზრდას, საზოგადოდ, ვიღებთ, როდესაც NH4:NO3 შეფარდება N სასუქში ნაკლებია 1:1-ზე. მარწყვის ზრდა შეიძლება მნიშვნელოვნად დაზარალდეს, როდესაც NH4-ის კონცენტრაცია მთლიანი N-ის წყაროს 50%-ზე მაღალია.

რეკომენდებულია, რომ რიგს ან კვალს დარგვამდე შეერიოს მთლიანი N-ის (25-38 კგ N ერთ ჰექტარზე) 25%. ეს უდრის 250-380 გ N-ს რიგის ყოველ 100 კვადრატულ მეტრზე. შიდა ქართლის რეგიონში ფერმერებმა, რომლებსაც არ აქვთ წვეთოვანი სარწყავი სისტემა, ეს უნდა განახორციელონ დარგვიდან, დაახლოებით, 6 კვირის შემდეგ 40 კგ N/ჰა-ის დამატებით რიგის ორივე მხარეს. აგვისტოს შუა რიცხვებში, რიგის ორივე მხარეს უნდა შევიდეს 40 კგ N / ჰა-ის კიდევ ერთხელ შეტანა. რიგის ორივე მხარეს დამატებული გრანულირებული სასუქი ნიადაგს უნდა შეერიოს, დაახლოებით, 5 სმ-ის სიღრმეზე.

შიდა ქართლის რეგიონში დღის ხანგრძლივობისადმი ნეიტრალურ ჯიშებს, რომლებისთვისაც არ გამოიყენება წვეთოვანი სარწყავი, სავეგეტაციო სეზონის განმავლობაში უნდა დაემატოს აზოტი 3-ჯერ შემდეგი სიხშირით/დოზით: 33 კგ N/ჰა ივნისის, ივლისისა და აგვისტოს შუა რიცხვებში.

საუკეთესო შემთხვევაში, დარგვის შემდეგ აზოტი N-ის მთლიანი წლიური მოთხოვნილების დარჩენილი 75% უნდა დაემატოს წვეთოვანი სარწყავი სისტემის მეშვეობით. სავეგეტაციო სეზონის განმავლობაში უწყვეტი განოყიერება უფრო ეფექტური გზაა N-ის დასამატებლად, განსაკუთრებით, მსუბუქ ქვიშოვან ნიადაგში. სამეგრელოს რეგიონში, შემაღლებული კვლების სისტემების პირობებში, აზოტი N უნდა დაემატოს შემდეგნაირად: 2-3 კგ N ყოველ ჰექტარზე კვირაში ერთხელ წვეთოვანი სარწყავი სისტემის მეშვეობით, დაწყებული გადარგვიდან, დაახლოებით, 10 დღის შემდეგ. შეიძლება საჭირო იყოს N-ის ყოველკვირეული დოზის გაზრდა 4 კგ/ჰა-მდე, გაზაფხულზე პიკური ზრდის პერიოდში.

შიდა ქართლის რეგიონში აზოტი არ ემატება აგვისტოს შუა რიცხვების შემდეგ, თორემ, შედეგად, შენელდება ნარგავების ზრდა და საკმარისი დრო არ იქნება ზამთრის დაწყებამდე ნარგავების გასამაგრებლად.

გაზაფხულზე (მაისის დასაწყისში) უნდა შეიტანოთ პირველი 50 კგ N/ჰა, რიგის ორივე მხარეს, ჩამოყალიბებულ 2 და 3 წლიან შერეულ რიგებზე შიდა ქართლის რეგიონში. ამის შემდეგ, განახლებისას საჭიროა შემდგომი 50 კგ N/ჰა-ის დამატება.

N-ით განოყიერების ოპტიმალურზე მაღალი დოზა გამოიწვევს ფოთლების მეტისმეტად ზრდას, გაიზრდება დაავადებებისადმი დაუცველობა, ადრეული სეზონის მოსავალი შემცირდება, გაუარესდება ნაყოფის ხარისხი, ზომა და სიტკბო, გაჩნდება არათანაბარი შეფერილობა და სიმკვრივე. ოპტიმალურზე დაბალი N შეამცირებს მცენარეთა ზრდას და ნაყოფის ზომას. აზოტის დეფიციტის სიმპტომებია ღია მწვანე და მოყვითალო ფერის ფოთლები წითელი შეფერილობით კიდეებზე, რაც ხშირად ფოთლის ზედაპირის დიდ ფართობს მოიცავს (სურათი 34).

სურათი 34. აზოტის დეფიციტის სიმპტომებია ღია მწვანე და ყვითელი, ასევე, მოწითალო-მოალისფრო ფოთლები.

ფოსფორი

ფოსფორის დამატება შეიძლება მარცვლოვანი ფორმით დარგვამდე ან შეიძლება, მთლიანად დაემატოს ხსნადი თხევადი ფოსფორმჟავა წვეთოვანი სარწყავი სისტემის გამოყენებით სავეგეტაციო პერიოდის განმავლობაში. ფოსფორი არ გამოიტანება ნიადაგების დიდი უმრავლესობიდან, ამდენად, მთელი P-ს ნიადაგში შერევა დარგვამდე არ ქმნის გამოტანის საფრთხეს.

თუ P ემატება დარგვამდე, საჭიროა მისი გრანულირებული სამმაგი სუპერფოსფატის სახით დამატება, 100-125 კგ ჰექტარზე და შერევა რიგის ან კვლის სივრცეში. საზოგადოდ, სავეგეტაციო პერიოდში P-ს მცირე დოზის ხშირად დამატება არ იწვევს მოსავლიანობის გაუმჯობესებას. თუმცა, ეს იმის გათვალისწინებით, რომ ნავარაუდებია, რომ დარგვამდე, ნიადაგის შემოწმების შედეგების საფუძველზე, დაემატება P-ს სათანადო რაოდენობა. თუ დარგვამდე P-თი განოყიერების მოცულობა არ არის საკმარისი, რომ ქსოვილის P-ს შემცველობამ მიაღწიოს ოპტიმალურ ზღვრებს ფერტიგაციით P-ს ხსნადი ფორმების გამოყენებით, სავეგეტაციო სეზონის განმავლობაში მარწყვის ზრდას ხელი შეეწყობა. თუ აუცილებელია ფოსფორის P-ს ფერტიგაციით შეტანა, საჭიროა მცირე

მოცულობებით (მაგალითად, 1 კგ P/ჰა) ყოველკვირეულად დამატება, რეჟიმი განსხვავებული იქნება რეგიონების მიხედვით. აუცილებელია სიფრთხილის ზომების მიღება იმის უზრუნველსაყოფად, რომ ინექცირების პროცესში P შენარჩუნდეს ხსნადი სახით. ეს, როგორც წესი, ხორციელდება ინექცირებული P-ს ხსნარის გამჟავიანებით ან ფოსფორმჟავას ინექცირებით.

გაშენებულ შერეულ რიგებში, P-ს მთლიანი წლიური მოცულობა (100-125 კგ/ჰა) შეიძლება დაემატოს თითოეული რიგის ნაპირებზე მაისის დასაწყისში.

P-ის დეფიციტის სიმპტომები მოიცავს მკრთალ, მოლურჯო-მომწვანო ან მეწამული ფერის ფოთლებს, ასევე, მეწამულ გაუფერულებას, რომელიც, განსაკუთრებით, შესამჩნევია ფოთლის ზედაპირის ქვედა ნაწილში. მცენარეთა ზრდა ფერხდება და ფოთლის ზომა არის პატარა (სურათი 35).

სურათი 35. ფოსფორის დეფიციტის სიმპტომებია მუქი მწვანე ფოთოლი შავი ბზინვარე უბნებით ზედა და მეწამული ფერი ქვედა მხარეს.

კალიუმი

მარწყვს დიდი რაოდენობით კალიუმი K ესაჭიროება, ჩვეულებრივ, 125-150 კგ K ჰექტარზე წელიწადში ან მოსავლის ციკლში. კალიუმით განოყიერებისას უნდა გამოიყენოთ N-ის მსგავსი განოყიერების სტრატეგია. მიზანშეწონილია მთლიანი წლიური K-ის მოცულობის 25% დაემატოს რიგში ან კვალში დარგვამდე, ორივე მხარეს ჩამოყალიბებულ შერეულ რიგებში. შიდა ქართლის რეგიონში ჩამოყალიბებულ რიგებში შეტანა უნდა ჩატარდეს მაისის დასაწყისში. კალიუმის დარჩენილი 75% დაემატება წვეთოვანი სარწყავი სისტემით. სავეგეტაციო პერიოდში უწყვეტი განოყიერება კალიუმის დამატების ყველაზე ეფექტური გზაა. სამეგრელოს რეგიონში, სადაც შემაღლებულ კვლებს იყენებენ, კალიუმის დამატება საჭიროა კვირაში 2-3 კგ ჰექტარზე გადარგვიდან, დაახლოებით, 10 დღის შემდეგ. კალიუმის სასურველი წყაროა კალიუმის სულფატი. კალიუმის ქლორიდის გამოყენებისას ნიადაგში მარილის დაგროვების პრობლემა შეიძლება დადგეს.

K-ის დეფიციტის ტიპური სიმპტომებია ფოთლის კიდეებზე სიდამწვრე, გაყვითლება და ფოთლის ქსოვილის გაყავისფრება. შედარებით ძველი ფოთლები, როგორც წესი, უფრო სერიოზულად ზიანდება (სურათი 36). K-ის დეფიციტის სიმპტომები შეიძლება აგერიოთ მაგნიუმის დეფიციტში ან მარილიანობის, ქარის, მზის ან მშრალი პირობებით გამოწვეული ფოთლის სიდამწვრეში. მომწიფებული ფოთლების ზედაპირი გაყავისფრდება და გამოშრება, რაც კიდეებიდან ცენტრამდე გადადის ფოთლის ძარღვებს შორის. იმავდროულად, ფოთლის შუა ძარღვის მონაკვეთი გამოშრება და მუქდება. ეს სიმპტომები პირველად ჩნდება ქვედა ფოთლებზე. კალიუმის დაბალი შემცველობა ნაყოფის ხარისხზეც აისახება. ნაყოფს არ უვითარდება სრულყოფილი ფერი, რბილობის სტრუქტურა არასათანადოა და არც არომატი აქვს.

სურათი 36. კალიუმის დეფიციტის სიმპტომები იწყება ფოთოლის ზედაპირის გამუქებით, რასაც მოსდევს ქლოროზი და ნეკროზი ფოთლის კიდეებზე.

კალციუმი

კალციუმის (Ca) დეფიციტი, ზოგადად, გამოწვეულია Ca-ის მიღების დაბალი დონით ან გადაადგილებით. ფოთლის სიდამწვრე, ლოკალიზებული Ca-ის დეფიციტი ხშირად შეიმჩნევა ფოთლის ქსოვილში Ca-ის მცირე დონის პირობებში (სურათი 37). ნიადაგში სხვა კათიონების (მაგალითად, K, NH4, Mg, Na) მაღალი კონცენტრაცია, ასევე, იწვევს ფესვების მიერ Ca-ის შემცირებულ შეწოვას. ნიადაგის დაბალ ტენიანობას, გრილ და ღრუბლიან ამინდს და ნოტიო პირობებს, ასევე, შეუძლია მცენარისთვის კალციუმის მიწოდების ოდენობის კრიტიკულად დაბალ დონემდე შემცირება. უმეტეს შემთხვევაში, Ca-ის დეფიციტთან დაკავშირებული ფოთლის სიდამწვრის ყველაზე ეფექტური მეთოდია ნიადაგში კარგი ტენიანობის შენარჩუნება.

სურათი 37. ფოთლის სიდამწვრე ანუ ახალამოსული ფოთლების ბოლოების ნეკროზი Ca-ის დეფიციტის შედეგია.

მაგნიუმი

მაგნიუმი მნიშვნელოვანი მაკროელემენტია, მაგრამ საჭიროა უფრო მცირე რაოდენობით, ვიდრე უმეტესი სხვა ძირითადი ელემენტები. დეფიციტის სიმპტომები, გარკვეულწილად, K-ის მსგავსია და მოიცავს შედარებით ადრე ამოსული ფოთლების ქლოროზს, რასაც მოსდევს ძარღვებს შორის და კიდეებზე ფოთლის ნეკროზი დეფიციტის გაუარესებასთან ერთად (სურათი 38).

სურათი 38. მაგნიუმის დეფიციტის სიმპტომია ახალგაზრდა ზრდასრული ფოთლების კიდეების ნეკროზი.

მიკროელემენტები

მიკროელემენტები საჭიროა გაცილებით მცირე რაოდენობით, ვიდრე მაკროელემენტები, თუმცა ისინი აუცილებელია მარწყვის ოპტიმალური ზრდისა და განვითარებისთვის. აუცილებელი მიკროელემენტები მოიცავს რკინას (Fe), მანგანუმს (Mn), ბორს (B), თუთიას (Zn), სპილენძს (Cu) და მოლიბდენს (Mo). საქართველოს ნიადაგ, შეიცავს საკმარისი რაოდენობით მიკროელემენტებს, რაც საკმარისია მარწყვისთვის, თუმცა ტუტე ნიადაგებში, სადაც pH-ის დონე 7.5-ზე მაღალია, შესაძლებელია განვითარდეს მიკროელემენტების ნაკლებობით გამოწვეული დეფიციტი.

რკინა

რკინა საქართველოში ნიადაგების უდიდეს ნაწილში საკმარისი რაოდენობით გვხვდება. თუმცა, რკინის დაბალი შემცველობა, რომელიც გამოწვეულია ნიადაგში pH-ის მაღალი დონით, ხშირად ხდება Fe-ის დეფიციტის მიზეზი. ნიადაგში მცენარისთვის ხელმისაწვდომი რკინის მოცულობა მცირდება ნიადაგის pH-ის ზრდასთან ერთად.

რკინის დეფიციტის სიმპტომები პირველად ჩნდება ყველაზე ახალგაზრდა ფოთლებში: ყვითლდება არე ძარღვებს შორის, ძარღვები და ფოთლის ყუნწები კი რჩება მწვანე (სურათი 39). Fe-ის მწვავე დეფიციტი იწვევს ფოთლების გათეთრებას და ფოთლის კიდის გაყოლებაზე ძარღვებს შორის ყავისფერი უბნების გავითარებას. ამის გამოსწორება შეიძლება ხელატირებული Fe-ის დამატებით წვეთოვანი სარწყავი სისტემის მეშვეობით ან ფოთლებზე რკინის სულფატის ან ხელატირებული Fe-ის დამატებით. ხელატი – ესაა ქიმიური ნაერთი, რომლის საშუალებით Fe შენარჩუნდება pH-ის დიდი დიაპაზონის პირობებში. თუმცა, Fe-ის დეფიციტის გადაჭრის გრძელვადიანი ხერხია ნიადაგის pH-ის შემცირება 7-მდე ან უფრო დაბლა.

სურათი 39. ძარღვებს შორის ქლოროზი ახალგაზრდა ზრდასრული ფოთლების Fe-ის დეფიციტის ტიპიური სიმპტომია.

მანგანუმი

მანგანუმი კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მიკროელემენტია, რომელიც მცირდება ნიადაგის ტუტე pH-ის პირობებში. დეფიციტის სიმპტომები Fe-ის დეფიციტის ანალოგიურია და ვლინდება ახალი ფოთლების ძარღვებს შორის ქლოროზით (სურათი 40).

სურათი 40. მანგანუმის დეფიციტი ახალგაზრდა ზრდასრულ ფოთლებზე ჩნდება ძარღვებს შორის ქლოროზით.

ბორი

უხეში სტრუქტურის მქონე ნიადაგს, რომელსაც ორგანული ნივთიერებების დაბალი შემცველობა და ტუტე pH აქვს, ბუნებრივად, ბორის დაბალი შემცველობა ახასიათებს. ბორის შემცველობა მცირდება pH-ის დონის გაზრდასთან ერთად, ხოლო შეწოვა მნიშვნელოვნად მცირდება, როდესაც ნიადაგის pH 7-ზე მაღალია. რემონტატული ნეიტრალური დღის ჯიშები, როგორც წესი, ინტენსიურად მოიხმარენ ბორს, ვინაიდან ისინი მუდმივად აწარმოებენ ნაყოფს.

ბორის დეფიციტი პირველად ჩნდება ახალგაზრდა ფოთლების პათოლოგიური ან შენელებული ზრდის და აპიკალური ზრდის წერტილების სახით (სურათი 41). ადრეული სიმპტომები ჰგავს Ca-ის დეფიციტის სიმპტომებს და იწვევს ახალამოსული ფოთლების დანაოჭებას, დაგრეხას და წვერის სიდამწვრეს. ამას გარდა, შეიძლება განვითარდეს კიდეებში გაყვითლება და ძარღვებს შორის ქლოროზი. ფოთლები და ღერო შეიძლება გახდეს მტვრევადი, როდესაც ბოლოში ზრდა ჩერდება და, საბოლოოდ, ხდება აპიკალური მერისტემის კვდომა. ბორის ზომიერი დეფიციტის შედეგად მცირდება ყვავილების ზომა და ყვავილის მტვრის წარმოქმნა, რაც იწვევს დაბალხარისხოვან დეფორმირებულ ნაყოფს. გარდა ამისა, ბორის დეფიციტი იწვევს ძირითადი და გვერდითი ფესვების ზრდის შეფერხებას, რის შედეგადაც ვითარდება მოკლე, ბუჩქოვანი ფესვთა სისტემა.

სურათი 41. ბორის დეფიციტის ტიპური სიმპტომებია ფოთლის წვერის სიდამწვრე და პატარა ზომის, დეფორმირებული ნაყოფი.

სურათი 42. ფოთლების კიდეების ნეკროზი ბორით ტოქსიკურობის ტიპური სიმპტომია.

სურათი 43. თუთიის დეფიციტის სიმპტომებია ფოთლის შევიწროება და ძარღვებს შორის ქლოროზი.

ბორის დეფიციტურ და ტოქსიკურ დონეებს შორის დიაპაზონი მცირეა. ჭარბი დოზით დამატების შემთხვევაში შეიძლება დაგროვდეს ბორის ტოქსიკური დონე. მარწყვი ერთ-ერთი ყველაზე მგრძნობიარე კულტურაა ბორის ჭარბი დოზის მიმართ. ბორით ტოქსიკურობის სიმპტომებია მაგარი, მოყვითალო ნაყოფი და ფოთლების კიდეების ნეკროზი (სურათი 42).

თუთია

თუთია კიდევ ერთი მიკროელემენტია, რომელიც ხშირად დეფიციტურია ტუტე ნიადაგებში. ფოსფორის ზედმეტი დოზით დამატებამ შეიძლება, გამოიწვიოს Zn-ის დონის შემცირება. Zn-ის დეფიციტის სიმპტომებია ფოთლების შევიწროება და ძარღვებს შორის ქლოროზი (სურათი 43).

სტოლონების-პწკალების მოცილება

მარწყვის ზოგიერთი ჯიში, განსაკუთრებით, დღის ხანგრძლივობისადმი ნეიტრალური, წარმოქმნის დიდი რაოდენობით პწკალებს ნარგავის ზრდისა და განვითარების პერიოდში. ნაზარდები უნდა მოაცილოთ რამდენიმე კვირაში ერთხელ სავეგეტაციო პერიოდის განმავლობაში. ისინი კონკურენციას გაუწევს განვითარებად ნაყოფს ფოტოსინთეზის ენერგიითა და ნიადაგში საკვები ნივთიერებებით. მათი მოცილება მარტივია ხელით (სურათი 44).

სურათი 44. დედა მცენარიდან გავითარებული პწკალების მოცილება.

ივნისში მსხმოიარე მარწყვის პლანტაცია

შიდა ქართლის რეგიონსა და საქართველოს სხვა შედარებით გრილ ადგილებში ივნისში მსხმოიარე მარწყვის პირველი და მეორე წლის მოსავლის აღების შემდეგ საჭიროა კვლების განახლება. ზოგიერთი მწარმოებელი ივნისში მსხმოიარე ჯიშებიდან სეზონზე ორზე მეტ მოსავალს არ იღებს. თუმცა, მესამე წელს შესაძლებელია მოსავლის სასურველი მოცულობის მიღება, მოყვანის ოპტიმალური პირობების და მართვის ჯანსაღი მეთოდების გამოყენების შემთხვევაში.

გადაწყვეტილების მიღება ივნისში მსხმოიარე მარწყვის ნაკვეთის განახლების ან მეორე წლის შემდეგ აღების თაობაზე დამოკიდებულია სხვადასხვა ფაქტორზე, მათ შორის, ნარგავების სიძლიერეზე, მეორე წელს ნაყოფის ზომაზე, სავარგული მიწის არსებობაზე, წარმოების ხარჯებსა და ბაზრის მოთხოვნაზე. საზოგადოდ, ივნისში მსხმოიარე მარწყვის ნაკვეთებში დროთა განმავლობაში მცირდება მოსავლიანობა და ნაყოფის ზომა, იზრდება სარეველებსა და დაავადებებთან დაკავშირებული პრობლემები. მწარმოებლები, რომელთა პროდუქციაზე ბაზარზე მაღალი მოთხოვნაა, თუმცა

არ აქვთ ვრცელი სავარგულები, როგორც წესი, მესამე წელსაც აწარმოებენ ივნისში მსხმოიარე ჯიშებს შერეულ რიგებში. ამ გადაწყვეტილების მისაღებად საჭიროა წარმოების ხარჯების და წინა სეზონის წმინდა მოგების მონაცემების გულდასმითი ანალიზი.

ივნისში მსხმოიარე მარწყვის განახლება უნდა ჩატარდეს მოსავლის აღებიდან რაც შეიძლება მოკლე ხანში. შიდა ქართლის რეგიონში ეს ხდება ივლისის დასაწყისში. რაც უფრო ადრე ჩამოყალიბდება გართხმული ულვაშები და ახალი მცენარეები განვითარდება განახლების შემდეგ, მით უფრო მაღალი იქნება მოსავლიანობა მომდევნო წელს. განახლება არ უნდა გადაიდოს ივლისის ბოლოსთვის. განახლებული კვლები უხვად უნდა მოირწყას ივლისსა და აგვისტოში, რათა ხელი შეეწყოს პწკალების კარგად ზრდას და ახალი მცენარეებისა წარმოქმნას, რაც მომდევნო სეზონზე მაღალი მოსავლიანობის საფუძველი იქნება.

ივნისში მსხმოიარე მარწყვის შერეული რიგების განახლების პროცესში 25-30 სმ-მდე ვიწროვდება რიგის სიგანე დისკით ან როტაციული კულტივატორით (სურათი 45), ფოთლები ითიბება ფესვის ყელიდან ოდნავ მაღალ დონეზე, ნარგავები მექანიკურად ინორმება რიგში კბილებიანი მბრუნავი ფარცხით, შემდეგ კი ხელით გამოთხელდება, ჰერბიციდით დამუშავდება, განოყიერდება და მოირწყვება.

სურათი 45. ივნისში მსხმოიარე მარწყვის განახლების საწყისი საფეხურია რიგის სიგანის შემცირება.

რიგების დავიწროების შემდეგ ითიბება ძველი ფოთლები მნიშვნელოვანია, რომ არ დაზიანდეს ფესვის ყელი და მარწყვის მცენარის საწყისი განტოტვა. მარწყვის ნარგავების ზედა ნაწილის მოთიბვა შეიძლება მექანიკურად ერთად მბრუნავი სათიბის გამოყენებით, რომელიც მიბმულია ტრაქტორზე ან ხელით, მაღალსიჩქარიანი მოტორიზებული მბრუნავი ინსტრუმენტით (სურათი 46).

ივნისში მსხმოიარე ჯიშების განახლების შემდეგი საფეხურია გათიბული ნარგავების მექანიკურად შეთხელება რიგის შიგნით მბრუნავი როტაციული კულტივატორით (სურათი 47). ნარგავების, დაახლოებით, ნახევარი უნდა მოსცილდეს, რათა განახლების შემდეგ მივიღოთ კარგი, ძლიერი რიგი.

ამის შემდეგ ხდება რიგებში, დაახლოებით, 20-25 სმ-ის დაშორებით დარჩენილი ნარგავების შეთხელება. ეს, როგორც წესი, ტარდება ხელით ან თოხით (სურათი 48). ასევე, რიგს უნდა დაემატოს, დაახლოებით, 2 სმ ნიადაგი, ისე, რომ არ დაიფაროს ფესვის ყელი. მარწყვის ნარგავებს ყოველწლიურად ახალი ფესვები გამოსდის ფესვის ზედა ნაწილში, ასე რომ, ეს ხელს შეუწყობს ძირითადი მცენარეების რეგენერაციას.

სურათი 46. ძველი მარწყვის ნარგავების წვერების მოთიბვა უშუალოდ ვარჯის სიმაღლეზე მაღლა.

სურათი 47. მცენარეთა მექანიკური შეთხელება მოტოკულტივატორით.

სარეველებთან ბრძოლა

შეთხელების შემდეგ ივნისში მსხმოიარე კულტივარების განახლების შემდეგი საფეხური უნდა იყოს პრევენციის მიზნით ჰერბიციდის ნარევით დამუშავება: sulfentrazone (Spartan) და pendimethalin (prowl), terbacil (Sinbar) ან napropramide (Devrinol). ეს ჰერბიციდები ეფექტურია მთელი რიგ სარეველებთან საბრძოლველად განახლებულ შერეულ რიგებში დარგული, ივნისში მსხმოიარე მარწყვის ნაკვეთისთვის ზაფხულის დარჩენილი პერიოდის დიდი ნაწილის განმავლობაში. ჰერბიციდების გააქტიურებისთვის აუცილებელი იქნება მათი ნიადაგში შერევა წვიმის ან დასაწვიმი სარწყავი სისტემის საშუალებით. შესაძლებელია ჰერბიციდი sethoxydim-ის (Poast) გამოყენება ამოსული სარეველა ბალახის წინააღმდეგ მარწყვის ნარგავების დაზიანების რისკის გარეშე.

ზაფხულის განახლების პერიოდში, 3-4 თვის განმავლობაში, ვიდრე მარწყვი გამოიღებს ახალ გართხმულ ყლორტებს და რიგები ახალი მცენარეებით გაივსება, სარეველებთან საბრძოლველად საჭიროა ჰერბიციდებით დამუშავება. სარეველებთან არასათანადო ან არაეფექტურ ბრძოლას განახლების პერიოდში შედეგად მოჰყვება მარწყვის ნარგავების სუსტი ზრდა ზაფხულის დარჩენილი პერიოდის განმავლობაში და შემცირებული მსხმოიარობა მომდევნო წლის გაზაფხულზე.

განოყიერება

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ღონისძიება პლატაციის განახლებისას არის ნარგავების განოყიერება, რათა ხელი შეეწყოს მთავარი მცენარეების ხელახალ გაზრდას, სტოლონების ჩამოყალიბებას და ახალი ნარგავების ზრდას. რეკომენდებულია 50 კგ N-ის, P-ის, და K-ის დამატება თითო ჰექტარზე უშუალოდ დათხელების შემდეგ. ქვიშოვანი ან მსუბუქი სტრუქტურის ნიადაგებისთვის აგვისტოს შუა პერიოდში რეკომენდებულია თითო ჰექტარზე დამატებით 25 კგ N-ის დამატება.

სურათი 48. მარწყვის ხელით შეთხელება ნარგავებს შორის 20-25 სმ-ზე.

მორწყვა

მარწყვის კვლები უნდა მოირწყას უშუალოდ განახლების შემდეგ და გაგრძელდეს ზაფხულის დარჩენილი პერიოდის განმავლობაში წვეთოვანი ირიგაციის ან დაწვიმების სისტემის გამოყენებით. მარწყვის ნაკვეთისთვის საჭიროა ნიადაგის სათანადო ტენიანობა, რათა დანარჩენი ნარგავები გაიზარდოს ძლიერად, ჩამოყალიბდეს გართხმული ულვაშები და ახალი მცენარეები.

მარწყვისთვის ხელმისაწვდომი წყლის მოცულობა განპირობებულია ნიადაგის წყლის შეკავების უნარით, აორთქლების მაჩვენებლით და მცენარის ფესვების სიღრმით, რაც 15-20 სმ-ია. ნაკვეთი უნდა მოირწყას, როდესაც ნიადაგის ტენიანობის დონე მიუახლოვდება ნაკვეთის წყლის შეკავების უნარის 40%-ს. ქვიშოვან ნიადაგზე ცხელ ამინდში შეიძლება საჭირო იყოს მარწყვის მორწყვა ორსამ დღეში ერთხელ.

შემოდგომაზე ეფექტური დამუშავების შემდეგ მარწყვის ნაკვეთი იქნება ძლიერი და კარგად განახლებული (სურათი 49). საუკეთესო შემთხვევაში, რიგის ყოველ კვადრატულ მეტრზე 50-60 ნარგავი უნდა იყოს.

სურათი 49. მარწყვის კარგად განახლებული შერეული რიგები გვიან შემოდგომაზე.

დამტვერვა

მარწყვის ჯიშებს უმეტესობას აქვს თვითდამტვერვის უნარი, ყვავილის მამრობითი (მტვრიანა) და მდედრობითი (ბუტკო) ნაწილები ერთმანეთთან ახლოს მდებარეობს. ყვავილში ასეთი წყობა ნაყოფის წარმოქმნას უზრუნველყოფს. თუმცა, დამტვერვას ხელს უწყობს სხვა ფაქტორებიც, რის შედეგადაც იზრდება ნაყოფის რაოდენობა და ხარისხი. მაგალითად, ქარი არხევს ყვავილებს და ზრდის ყვავილის მტვრის გადაცემას, თუმცა ყვავილის ყველა ბუტკოს სრული დამტვერვისთვის მხოლოდ ქარსა და თვითდამტვერვაზე დაყრდნობა არ შეიძლება. ხშირად აუცილებელია დამატებითი დამტვერვა ფუტკრის და სხვა მწერების მიერ, განსაკუთრებით, თუ სასურველია ნაყოფის მაქსიმალური ზომა და კარგი ფორმის მქონე ნაყოფის მიღება. საუკეთესო მონაცემების მქონე ნაყოფის ჩამოყალიბებისთვის საჭიროა ფუტკრის, დაახლოებით, 16-20 ვიზიტი ერთ ყვავილზე. მარწყვის ნარგავების ყოველ ჰექტარზე სულ მცირე ორი სკა ფუტკრის გამოყენების პირობებში შესაძლებელია მოსავლიანობის 20% -მდე გაზრდა და უფრო სრულყოფილი ფორმის ნაყოფის მიღება. სკები უნდა განლაგდეს ნაკვეთების კიდის მახლობლად ყვავილობის პერიოდში.

დამტვერვის ეფექტურობა შეიძლება განისაზღვროს ნასკვების შემოწმებით ყვავილის გვირგვინის ფურცლების ჩამოცვენისას. საჭიროა ყვავილები შემოწმდეს ნაკვეთის რამდენიმე ადგილას, განსაკუთრებით, ცენტრისკენ, სადაც მეტად სავარაუდოა, რომ ყველაზე სუსტია დამტვერვა. კარგად დამტვერილი ყვავილების ბუტკოები იქნება მუქი და შეკუმშული. დაუმტვერავი ბოტკოები იქნება მოყვითალო-მომწვანო ფერის და ძალიან სუსტი. არასაკმარისად დამტვერილი ყვავილების აღმოჩენისას 4 ფუტკრების რაოდენობის გაზრდა ხელს შეუწყობს მარწყვის ხარისხის და მოსავლიანობის ზრდას. უფორმო ნაყოფის დიდი რაოდენობა, ასევე, მიანიშნებს უკეთესი დამტვერვის საჭიროებაზე (სურათი 50).

სურათი 50. პატარა, დეფორმირებული ნაყოფის დიდი რაოდენობა შეიძლება გამოწვეული იყოს არასაკმარისი დამტვერვით.

სარეველებთან ბრძოლა

საქართველოს ნიადაგებში მრავალი ბალახოვანი და ფართოფოთლოვანი სარეველაა გავრცელებული, როგორც ერთწლიანი, ისე მრავალწლიანი. მათ შეიძლება სერიოზული პრობლემა შეუქმნან მარწყვს, კონკურენცია გაუწიონ დაბალი, არაღრმა ფესვების მქონე მცენარეს სინათლის, წყლის და ნიადაგიდან საკვები ნივთიერებების მიღებაში. გარდა ამისა, სარეველები შეიძლება, მწერების, ნემატოდების და დაავადებების მასპინძლები იყოს. მაღალი ხარისხის მარწყვის ოპტიმალური მოსავლის მისაღებად ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი საშუალებაა სარეველებთან ბრძოლის შესაბამისი მეთოდების გამოყენება. ნაკვეთზე სარეველების არსებობა ართულებს მწერებისა და

დაავადებათა კონტროლს და ხელს უშლის დაკრეფის პროცესს. პოლიეთილენის მულჩით დაფარულ შემაღლებულ კვლებზე სარეველები იქნება რიგებს შორის არსებულ კვლებში და ნარგავის მიმდებარე სივრცეში.

სარეველებთან ბრძოლის საუკეთესო მეთოდია ნიადაგის სათანადოდ მომზადება, შემაღლებულ კვლებზე პოლიეთილენის მულჩის დაგება, ადრეულ ეტაპზე ნიადაგისკულტივაცია, ნამჯის მულჩის დაყრა კვლებში, პერიოდულად გათოხნა, სარეველების ხელით მოცილება და ჰერბიციდებით შეწამვლა. მცირე ფერმერებისთვის, სავარაუდოდ, ყველაზე შესაფერისი ხერხი სარეველების ხელით გამარგვლაა. მსხვილი მწარმოებლებისთვის, რომელთა ნაკვეთის ფართობი რამდენიმე ჰექტარს აღემატება, საჭიროა ჰერბიციდების გამოყენება. დარგვამდე პერიოდისთვის გათვალისწინებული ქიმიური ჰერბიციდები, როგორც წესი, უზრუნველყოფს შესანიშნავ შედეგებს. თუმცა, ხშირად ერთი ჰერბიციდი არ არის ეფექტური სარეველების ყველა სახეობის წინააღმდეგ. აქედან გამომდინარე, სხვადასხვა სახეობის სარეველებთან საბრძოლველად საჭირო იქნება სეზონის განმავლობაში სხვადასხვა სახის ჰერბიციდის გამოყენება.

სარეველები მარწყვის სანერგეებისთვისაც პრობლემაა. კულტივაცია, გათოხნა და ხელით სარეველების მოცილება უნდა განმეორდეს რაც შეიძლება ხშირად, სარეველების ზრდის პრევენციისთვის. კულტივაცია უნდა იყოს ზედაპირული და ჩატარდეს ფრთხილად, რათა თავიდან ავიცილოთ ჩამოყალიბებული მცენარეების დაზიანება. სანერგეში გართხმული ულვაშების და ახალი მცენარეების გადაადგილება შესაძლებელია ზედაპირული კულტივაციის შემდეგ.

სარეველების წარმოქმნას ხელს უშლის, ასევე, კარგი სანიტარიული დამუშავება. სანიტარიული დამუშავება ამცირებს ნაკვეთზე არსებული რომელიმე სარეველის გავრცელებას და სხვა სახეობების სარეველების გაჩენას. ამას გარდა, მნიშვნელოვანია იმ სარეველების მოცილება, რომლებიც ვეგეტატიურად მრავლდება, წარმოქმნის დიდი რაოდენობით თესლს ან შეიძლება ხელახლა გაიზარდოს, თუ დარჩა ტენიანი ნიადაგის რიგებში. ნიადაგში დამატებული ნაკელი ან სხვა ორგანული ნივთიერებები ყოველთვის უნდა იყოს კომპოსტირებული ან სტერილიზებული, რათა თავიდან ავიცილოთ სიცოცხლისუნარიანი სარეველების თესლის შეტანა. განაპირა უბნებში სარეველების თესლის წარმოქმნის შეჩერება დამატებითი პრევენციული მეთოდია. ასევე, მარწყვი არ უნდა გაშენდეს ისეთ ნაკვეთებზე, სადაც მრავალწლიანი სარეველებია.

სარეველები მარწყვის ნაკვეთებისთვის სერიოზული საფრთხეა და საჭიროა მათი მოცილება მთელი წლის განმავლობაში (სურათი 51). სარეველების ჩამოყალიბებამდე აღმოფხვრის მეთოდებია: რეგულარული კულტივაცია, გათოხნა, გამარგვლა, ნიადაგის მულჩირება და ჰერბიციდებით დამუშავება.

სურათი 51. სარეველების ხელით ხშირად მოცილება (მარცხნივ) საჭიროა, რათა ჰერბიციდების გამოყენების გარეშე ჩამოყალიბებულ მარწყვის ნაკვეთებში არ მოხდეს სარეველების ძლიერ გავრცელება (მარჯვნივ).

მარწყვის მწარმოებლები იყენებენ ჰერბიციდების ორ ძირითად ტიპს: აღმოცენებამდე და აღმოცენების შემდეგ. ისინი, როგორც წესი, გამოიყენება წლის სხვადასხვა დროს და სხვადასხვა სიხშირით. აღმოცენებამდე ჰერბიციდებს იყენებენ მარწყვის გადარგვამდე. აღმოცენებამდე დასამუშავებლად განკუთვნილი ყველა ჰერბიციდი, რომელიც მარწყვისთვის გამოიყენება, მოითხოვს შესხურებას ან ნიადაგში ჩახვნას ნივთიერების გასააქტიურებლად და ჰერბიციდის აორთქლებისა და სინათლეზე დაშლის თავიდან ასაცილებლად. ასევე, ჰერბიციდი შეჰყავთ სარწყავი სისტემის საშუალებით საკმარისი ირიგაციის პირობებში, რათა ნიადაგი გაიჟღინთოს 5-10 სმ სიღრმეზე. ეს ქმნის ბარიერს სარეველების აღმოცენება- განვითარებისთვის.

აღმოცენების შემდეგ მოქმედების უნარის მქონე ჰერბიციდები მოქმედებენ ფოთლებზე (კონტაქტური მოქმედების ჰერბიციდები), სარეველების დამუშავება ამ ჰერბიციდებით ხდება მათი ამოსვლის შემდეგ. შესაძლებელია ჰერბიციდების ზემოდან დასხურება მთლიან ფართობზე (მარწყვის ნერგების დარგვამდე) ან კონტროლისთვის პარაკვატის დამიზნებით შესხურება სარეველების რიგის შუა ადგილებში. ამავე მიზნით შესაძლებელია ფოთლებზე შესასხურებელი სისტემური ჰერბიციდის, გლიფოსატის გამოყენება. ამ ჰერბიციდებს არ ახასიათებს ნიადაგში აქტიურობა და საჭიროა მათი მწვანე ქსოვილთან შეხება, რომ სარეველამ შეიწოვოს. არსებული სარეველების გასანადგურებლად და მთელი სეზონის განმავლობაში კონტროლისთვის შეიძლება, საჭირო იყოს როგორც კონტაქტური და სისტემური, ასევე, ნიადაგში აქტიური ჰერბიციდების გამოყენება.

ამას გარდა, არსებობს სელექციური ან არასელექციური ჰერბიციდები. სელექციური ჰერბიციდები ეფექტურია მხოლოდ გარკვეული ტიპის სარეველების წინააღმდეგ, მაგალითად, sethoxydim (Poast), fluazifop (Fusilade) და clethodim (SelectMax) – წვრილფოთლოვანი ხოლო clopyralid (Stinger) – ფართოფოთლოვანი სარეველებისთვის. არასელექციური ჰერბიციდები, როგორიცაა glyphosate (round-Up) და paraquat (Gramoxone), ანადგურებს ან აზიანებს ყველა წვრილფოთლოვან და ფართოფოთლოვან სარეველებს და მარწყვის იმ ნარგავებს, რომლებსაც შეეხება. წვრილფოთლოვანი სარეველების ჰერბიციდი არაეფექტურია ფართოფოთლოვან მცენარეებზე, მათ შორის, მარწყვზე და შეიძლება მისი პირდაპირ შესხურება რიგებში. ჰერბიციდის ან ჰერბიციდების კომბინაციის შერჩევა მარწყვისთვის დამოკიდებულია ნაკვეთზე არსებულ სარეველების სახეობებზე, ნიადაგის ტიპზე, ორგანული ნივთიერებების პროცენტულ შემადგენლობასა და ჰერბიციდის ფასზე.

სარეველების კონტროლი მარწყვის ნარგავებში

შერეულ რიგებად დარგული მარწყვისთვის შიდა ქართლის რეგიონში გაზაფხულზე ფრიგო ნარგავების უშუალოდ დარგვის შემდეგ რეკომენდებული ჰერბიციდების ნარევია sulfentrazone (Spartan) და pendimethalin (prowl). ამ ორი ჰერბიციდის კომბინაციაში გამოყენება უზრუნველყოფს წვრილფოთლოვანი და ფართოფოთლოვანი სარეველების შესანიშნავ კონტროლს. ეს ჰერბიციდები არ უნდა გამოიყენოთ, თუ ფრიგო მარწყვის ნერგში შეინიშნება ზრდა. თუ ფრიგო მცენარეები სრულად მთვლემარე მდგომარეობაში არ არის, ამან შეიძლება გამოიწვიოს ნერგების ზრდის და ახალი მცენარეების რაოდენობის შემცირება. Sulfentrazone-ის არქონის შემთხვევაში შესაძლებელია მისი flumioxazin-ით (Chateau) ან lactofen (Cobra)-ით ჩანაცვლება.

თუ აღმოცენებამდე ჰერბიციდების კომბინაცია არ უზრუნველყოფს სარეველებთან სათანადო ბრძოლას და სეზონის გვიან ეტაპზე რიგში მრავალი სარეველაა, მაშინ აღმოცენების შემდეგ ნაკვეთი უნდა დამუშავდეს მარცვლოვნების საწინააღმდეგო ჰერბიციდით (sethoxydim, fluazifop ან clethodim) და ფართოფოთლოვანი მცენარეებისთვის განკუთვნილი ჰერბიციდით (clorpyralid). აღმოცენების შემდეგ ჰერბიციდებით დამუშავებისთვის საუკეთესო დროა სარეველების აქტიურად ზრდის პერიოდი და როცა მათი სიმაღლე 5-10 სმ-ა. ეს ჰერბიციდები მარწყვისთვის არ არის საშიში და შეიძლება უშუალოდ მარწყვის ნარგავებზე იყოს გამოყენებული. მარწყვის ნარგავებში აღმოცენების შემდეგ ფართოფოთლოვანი სარეველების კონტროლისთვის არსებობს მხოლოდ ერთი ჰერბიციდი (მაგალითად, clopyralid), რომელიც არ აზიანებს აქტიურად მზარდ მარწყვის მცენარეებს.

არსებობს კიდევ რამდენიმე არასელექციური ჰერბიციდი, რომლებიც ანადგურებენ აღმოცენებულ ფართოფოთლოვან და ბალახოვან სარეველებს, თუმცა შესხურებისას მათი მარწყვის ნარგავზე მოხვედრა სერიოზულად დააზიანებს ნარგავს ან გამოიწვევს მის დაღუპვას. ეს ჰერბიციდებია paraquat და glyphosate.

აღმოცენებამდე ჰერბიციდებით – sulfentrazone და pendimethalin დამუშავება შემოდგომაზე შიდა ქართლის რეგიონში შერეულ რიგებად დარგულ ივნისში მსხმოიარე მარწყვისთვის (მაგ. Honeoye) არ უნდა ჩატარდეს მარწყვის ნარგავის მოსვენების მდგომარეობაში გადასვლამდე, რაც, როგორც წესი, ნოემბრის დასაწყისში ხდება. ჰერბიციდით დამუშავება უნდა ჩატარდეს ნარგავების ჩალის მულჩით დაფარვამდე. თუმცა, რეკომენდებული არ არის შემოდგომაზე ისეთი ნიადაგების

ჰერბიციდებით დამუშავება, სადაც ორგანული ნივთიერებების შემცველობა 1 პროცენტზე ნაკლებია. ხშირად გაზაფხულზე, ვიდრე მარწყვი დაიწყებს ვეგეტაციას, განსაკუთრებით, ტენიან ნიადაგზე, რთულია ჰერბიციდების შეტანა.

სარეველების კონტროლი შემაღლებულ კვლებზე

სამეგრელოს რეგიონში შემაღლებულ კვლებში ნიადაგის პოლიეთილენის მულჩით დაფარვა საკმარისი უნდა იყოს რიგის შიგნით სარეველებთან სათანადო ბრძოლისთვის. კვლებში ან რიგთაშორისებში არ უნდა იყოს სარეველები, რაც უნდა მოშორდეს კულტივაციით ან აღმოცენების შემდეგ მარცვლოვან და ფართოფოთლოვან მცენარეებზე წამლის ფრთხილად, დამიზნებით შესხურებით.

შესასხურებლის დაკალიბრება და მოვლა-შენახვა

ჰერბიციდით დამუშავებამდე საჭიროა შემასხურებლის დაკალიბრება მარწყვის დაზიანების შესამცირებლად და ჰერბიციდის მაქსიმალური ეფექტურობის უზრუნველსაყოფად. შესასხურებლის ერთგვაროვნება ძალიან მნიშვნელოვანია სარეველებთან წარმატებული ბრძოლისთვის. ჰერბიციდის შეტანისას შესხურების სიჩქარე უნდა იყოს ძალიან ერთგვაროვანი და, როგორც წესი, უნდა შეადგენდეს 2-3 კმ/საათში. შესხურებისას საჭიროა დაბალი წნევის (138-207 kPa; 20-30 PSI) გამოყენება, რათა უზრუნველყოფილი იყოს კარგი დაფარვა და არ მოხდეს წამლის გაფრქვევა.

შემასხურებლის პირის გაცვეთამ შეიძლება გავლენა მოახდინოს ერთგვაროვნებაზე მისი მოდელის ან ნახვრეტის ვიზუალურ შესახედაობაზე ზეგავლენის მოხდენის გარეშე. ამდენად, საჭიროა შემასხურებელის წვერების რეგულარულად შეცვლა. უმჯობესია ხანგრძლივი მოხმარების ვადის მქონე წვერები და საჭიროა მათი რეგულარულად გაწმენდა გამოყენების შემდეგ რბილი ჯაგრისით. შემასხურებელი მოხმარებამდე სათანადოდ უნდა დაკალიბრდეს. ტუჩის ზომა, შემასხურებლის მოცულობა და მოდელი უნდა იყოს ერთგვაროვანი. შემასხურებლის მოცულობა უნდა გაიზომოს თითოეული პირის მიერ. ნებისმიერი შემასხურებლის წვერი, რომლის სითხის შესხურების მოცულობა განსხვავებულია მწარმოებლის სპეციფიკაციებისგან 10-ზე მეტი პროცენტით, უნდა შეიცვალოს.

მავნებლები

მარწყვს ძალიან ხშირად აქვს პრობლემა სხვადასხვა მავნებლებისგან დარგვიდან მოსავლის აღებამდე. ეს არის მღეჭავი და მჩხვლეტავ-მწუწნავი მავნებლების დიდი სპექტრი. მავნებლებისგან დაუცველია ყველა ქსოვილი, მათ შორის, ფესვები, ვარჯი, ყუნწი, ფოთლები, ყვავილები, ნაყოფი. მავნებლებთან ბრძოლის ეფექტური პროგრამები გულისხმობს შესაძლო პრობლემებთან დაკავშირებით ზომების მიღებას ხშირი მონიტორინგით და, საჭიროებისამებრ, სათანადო მცენარეთა დაცვის საშუალებებით დროულად დამუშავებას. სერიოზული დაზიანების თავიდან ასაცილებლად აუცილებელია მავნებლებით გამოწვეული დაზიანების სიმპტომების ცოდნა. არსებობს მავნებლების პრევენციის არა ერთი მეთოდი: შესაბამისი სანიტარიული მეთოდები, ბიოლოგიური და ქიმიური კონტროლი. ქვემოთ აღწერილია მარწყვის ყველაზე გავრცელებული მავნებლები და მათ მიმართ რეკომენდებული კონტროლის ღონისძიებები.

ბუგრი (Chaetospihon fragaefolii), (Myzus persicae), (Macrosiphum euphorbiae)

მარწყვის ბუგრი (Chaetospihon fragaefolii), მწვანე ატმის ბუგრი (Myzus persicae) და კარტოფილის ბუგრი (Macrosiphum euphorbiae) ბუგრის ის სახეობებია, რომლებიც საქართველოშია გავრცელებული. გამადიდებლით დაკვირვებისას მარწყვის ბუგრი შეიძლება განვასხვავოთ სხვა ბუგრებისგან მცირე ბეწვებითა და მომრგვალებული ბოლოებით მთელ სხეულზე. მათი შეფერილობა ღია მწვანედან მოყვითალომდეა, მათი ნიმფების ზომებია 0.8-1.1 მმ, ზრდასრულებისა კი - 1.3-1.5 მმ. ზრდასრულებს აქვთ გრძელი საცეცები, რომლებიც სხეულის სიგრძისაა ან უფრო გრძელია. მათთვის მოსახერხებელია ფოთლების ქვედა მხარეს კვება და, ძირითადად, სწორედ აქ შეიძლება მათი აღმოჩენა (სურათი 52).

ბუგრები მჩხვლეტავ-მწუწნავი მწერებია, რომლებიც წოვენ უჯრედის წვენს, რაც იწვევს მცენარის სიძლიერის შემცირებას. რაც უფრო მნიშვნელოვანია, მარწყვის ბუგრებს შეუძლიათ ერთი მცენარიდან მეორეზე ვირუსების გადატანა. ვირუსები, რომლებიც ვრცელდება მარწყვის ბუგრების საშუალებით, შეიცავს მარწყვის ფოთლის კიდეების გაყვითლების გამომწვევსა და ლაქიანობის ვირუსს. ზოგჯერ ბუგრებმა შეიძლება, ასევე, გამოიწვიონ დაზიანება მუქი ობის ფორმირებით; ესაა სოკო, რომელიც ვითარდება ბუგრების გამონაყოფზე და შეიძლება დააზიანოს ფოთლები და ნაყოფი.

ბუგრის კონტროლისთვის გამოიყენება ინსექტიციდები, როდესაც ფოთლის ნიმუშის მიხედვით დგინდება, რომ ის საზიანო დონეს აღწევს. შემთხვევითი პრინციპით შეარჩიეთ ფოთლის ნიმუში ნარგავების სხვადასხვა ადგილიდან და გამოთვალეთ, ფოთლების რამდენ პროცენტს ჰყავს ბუგრი. საჭიროა შესხურება, თუ დაზიანების დონე აღწევს 30 პროცენტს. ბუგრების კონტროლისთვის რეკომენდებული ინსექტიციდებია: malathion (Malathion), carbaryl, bifenthrin, flonicamid, novaluron, thiamethoxam, esfenvalorate, imidacloprid acetamiprid.

სასარგებლო მტაცებლები Aphidius spp და პარაზიტული კრაზანების რამდენიმე სახეობა კარგად მოქმედებს ბუგრების წინააღმდეგ და ბიოლოგიური კონტროლის კარგი საშუალებაა.

ფოთოლხვევია (Ancylis comptana fragariae)

მარწყვის ფოთოლხვევია ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული მავნებელია, რომელიც იკვებება მარწყვის ფოთლებით. ზრდასრული პეპელა მოწითალო-მოყავისფროა, ყვითელი წერტილებით წინა ფრთებზე (ნახატი 53). მათი ფრთების გაშლილი ზომა, დაახლოებით, 12 მმ-ია. პეპლები კვერცხებს დებენ მარწყვის ნარგავზე, ჩვეულებრივ, ფოთლების ქვედა მხარეს. კვერცხები იჩეკება და მატლები იკვებებიან ფოთლების ეპიდერმისით, გამოყოფენ აბლაბუდებს და ფოთლიდან ფოთოლზე გადაადგილებისას ფოთლებს აერთებენ ერთმანეთთან. მატლების კვებასა და ზრდასთან ერთად მათი ფერი იცვლება ღია მწვანიდან მორუხო-მოყავისფროსკენ. ზრდასრული მატლების სიგრძე აღწევს, დაახლოებით, 12 მმ-ს (სურათი 53).

სურათი 53. მარწყვის ზრდასრული ფოთოლხვევია (მარცხნივ) და მატლი (მარჯვნივ).

კვებისას მატლები გამოყოფენ აბლაბუდის ძაფებს, რომლებიც მოკეცავს და ერთმანეთთან აბამს მარწყვის ფოთლებს (სურათი 54). გადაკეცილ ფოთლებში მატლები იკვებებიან მხოლოდ ცალკეული ფოთლის ეპიდერმისით, თუმცა მოგვიანებით ყავისფრდება მთლიანი ფოთოლი.

სურათი 54. ქსელი და ფოთლის დაზიანება, რომელიც დამახასიათებელია მარწყვის ფოთოლხვევიის კვებისთვის.

ფოთოლხვევიებთან ბრძოლის რეკომენდებული ინსექტიციდებია: spinetoram (Delegate, Radiant), spinosad (Entrust, Success), chlorantraniliprole (Altacor, Coragen) და tebufenozide-ს (Confirm).

თრიფსი – Leafhoppers (Homoptera სახეობა)

ზრდასრული თრიფსი ღია მწვანე-მოთეთრო ფერის და, დაახლოებით, 3 მმ სიგრძისაა (სურათი 55). შეხებისას ისინი სწრაფად აფრინდებიან. ახალგაზრდა ნიმფები პაწაწინა, ღია მწვანე ფერისაა და მათი გამოვლენა იოლია, ვინაიდან შეხებისას ისინი გვერდზე მოძრაობენ.

სურათი 55. ზრდასრული თრიფსი შეიძლება იყოს ღია მწვანე ან თეთრი.

თრიფსები ისვენებენ ფოთლების ქვედა მხარეს, თბილ დღეებში კი აქტიურად ფრენენ. თრიფსი აზიანებს მარწყვს ფოთლის ქსოვილზე მიწებებით და უჯრედებიდან წვენის გამოტანით, რაც ამცირებს მცენარის სიძლიერეს. ძლიერ დაზიანებული ფოთლები თეთრი წერტილებით იფარება. თრიფსების კვება, ასევე, იწვევს ზედა ფოთლების დახვევას და მოყვითალო ქერქის წარმოქმნას. თრიფსი არ იკვებება ნაყოფით, თუმცა შეუძლია მისი დაბინძურება მცირე რაოდენობით ნარჩენი მასალებით.

თრიფსების კარგ კონტროლს უზრუნველყოფენ შემდეგი ინსექტიციდები : malathion (Malathion), carbaryl (Sevin), acetamiprid (Assail), bifenthrin (Brigade, Capture), imidacloprid (Admire, Provado), thiamethoxam (Actara), esfenvalorate (Asana), novaluron (Rimon), fenpropathrin (Danitol), flonicamid (Beleaf) და esfenvalorate (Asana).

სურათი 58. მარწყვის ზრდასრული კვირტის ცხვირგრძელა ხოჭო.

კვირტის ცხვირგრძელა – Strawberry Bud Weevil (Anthonomus signatus)

კვირტის ცხვირგრძელა არის პატარა, გრძელცხვირა ხოჭო, დაახლოებით, 2.5 მმ სიგრძის, სხვადასხვა ფერის – მკრთალი წითლიდან თითქმის შავ შეფერილობამდე, მუქი ლაქით თითოეული ფრთის საფარის ქვემოთ (სურათი 58).

კვირტის ცხვირგრძელას ზრდასრული ხოჭოები იკვებებიან თითქმის ზრდასრული ყვავილის მტვრით. ამის შემდეგ ეხვევიან გარს ყვავილის კვირტს, ხელს უშლიან მის გახსნას და ჭრიან (სურათი 59). მოგვიანებით, ზრდასრული კვირტის ცხვირგრძელა დებს კვერცხს ყვავილების შიგნით. მატლები იკვებებიან დაზიანებული კვირტის შიგნით 3-4 კვირის განმავლობაში; ზაფხულის შუა პერიოდში გამოდის ზრდასრული მწერების ახალი თაობა. კვირტის ცხვირგრძელა ხოჭო გვხვდება უშუალოდ აყვავილებამდე და აყვავილების პერიოდში. მათი უმრავლესობა მარწყვის ნაკვეთზე ხვდება მოსაზღვრე ტყეებიდან.

სურათი 59. კვირტის დაზიანება (მარცხნივ): კვირტი წყდება ღეროს (შუა ნაწილი) და მარწყვის კვირტის ცხვირგრძელა ხოჭოს მიერ დაზიანებული ყვავილის ფურცლები (მარჯვნივ).

როდესაც შენიშნავთ, რომ ნარგავებში გავრცელებულია კვირტის ცხვირგრძელა ხოჭოები და ახალი მოწყვეტილია, სულ მცირე, ერთი კვირტი მაინც რიგის ერთი მეტრის მანძილზე, საჭიროა ინსექციტიციდით დამუშავება. მარწყვის კვირტის ცხვირგრძელა ხოჭოების წინააღმდეგ რეკომენდებული ინსექტიციდებია შემდეგი პრეპარატები: malathion (Malathion), carbaryl (Sevin), bifenthrin (Brigade, Capture), imidacloprid (Admire, Provado), thiamethoxam (Actara), esfenvalorate (Asana), chlorpyrifos (Lorsban), novaluron (Rimon) და fenpropathrin (Danitol).

ფესვის ღრაჯა (მარწყვის ფესვის ხოჭო) (Otiorhynchus ovatus)

ფესვის ღრაჯა, დაახლოებით, 6-8 მმ სიგრძისაა და აქვს დამახასიათებელი ქიტინოვანი საფარი - მცირე ღრმულებით (სურათი 60). ზრდასრული ღრაჯა კვერცხს დებს ნიადაგში, ვითარდება მსხვილი, თეთრი, უფეხო მატლები მოყავისფრო თავებით, რომლებიც, დაახლოებით, 6-8 მმ სიგრძის იზრდება. მატლები გადაადგილდებიან ნიადაგში და იკვებებიან მარწყვის ფესვებით და ვარჯით, რაც იწვევს ზრდის მწვავე შეფერხებას ან მცენარის დაღუპვას.

სურათი 60. ფესვის ღრაჯა.

ფესვის ღრაჭას წინააღმდეგ რეკომენდებული ინსექტიციდებია: malathion (Malathion), carbaryl (Sevin), bifenthrin (Brigade, Capture), imidacloprid (Admire, Provado), thiamethoxam (Actara), esfenvalorate (ასანა)(Asana), chlorpyrifos (Lorsban), novaluron (Rimon) და fenpropathrin (Danitol).

მაისის ღრაჭა (*Phyllophaga species, Cyclocephala species*)

ღრაჭების რამდენიმე სხვადასხვა სახეობის ლარვების კვებამ შეიძლება მნიშვნელოვნად დააზიანოს მარწყვის ნარგავების ფესვთა სისტემა. ჭუპრის წარმოქმნამდე ლარვა მცენარის ფესვებით შეიძლება ორი წლის განმავლობაში იკვებებოდეს. ზრდასრული ლარვა არის დიდი, დაახლოებით, 24-36 მმ სიგრძის, აქვს გაბერილი მუცელი და ყავისფერ თავთან ახლოს განლაგებული მკაფიოდ გამოკვეთილი ფეხები.

მიწიდან ამოთხრისას ლარვები ყოველთვის განლაგდება მოკაუჭებულად, „C“ ასოს მსგავსად (სურათი 61). ზრდასრულები არიან ყავისფერი ხოჭოები (ივნისის მწერები), დაახლოებით, 12 დან 18 მმ სიგრძის, აქვთ მბზინავი საფარი და მოვერცხლისფრო მუცელი. გამოსვლის შემდეგ მათი აქტიურობა, დაახლოებით, ორ კვირას გრძელდება, თუმცა ძნელად შესამჩნევი არიან, ვინაიდან კარგად არ ფრენენ. კვერცხებს დებენ ნიადაგში 3 - 6 სმ-ის სიღრმეზე და იჩეკებიან 3-4 კვირაში.

სურათი 61. თეთრი grubworm ლარვა (მარცხნივ) და ზრდასრული (მარჯვნივ).

ღრაჭებით მცენარის ნაწილებით კვების შედეგად ზიანდება ფესვები და ქერქი. ლარვებით დაზიანება იწვევს ფოთლების ფერის შეცვლას მოწითალო-მოყავისფრო შეფერილობამდე და ნაყოფი ხდება პატარა და მარცვლოვანი. დაზიანებული მცენარე ნელ-ნელა პატარავდება ფესვთა სისტემების განადგურებასთან ერთად. საბოლოოდ კი ჭკნება და იღუპება. ნაკვეთზე ჩნდება ხმობადი ნარგავების თანდათანობით გაფართოებული არეები. ლარვების ნახვა ხშირად შესაძლებელია ფესვთა ზონაში, მათი ამოთხრის დროს. თეთრი მატლი, როგორც წესი, ნიადაგში შედის სტერილიზაციის გავლის გარეშე ფერმიდან შეტანილი ნაკელის დამატების შედეგად.

კალციუმის ქლორიდის ნაკელთან შერევით მნიშვნელოვნად შემცირდება ღრაჭების ინოკულანტები, ვინაიდან ლარვები იღუპებიან. ბრძოლის კიდევ ერთი მეთოდია ცისფერი ფერის წყლის დამჭერების გამოყენება, რომლებიც იზიდავს და ხოცავს ზრდასრულ ხოჭოებს.

ღრაჭების წინააღმდეგ რეკომენდებული ინსექტიციდები, რომლებიც გამოიყენება ნიადაგის შეწამვლისთვის, შემდეგი პრეპარატებია: diazinon (Diazinon), bifenthrin (Brigade, Capture), და imidacloprid (Admire, Provado).

აბლაბუდიანი ტკიპა (Tetranychus urticae)

აბლაბუდიანი ტკიპა ერთ-ერთი ყველაზე საშიში მავნებელია, რომელიც მარწყვს საფრთხეს აპრილიდან ივნისის ჩათვლით შედარებით მაღალტემპერატურიან პირობებში უქმნის. ამასთან ისინი განსაკუთრებით საშიშია სათბურებში მოშენებული მარწყვისთვის. ტკიპები მნიშვნელოვნად აზიანებენ ფოთლებს მათი ფხეკით და წვენის გამოწოვით. დაზიანებული ფოთლები, როგორც წესი, ლაქებით არის დაფარული. აბლაბუდიანი ტკიპების კიდევ ერთი სიმპტომია მუდმივად გაბმული

ქსელები ფოთლის ქვედა ზედაპირზე. 10X გამადიდებელი შუშით დავინახავთ ტკიპის კვერცხებს და განვითარების ყველა ეტაპს დაავადებული ფოთლების ქვედა მხარეს. ხელის ობიექტივით შესაძლებელია დავინახოთ ორი მუქი ლაქა ზრდასრულ ჩვეულებრივ ობობა ტკიპას სხეულის ორივე მხარეს და ორი წითელი თვალის წერტილები თავზე (სურათი 62). ზრდასრულ მდედრს აქვს რვა ფეხი, მისი სიგრძე, დაახლოებით, 0.5 მმ-ია, შეფერილობა შეიძლება იყოს ჩალისფრიდან მწვანემდე, ყავისფერი ან ნარიჯისფერი. მამრი შედარებით მცირე ზომისაა, დაახლოებით, 0.3 მმ სიგრძის, აქვს ვიწრო სხეული და წაწვეტებული მუცელი.

სურათი 62. ზრდასრული ჩვეულებრივი აბლაბუდიანი ტკიპა.

ტკიპები უფრო გავრცელებულია ცხელი, მშრალი პერიოდების განმავლობაში და დაზიანება ძლიერდება ნიადაგის დაბალი ტენიანობის პირობებში. პოპულაციის ზრდასა და კვების გაძლიერებასთან ერთად ფოთლები ხდება მოყვითალო-მოყავისფრო-ბრინჯაოსფერი, შემდეგ კი ხმება და ჩამოცვივა. ჩვეულებრივი ობობა ტკიპას კვების შედეგად მცირდება მცენარეთა სიძლიერე, მოსავლიანობა და ნაყოფის ზომა.

ტკიპის სასიცოცხლო ციკლი გამოჩეკვიდან ზრდასრულ ეტაპამდე მერყეობს 19 დღიდან 13°C-ის პირობებში 5 დღემდე -23°C-ის პირობებში. ცხელ, მშრალ ამინდებში პოპულაციამ შეიძლება, მოკლე პერიოდში ძალიან დიდ რაოდენობას მიაღწიოს. ჩვეულებრივი ობობა ტკიპების კვება მნიშვნელოვნად ამცირებს მარწყვის ნარგავების სიძლიერეს, მსხმოიარობას და ნაყოფის ზომას.

აბლაბუდიან ტკიპებთან წარმატებით საბრძოლველად ძალიან მნიშვნელოვანია პოპულაციების კონტროლი და ზომების დროულად მიღება. მონიტორინგი მოიცავს კვირაში ერთხელ მთელი ნაკვეთიდან 60 ფოთლის შემთხვევითი პრინციპით შერჩევას. ტკიპების არსებობა განისაზღვრება თითოეულ ფოთოლზე, თუმცა არ არის საჭირო ტკიპების დათვლა. თუ 60 ფოთლიდან 15 - ზღვრული მაჩვენებელი (შემთხვევების მაჩვენებელი 25%) აღმოჩნდა ინვაზირებული, საჭიროა ტკიპების საწინააღმდეგო წამლით დამუშავება. ჩვეულებრივი ობობა ტკიპასათვის რეკომენდებული მაიტიციდებია abamection (Agri-mek) და bifenazate (Acramite).

როდესაც პოპულაციების დონე მაღალ მაჩვენებელს მიაღწევს, ამ დროისთვის დაზიანების დიდი ნაწილი უკვე მიყენებულია და ტკიპების წინააღმდეგ ბრძოლა რთული იქნება. მარწყვის პლანტაციების გარშემო დამტვერიანებული გზების მორწყვა ხელს შეუწყობს ტკიპების გავრცელების შეზღუდვას. ამას გარდა, არსებობს ჩვეულებრივი ობობა ტკიპების წინააღმდეგ ეფექტური ბიოლოგიური საშუალებები, მაგალითად, მტაცებელი ტკიპა ფიტოსეილუსი – Phytoseiulus persimilis (სურათი 63). მისი გამოყენება შეამცირებს abamectin-ის გამოყენების საჭიროებას, რომელიც ძვირადღირებული აკარიციდია, თუმცა ეფექტურია აბლაბუდიანი ტკიპების წინააღმდეგ.

სურათი 63. Phytoseiulus persimilis – ფიტოსეილუსი, მტაცებელი ტკიპა ჩვეულებრივი აბლაბუდა ტკიპების წინააღმდეგ ბრძოლის კარგი საშუალებაა.

ფიტოსეილუსი ტკიპებისთვის ხელსაყრელია 16-27°C ტემპერატურის პირობები. 38°C-ზე მაღალი ტემპერატურა მათთვის არახელსაყრელია. ეს მტაცებელი ტკიპა შეგიძლიათ შეიძინოთ Koppert Biological Systems-იდან (სათაო ოფისი ჰოლანდიაში მდებარეობს) და შეიძლება მათი გაშვება ნაკვეთებში ჩვეულებრივი აბლაბუდა ტკიპების წინააღმდეგ. სამეგრელოს რეგიონში ფიტოსეილუსი ტკიპების გაშვება რეკომენდებულია მარტში, ვიდრე მარწყვის ფოთლებს დაეწყებათ სიმპტომების გამოვლინება.

ჩვეულებრივი აბლაბუდა ტკიპების წინააღმდეგ ეფექტური ბიოლოგიური ბრძოლისთვის ერთ ჰექტარზე უნდა გაუშვათ 25,000-35,000 ფიტოსეილუსი. ბრძოლის ბიოლოგიური მეთოდით სარგებლობისას ხელსაყრელ თანაფარდობად ითვლება 1 მტაცებელი 10 ტკიპაზე.

ჩვეულებრივი დუჟიანა (*Philaenus spumarius*)

დუჟიანა მარწყვის აბეზარი მავნებელია, რომელსაც უკიდურესად დიდი რაოდენობით გავრცელებისას შეუძლია გამოიწვიოს მცენარეთა ზრდის შეჩერება და ნაყოფის ზომის შემცირება. თუმცა, ისინი, ძირითადად, უსიამოვნოა მკრეფავებისთვის, მწერის გამონაყოფის (ქაფის) გამო, მიუხედავად მისი უვნებლობისა. დუჟიანა შეიძლება ვიცნოთ მარწყვის ნარგავების ფოთლებზე, ფოთლის ყუნწებსა და ღეროებზე თეთრი ქაფის მასებით (სურათი 64). ამ ნივთიერებას გამოიმუშავებენ მოყვითალო მომწვანო ნიმფები მტაცებლებისგან და გამოშრობისგან თავის დასაცავად. ზრდასრული მწერები მწვანე ფერისაა და მუქდება დროთა განმავლობაში მკრთალ ყავისფრამდე. ისინი ძალიან აქტიურები არიან და შეხებისას ხტიან. ზრდასრულები არ წარმოქმნიან გამონაყოფს.

სურათი 64. დუჟიანას ნიმფა კვების შედეგად ტოვებს თეთრ ქაფისებრ გამონაყოფს

ამ მავნებლების პოპულაციების დიდი რაოდენობა ხშირად დაკავშირებულია სარეველიან ნაკვეთებთან. ამდენად, მნიშვნელოვანია სარეველებთან სათანადოდ ბრძოლა. დუჟიანას წინააღმდეგ ბრძოლისთვის რეკომენდებული ინსექტიციდებია: malathion (Malathion), carbaryl (Sevin), acetamiprid (Assail), bifenthrin (Brigade), fenpropathrin (Danitol) და imidacloprid (Admire, Provado).

ქვემოთ წარმოდგენილია მარწყვის სხვადასხვა მავნებელ მწერთან ბრძოლისთვის რეკომენდებული ინსექტიციდების ეფექტურობის შეჯამება.

ინსექტიციდების ეფექტურობა მარწყვის მავნებელ მწერებთან ბრძოლისთვის

ინსექტიციდები	მწერები					
საერთო დასახელება	ბუგრი	ფოთოლხვევია	თრიფსი	კვირტის ცხვირგრძელა	მესაფლავე ხოჭო -ღრაჭა	აბლაბუდიანი ტკიპა
bifenazate						დიახ
abamectin						დიახ
chlorantraniliprole		დიახ				
spinosad		დიახ				
chlorpyrifos				დიახ	დიახ	
diazinon	დიახ			დიახ	დიახ	
imidacloprid	დიახ		დიახ	დიახ	დიახ	
acetamiprid	დიახ		დიახ	დიახ		
bifenthrin	დიახ	დიახ	დიახ	დიახ	დიახ	
lambda-cyhalothrin				დიახ		
thiamethoxam	დიახ		დიახ	დიახ		
esfenvalorate	დიახ		დიახ	დიახ		
fenpropathrin	დიახ	დიახ	დიახ	დიახ		
malathion	დიახ		დიახ	დიახ		
carbaryl		დიახ		დიახ		
spinetoram		დიახ				
novaluron	დიახ		დიახ	დიახ		
flonicamid	დიახ		დიახ			
tebufenozide		დიახ				

დაავადებები

მარწყვზე შეიძლება სხვადასხვა დაავადება განვითარდეს. ძირითად დაავადებებს იწვევს სხვადასხვა სოკოვანი პათოგენი, შედარებით ნაკლებად - ბაქტერიები. მარწყვის დაავადების განვითარებასა და მის სიმპტომებზე გავლენას ახდენს კონკრეტული ჯიშის გენეტიკური მახასიათებლები: მასპინძელი მცენარის სიძლიერე, ზრდის ეტაპი, როდესაც ხდება მცენარის დაავადება, გარემო პირობები და მოყვანის მეთოდები. მარწყვის დაავადებებზე ზემოქმედების მქონე ყველაზე მნიშვნელოვანი გარემო ფაქტორებია: ტემპერატურა, ნიადაგისა და ჰაერის ტენიანობა, ფოთლის სინოტივე.

დაავადებების სიხშირის და სიმწვავის შესამცირებლად საჭიროა კონტროლის სხვადასხვა მეთოდების კომპლექსური გამოყენება. კონტროლის მეთოდები მოიცავს აგროტექნიკურ-სანიტარიულ ღონისძიებებს, რეზისტენტული ჯიშების გამოყენებას, მოყვანის შესაბამის მეთოდებს, ყოველწლიურად მრავალწლიანი ნარგავების განახლებას და მცენარეთა დამცავი საშუალებების გამოყენებას. გამხმარი მცენარეები მთელი რიგი დაავადებების, მათ შორის, ანთრაქნოზის და ნაცრისფერი სიდამპლის ლატენტური ინფექციური სპორების ძირითადი წყაროა. ინოკულანტის ამ წყაროს მექანიკური მოცილება მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს დაავადების კონტროლს. მარწყვის კულტურისთვის არსებობს მრავალი ფუნგიციდი, რომლებიც უზრუნველყოფს მთელი რიგი დაავადებებისგან დაცვას. სათანადო ფუნგიციდ(ებ)ის დროულად გამოყენება უზრუნველყოფს მარწყვის დაცვას დაავადებებისგან. დაავადებებთან დაკავშირებული პრობლემები, ასევე, გაიზრდება ნარგავების სიხშირის გაზრდასთან ერთად, რის გამოც ფოთლებზე შესხურება რთულდება და წვიმის შემდეგ ნაყოფი ნელა შრება.

ფოთლის თეთრი ლაქიანობა (Mycosphaerella fragariae)

ფოთლის თეთრი ლაქიანობა მარწყვის ფოთლების სოკოვანი დაავადებებიდან ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებულია. ფოთლის ლაქიანობის სიმპტომები პირველად ჩნდება 3-6 მმ-ის ზომის მრგვალი, მუქი ალისფერიდან მოწითალო-მოალისფრო ლაქების სახით. ლაქები იზრდება, ხოლო ცენტრები ხდება მონაცრისფრო-თეთრი შედარებით ასაკოვან ფოთლებზე და ღია ყავისფერი – ახალგაზრდა ფოთლებზე. ლაქა შემოსაზღვრულია მკაფიო მოწითალო-მოალისფროდან ჟანგისფერი ყავისფერი კონტურით (სურათი 65). ამას გარდა, შესაძლებელია, ასევე, ფოთლის ყუნწის, „ულვაშების“, ყვავილის ყუნწის, მარწყვის ჯამის და მწიფე მარწყვის დაავადება.

სურათი 65. მარწყვის ფოთლის თეთრი ლაქიანობის ტიპური სიმპტომები.

სპორები გამოიზამთრებენ ცოცხალი ფოთლების დაზიანებულ ადგილებში. ზაფხულის დასაწყისში ფოთლის ზედა და ქვედა ზედაპირზე წარმოიქმნება დამატებითი სპორები, რომლებიც ვრცელდება წვიმის წვეთებით. საშუალო ასაკის ფოთლები ყველაზე არამდგრადია.

ფოთლის ლაქიანობის წინააღმდეგ ბრძოლისთვის რეკომენდებული ფუნგიციდებია: pyraclostrobin (Cabrio), pyraclostrobin + boscalid (Pristine), captan (Captan), captan + fenhexamid (Captevate), myclobutanil (Nova, Rally), iprodione (Rovral), difenoconazole + cyprodinil (Inspire Super), thiram (Thiram), azoxystrobin + propiconazole (Quilt Xcel) და thiophanate methyl (Topsin-M).

ფოთლის წითელი ლაქიანობა (Diplocarpon earliana)

ფოთლის წითელი ლაქიანობა კიდევ ერთი გავრცელებული მარწყვის ფოთლის სოკოვანი დაავადებაა. ასაკოვანი და საშუალო ასაკის ფოთლები უფრო იოლად ავადდება, ვიდრე ახალგაზრდა ფოთლები. დაავადების სიმპტომები მოიცავს მრავლობით მცირე (3-6 მმ), არარეგულარულ, ალისფერ ლაქებს ფოთლის ზედა მხარეს. ეს ლაქები ფოთლის თეთრი ლაქიანობისგან განსხვავდება იმით, რომ ისინი მთლიანად ალისფერია და არ აქვთ თეთრი ცენტრი. დროთა განმავლობაში თითოეული ლაქის ცენტრში წარმოიქმნება შავი სხეულები. ლაქები შეიძლება სწრაფად გაიზარდოს და გაერთიანდეს წითელ ან ღია მეწამულ ლაქებად, რომლებიც შემდგომ გამოშრება და იწვევს ფოთლის სიდამწვრეს (სურათი 66). ლაქები შეიძლება, ასევე, გამოვლინდეს ფოთლის ყუნწებზე, სტოლონებსა და ყვავილის ყუნწებზე. ფოთლის მწვავე დაავადებამ შეიძლება მომდევნო წელს შეაფერხოს კვირტების წარმოქმნა, მცენარე გახადოს ზამთარში დაზიანებისადმი დაუცველი და წარმოქმნას ნაყოფის ჯამის დამაინფიცირებელი ინოკულანტი.



სურათი 66. მცირე, არარეგულარული ალისფერი ლაქები ფოთლის ზედა მხარეს დამახასიათებელია ფოთლის სიდამწვრისთვის.

ფოთლის წითელი ლაქიანობა ვრცელდება წვიმის შხეფებით ან მექანიკური გზით – ინფიცირებული ნაკვეთიდან ტექნიკის გადატანით ან ადამიანების მიერ. ფოთლის სიდამწვრის კონტროლისთვის რეკომენდებული ფუნგიციდებია: pyraclostrobin (Cabrio), pyraclostrobin + boscalid (Pristine), captan (Captan), captan + fenhexamid (Captevate), myclobutanil (Nova, Rally), iprodione (Rovral), difenoconazole + cyprodinil (Inspire Super), thiram (Thiram), azoxystrobin + propiconazole (Quilt Xcel) და thiophanate methyl (Topsin-M).

ფოთლის მუქი ლაქიანობა *(Phomopsis obscurans, Dendrophoma obscurans)*

ფოთლის გავრცელებული სოკოვანი დაავადებაა, რომელიც, როგორც წესი, თავს იჩენს მოსავლის აღების შემდეგ. დაავადების სიმპტომები იწყება ფოთოლზე ერთიდან ექვსამდე მრგვალი მოწითალო-მოალისფრო ლაქების გაჩენით. ფოთლის ლაქების გაზრდასთან ერთად ცენტრი ნეკროზდება, ივითარებს ღია ყავისფერ არშიას. შედარებით ძველი ლაქები ფოთლის ძირითადი ძარღვების გასწვრივ გადაიზრდება დიდი ზომის ყავისფერ V-ფორმის დაზიანებებად და გასდევს მთავარ ძარღვებს (სურათი 67). ბოლოს შეიძლება მთელი ფოთოლი გამუქდეს. მძიმე შემთხვევებში შეიძლება, დაინფიცირდეს „ულვაშები“ (stolons), და ფოთლის ყუნწები. ლაქიანობას, ასევე, შეუძლია მარწყვის ნაყოფის ღეროს ბოლოში გამოიწვიოს ვარდისფერი რბილი სიდამპლის გავრცელება. დაავადების ინტენსიური განვითარება იწვევს მომდევნო წელს ყვავილების კვირტების წარმოქმნის შეფერხებას და ზამთარგამძლეობის შემცირებას.

სურათი 67. მოწითალო-მოალისფრო წერტილები, გაფართოებული V-ფორმის დაზიანება ფოთლის მუქი ლაქიანობის დამახასიათებელი ნიშანია.

დაავადების სოკო იზამთრებს მიცელიუმის ან მსხმოიარე სტრუქტურების სახით ასაკოვან ფოთლებზე, რომლებიც მცენარიდან არ არის ჩამოცვენილი. სპორები ვრცელდება წვიმის შხეფებით გაზაფხულის დასაწყისში. ფოთლის მუქი ლაქიანობის დაზიანების ყველაზე სახიფათო პერიოდი ზრდასრული ფოთლებისთვის ზაფხულის ბოლოსაა. ეს სოკო თითქმის მხოლოდ შედარებით სუსტ, ნელა მზარდ მცენარეებში იჭრება და, როგორც წესი, არ იჭრება ახალგაზრდა ყლორტებში.

დაავადებასთან ბრძოლისთვის ეფექტურია, ასევე, ნაყოფის სიდამპლისთვის რეკომენდებული აგროტექნიკური მეთოდები და ფუნგიციდები. ეს ითვალისწინებს მცენარეთა რიგების სათანადო დისტანციით მოწყობას, რათა შესაძლებელი იყოს ჰაერის დრენაჟირება და მცენარის ზრდის სიძლიერის უზრუნველყოფა. მასთან ბრძოლის რეკომენდებული ფუნგიციდებია: pyraclostrobin (Cabrio), pyraclostrobin + boscalid (Pristine), captan (Captan), captan + fenhexamid (Captevate), myclobutanil (Nova, Rally), iprodione (Rovral), difenoconazole + cyprodinil (Inspire Super), thiram (Thiram), azoxystrobin + propiconazole (Quilt Xcel) და thiophanate methyl (Topsin-M).

გნომონიოზი (*Gnomonia comari*)

გნომონიოზი მარწყვის კიდევ ერთი ფართოდ გავრცელებული ფოთლის დაავადებაა. გნომონიოზის სიმპტომები ახალგაზრდა ფოთლებზე ჩნდება ალისფერი მოყავისფრო დაზიანებების სახით. შედარებით ხნიერ ფოთლებზე დაზიანებები ზოგჯერ ფართოვდება და წარმოიქმნება ღია ყავისფერი ნეკროზული ლაქები (სურათი 68). შესაძლებელია ყვავილის ყუნწის, ფოთლის ყუნწის, ჯამის და ნაყოფის დაზიანება. პატარა ზომის ნაყოფისთვის დამახასიათებელი სიმპტომებია არარეგულარული ყავისფერი ლაქები ზედაპირზე და ნაყოფის განვითარების შეწყვეტა. მწიფე ნაყოფზე დაავადებას ახასიათებას რბილი სიდამპლე, რომელშიც ხშირად იჭრება მეორადი დაავადებები.

სურათი 68. გნომონიოზისთვის დამახასიათებელი დაზიანებები და გაფართოებული ყავისფერი ნეკროზული ლაქები.

ნაკვეთის სათანადო სანიტარიული დამუშავება ხელს უწყობს გნომონიოზის სიხშირის და სიმწვავის კონტროლს. გნომონიოზთან ბრძოლისთვის რეკომენდებული ფუნგიციდებია: pyraclostrobin (Cabrio), pyraclostrobin + boscalid (Pristine), captan (Captan), captan + fenhexamid (Captevate), myclobutanil (Nova, Rally), iprodione (Rovral), difenoconazole + cyprodinil (Inspire Super), thiram (Thiram), azoxystrobin + propiconazole (Quilt Xcel) და thiophanate methyl (Topsin-M).

ნაცარი (*Sphaerotheca macularis*)

ნაცარი მარწყვის ფოთლის გავრცელებული დაავადებაა. თუმცა, განსხვავებულია სხვადასხვა ჯიშის გამძლეობა მის მიმართ. სიმპტომები მოიცავს თეთრ ნაფიფქს ფოთლის ქვედა ზედაპირზე, რაც იწვევს ფოთლის კიდეების გარეთა მხარეს დახვევას. დაავადებული ფოთლები იღუნება, წითლდება და იფარება მორუხო თეთრი ნაცროვანი სოკოთი (სურათი 69). მოგვიანებით ფოთლები წითლდება ან ალისფერი ხდება.

სურათი 69. ნაცრით დაავადებული მარწყვი, სადაც ჩანს სოკოს თეთრი უბნები ფოთლის ქვედა მხარეს და ზემოთ დახვეული ფოთლები.

თეთრი სოკოვანი ნაფიფქით შეიძლება დაიფაროს, ასევე, ინფიცირებული ყვავილები და ნაყოფი. დაავადებული ნაყოფი შეიძლება ვერ დამწიფდეს ან არ განუვითარდეს სრულყოფილი წითელი ფერი. სოკო, როგორც წესი, კოლონიებად იჭრება ნაყოფის თესლში, წარმოქმნის მიცელიუმს, რომელიც თესლს აძლევს განსხვავებულ სახეს.

სურათი 70. ნაცრით დაავადებული მარწყვი (ნაყოფი) თესლის გარშემო სოკოვანი ნაზარდით.

ნაცრის გავრცელებისთვის ხელსაყრელია ტემპერატურა (15-20°C) და მაღალი ტენიანობა, თუმცა არა წვიმა. ნაცროვანი სოკო – ესაა დაავადება, რომელიც მწარმოებელმა ადრეულ ეტაპზე უნდა აღმოაჩინოს, ვიდრე ნაკვეთს ფართოდ მოედება. როდესაც ბევრი ფოთლებია კოლონიზებული, წარმოიქმნება დიდი რაოდენობით სპორები და დაავადებასთან ბრძოლა რთულდება. პლატაცია გაშენების შემდეგ რეგულარულად უნდა შემოწმდეს, უნდა დააკვირდეთ ამობრუნებულ ფოთლებს, გადმოაბრუნოთ და ნახოთ, ხომ არ აღენიშნება ნაფიფქი. ნაცროვანი სოკოს აღმოჩენის შემდეგ დაავადების დასათრგუნად საჭირო იქნება ფუნგიციდებით დამუშავება.

ნაცროვან სოკოსთან საბრძოლველად რეკომენდებული ფუნგიციდებია: azoxystrobin (Abound), pyraclostrobin (Cabrio), myclobutanil (Nova, Rally), pyraclostrobin + boscalid (Pristine), triflumizole (Procure), quinoxyfen (Quintec), difenoconazole + cyprodinil (Inspire Super), metconazole (Mettle), cyflufenamid (Torino), azoxystrobin + propiconazole (Quilt Xcel) და thiophanate methyl (Topsin-M).

ყავისფერი ლაქიანობა – ქსანტომონოზი Angular Leaf Spot (*Xanthomonas fragariae*)

ყავისფერი ლაქიანობა – ქსანტომონოზი მარწყვის ერთ-ერთი ძირითადი ბაქტერიული დაავადებაა. დაავადების ადრეული სიმპტომებია პატარა დაზიანებები ფოთლის ქვედა მხარეს (სურათი 71). კაშკაშა შუქზე დაკვირვებისას დაზიანებები არის ნახევრად გამჭვირვალე, ჩვეულებრივ ან მუქ ფონზე დაკვირვებისას კი – მუქი მწვანე. დაზიანებები ფართოვდება და წარმოქმნის კუთხოვან ლაქებს წვრილი ძარღვების გასწვრივ. ბაქტერიები შეზღუდულია ფოთოლში ძარღვების განლაგებით, რაც დაზიანებას აძლევს კუთხოვან სახეს.

ტენიან პირობებში ლაქებიდან ვითარდება გამონაჟონი. გაშრობისას ლაქებზე წარმოიქმნება მოთეთრო ქერცლიანი კანი. დაავადების პროგრესირებასთან ერთად შეიძლება განვითარდეს ფოთლის ლაქიანობის და ფოთლის სიდამწვრის მსგავსი სიმპტომები. შედარებით ხანგრძლივი დაავადებისას კი ვითარდება ქლოროზული კონტური, ქსოვილის უბნები მოწითალო-მოყავისფროა, ფოთლებზე და ფოთლის ყუნწებზე არსებული დაზიანებები ერთიანდება და ქმნის დიდ, არარეგულარული ფორმის ნეკროზულ წერტილებს ანუ ლაქებს. შესაძლებელია, ასევე, ნაყოფის ჯამების დაინფიცირება.

სურათი 71. ადრეულ ეტაპზე ნახევრად გამჭვირვალე დაზიანებული კუთხოვანი ფოთოლი ადგილზე (მარცხენა, ცენტრი) და არარეგულარული ნეკროზული ლაქები ხანგრძლივი ინფექციებისას (მარჯვნივ).

დაავადებისთვის ხელსაყრელი პირობებია დღის განმავლობაში დაახლოებით, 18°C ტემპერატურა, ღამით ნულ გრადუსთან ახლოს და ტენი: წვიმა, დაწვიმებით მორწყვა ან ძლიერი ცვარი. ფოთლის ლაქების გამომწვევი ბაქტერიები ძლიერ გამძლეა გამოშრობისადმი და შეიძლება ასაკოვან ფოთლებზე ან ნიადაგში მცენარის ქსოვილთან ერთად დიდხანს გაძლოს. ბაქტერიების გავრცელება შესაძლებელია წვიმით, მორწყვით ან ერთი მცენარიდან მეორეზე გადატანით ნაკვეთების დამუშავებისას.

ქსანტომონოზის ინოკულანტის ძირითადი წყარო ახალგაშენებულ ნაკვეთზე დაბინძურებული გადარგული მასალაა. აქედან გამომდინარე, ქსანტომონოზთან ბრძოლა უნდა დაიწყოს ნაკვეთზე ჯანსაღი ნერგების გაშენებით. ვინაიდან ეს ბაქტერიული დაავადებაა, მას ვერც ერთი ფუნგიციდი ვერ თრგუნავს ეფექტურად. სპილენძზე დამზადებული მასალის (მაგ,. Kocide) შესხურებით შესაძლებელია გარკვეულ დონეზე კონტროლის მიღწევა. ნაკვეთებში, სადაც წარსულში ეს დაავადება არსებობდა, საჭიროა ინოკულანტის შემცირება რაც შეიძლება მეტი ფოთლების ნარჩენების გატანით ნაკვეთის განახლებისას, ასევე, გაზაფხულზე, ახალი ზრდის დაწყებამდე. დაწვიმებითი ირიგაციის მეთოდის გამოყენება რეკომენდებული არ არის, ვინაიდან ის ბაქტერიის გავრცელებას უწყობს ხელს. გაცილებით უმჯობესია წვეთოვანი ირიგაციის მეთოდის გამოყენება. ამას გარდა, მინიმუმამდე უნდა შემცირდეს დროის პერიოდი, როდესაც ფოთლები და ყვავილები სველ მდგომარეობაშია. ასევე, ნაკვეთები არ უნდა დამუშავდეს ან არ უნდა აიღოთ მოსავლი, როდესაც ფოთლები სველია.

ყველაზე მწვავე პრობლემა გასაღების თვალსაზრისით, ესაა ნაყოფის ჯამის დაავადების და დანეკროზების შესაძლებლობა, რაც გამოიწვევს ნაყოფის ცუდ სასაქონლო სახეს.

ფესვის ყელის ფიტოფტორა (*Phytophthora cactorum*)

ფიტოფტორა გამოწვეულია ნიადაგში არსებული სოკოთი, რომელიც აავადებს მარწყვის ფესვთა სისტემას და ფესვის ყელს. დაავადება უპირატესად დაკავშირებულია მძიმე ან ცუდი დრენაჟის მქონე ნიადაგებთან. ამავე სოკოს სახეობა იწვევს ნაყოფის კანის სიდამპლეს და ფესვის სხვა დაავადებებს.

ფიტოფტორით დაავადებული ფესვის ყელის სიდამპლის საწყისი სიმპტომებია: მცენარეთა ზრდის შეჩერება და პატარა ფოთლების განვითარება. შედეგადი მთელი მცენარე დაჭკნება და გახმება (სურათი 72). ინფიცირებული მცენარის გაჭრისას ვარჯის ძარღვოვან ქსოვილში ან მთელი ვარჯის ქსოვილში შესაძლებელია ყავისფერი გაუფერულების დანახვა. ფესვები, როგორც წესი, უფერული ყავისფერია. ამ დაავადებისგან გამოწვეული ჭკნობის და ფესვის ყელის სიდამპლის სიმპტომები რთული გამოსარჩევია ანთრაქნოზით დაზიანებისგან, რომელსაც იწვევს Colletotrichum gloeosporioides. ანთრაქნოზით დაინფიცირებული ქსოვილი ხდება შედარებით მუქი დარიჩინის ფერი, არის უფრო მტკიცე და ხშირად მარმარილოსებრი. ფესვის ყელის სიდამპლის კონკრეტული მიზეზის სათანადოდ გამოსავლენად აუცილებელია პათოგენის გამოყოფა და იდენტიფიცირება ლაბორატორიულ პირობებში.

სურათი 72. ფესვის ყელის გაუფერულებული ყავისფერი ქსოვილი (მარცხნივ) და დამჭკნარი მცენარე (მარჯვნივ) ფესვის ყელის ფიტოფტორის ინფექციის დამახასიათებელი სიმპტომებია.

ფესვის ყელის ფიტოფტოროზის წინააღმდეგ ბრძოლის საუკეთესო გზაა ნაკვეთის გაშენებისას ჯანსაღი ნერგების გამოყენება. ნაკვეთებზე ან სანერგეებში დაავადების კონტროლი შეიძლება ნიადაგის დრენაჟირების გაუმჯობესებით დ,ა ასევე, ფუნგიციდებით: mefenoxam (Ridomil Gold) ან ფოთლის დასამუშავებელი საშუალებით – fosety ალუმინი (Aliette). Mefenoxam-ით დამუშავება შეიძლება წვეთოვანი სარწყავი სისტემით უშუალოდ მცენარის დარგვის შემდეგ.

ანთრაქნოზი (*Colletotrichum gloeosporioides, Colletotrichum fragariae*)
ანთრაქნოზის ტიპის ფესვის სიდამპლე გამოწვეულია სოკოს ორი მსგავსი სახეობით და ყველაზე გავრცელებულია თბილ რეგიონებში. ანთრაქნოზის ტიპის ფესვის სიდამპლე შეიძლება სერიოზული დაავადება იყოს ისეთ ნაკვეთებზე, რომლებიც ჩამოყალიბებულია დაინფიცირებული ნარგავებით ან ისეთ ნიადაგებში, სადაც მანამდე მოჰყავდათ მარწყვი, პომიდორი, წიწაკა და ბადრიჯანი. ანთრაქნოზის გამომწვევი სოკო შეიძლება, შეიჭრას ფოთლის ყუნწში, ვარჯსა და ნაყოფის ქსოვილებში. სოკოს გავრცელება დაინფიცირებული ქსოვილებიდან ჯანმრთელ ნაყოფსა და ვარჯზე, ძირითადად, წყლის შხეფებით, ქარის მიერ წვიმის წვეთების გადაადგილებით და დაბინძურებული ტექნიკის გამოყენებით ხდება.

დაავადებისთვის დამახასიათებელია მთლიანი მცენარის მოულოდნელი ჭკნობა. რამდენიმე დღეში შეიძლება დაიღუპოს მთელი მცენარე. ანთრაქნოზით დაინფიცირებულ ვარჯის ქსოვილს ექნება მოწითალო-მოყავისფრო გაუფერულება (სურათი 73). ანთრაქნოზით გამოწვეული ვარჯის სიდამპლის გამორჩევა ფიტოფტორით გამოწვეული ვარჯის სიდამპლისგან შესაძლებელია მხოლოდ სოკოვანი პათოგენის გამოყოფით.

სურათი 73. ანთრაქნოზით ინფიცირებული მარწყვის ვარჯის მოწითალო-მოყავისფრო გაუფერულება.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ნერგების მიღება სერტიფიცირებული სანერგეებიდან, ასევე, ნერგები არ უნდა იყოს დაინფიცირებული ანთრაქნოზით, რათა თავიდან ავიცილოთ ამ დაავადების შეტანა ნაკვეთზე. დაინფიცირებული ნერგის დადგენა დარგვისას ძალიან რთულია. თუმცა, ეს მალე გამოაშკარავდება, როდესაც დაიწყება ახალგაზრდა მცენარეების დაღუპვა დარგვიდან ერთი თვის შემდეგ. ანთრაქნოზის სიხშირის და სიმწვავის შემცირება შესაძლებელია, ასევე, დარგვისას ჩითილის ფუნგიციდური ხსნარით დამუშავებით ან ასეთ ხსნარში ჩაშვებით.

მარწყვის ანთრაქნოზთან ბრძოლა რთულია, განსაკუთრებით, თბილ, ტენიან პირობებში. პათოგენი ჯანმრთელ ნარგავებზე შეიძლება გავრცელდეს წვიმის წყლის შხეფებით ან სპრინკლერული სარწყავი სისტემით. მნიშვნელოვანია ჯანმრთელი ფესვის მქონე ნერგების გამოყენება, ასევე, შეიძლება სასარგებლო იყოს ხელახლა დარგვამდე გარკვეული პერიოდის განმავლობაში მარწყვის როტაცია, ვინაიდან სოკო გამოიზამთრებს ინფიცირებულ მცენარეთა ქსოვილებში ან ნიადაგში ინვაზირებულ ნარჩენებში. პათოგენის გავრცელება შეიძლება გაზარდოს დაინფიცირებულ მცენარეებიან ან ნაყოფიან ნაკვეთებში დასაწვიმი ირიგაციის გამოყენებამ და სველ ნაკვეთებში ადამიანების ან ტექნიკის მოძრაობამ. სოკოს შხეფებით გავრცელების შემცირებისთვის რეკომენდებულია ნამჯის მულჩის ჩაფენა რიგებს შორის.

ანთრაქნოზის საწინააღმდეგო ფუნგიციდებია: captan (Captan), iprodione (Rovral), mycobutanil (Nova, Rally), azoxystrobin (Abound), pyraclostrobin (Cabrio), pyraclostrobin + boscalid (Pristine), captan + fenhexamid (Captevate), propiconazole (Bumper, Tilt, PropiMax), azoxystrobin + propiconazole (Quilt Xcel), cyprodinil (Switch) და difenoconazole + cyproninil (Inspire Super).

ანთრაქნოზით გამოწვეული ნაყოფის სიდამპლე (*Colletotrichum acutatum*)

ანთრაქნოზით გამოწვეული ნაყოფის სიდამპლე გამოწვეულია იმავე სოკოვანი პათოგენით, რომელიც იწვევს ანთრაქნოზით გამოწვეულ ფესვის ყელის სიდამპლეს. ანთრაქნოზით გამოწვეული ნაყოფის დაზიანება გამოიხატება ჩაღრმავებული, ოვალური-მომრგვალო ფორმის, მკვრივი და მოწითალო-მუქი ყავისფერი (სურათი 74) ლაქების სახით. შემდგომ ეტაპებზე და სათანადო ტენიან პირობებში ანთრაქნოზით გამოწვეული დაზიანებები შეიძლება შეიცავდეს დაზიანებების საზღვრებზე თეთრ მიცელიუმს და ნარინჯისფერ-ვარდისფერ სოკოვანი სპორების მასას დაზიანების ცენტრში. მშრალ პირობებში ან თუ მეორადი ორგანიზმები არ გამოიწვევს რბილ სიდამპლეს, ნაყოფი შეიძლება დაჭკნეს და გაშავდეს.

სურათი 74. ანთრაქნოზით გამოწვეული მუქი ჩაღრმავებული დაზიანება დაუმწიფარ და მწიფე ნაყოფზე.

ანთრაქნოზი პირველ რიგში ვრცელდება ფოთლებზე. ხშირად არ იწვევს შესამჩნევ სიმპტომებს. სპორები გადადის ფოთლებიდან ყვავილებსა და ნაყოფზე წყლის შხეფებით და მოსავლის აღებასთან დაკავშირებული ოპერაციებისას. თბილი ტენიანი ამინდი ხელს უწყობს ინფექციის და ავადმყოფობის გავრცელებას. საჭიროა მცენარეთა შემოწმება და ყვავილების ან პატარა მწვანე ნაყოფზე შავი ლაქების მოძებნა წვიმიანი ამინდებიდან, დაახლოებით, ერთი კვირის შემდეგ. დაავადების აღმოჩენისთანავე საჭიროა დაუყოვნებლივ შესაბამისი ფუნგიციდით დამუშავება.

ანთრაქნოზით გამოწვეული ნაყოფის სიდამპლის კონტროლის საუკეთესო გზაა პათოგენის ნაკვეთზე მოხვედრის გამორიცხვა. ნაკვეთისთვის ინოკულანტის გავრცელებული წყაროა დაინფიცირებული ნერგები. გარდა ამისა, სათანადო გაწმენდის და დეზინფიცირების გარეშე არასასურველია ჯანმრთელ ნაკვეთებში დაავადებული ნაკვეთებიდან მუშათა და ტექნიკის გადაადგილება. დასარგავად რეზისტენტული ჯიშების შერჩევა კიდევ ერთი ეფექტური გზაა ამ დაავადების თავიდან ასაცილებლად. შედარებით ნაკლებად გამძლე (მაგალითად, Festival) ან ძლიერ მიმღებიანი ჯიშების (მაგალითად, Camarosa) გაშენების შემთხვევაში დაავადების წინააღმდეგ საჭირო იქნება ფუნგიციდებით რეგულარულად დამუშავება.

ფუნგიციდები, რომლებიც ამცირებენ ანთრაქნოზით გამოწვეული ნაყოფის სიდამპლის სიხშირესა და სიმწვავეს, მოიცავს შემდეგ პრეპარატებს: captan (Captan), iprodione (Rovral), mycobutanil (Nova, Rally), azoxystrobin (Abound), pyraclostrobin (Cabrio), pyraclostrobin + boscalid (Pristine), captan + fenhexamid (Captevate), propiconazole (Bumper, Tilt, PropiMax), azoxystrobin + propiconazole (Quilt Xcel), cyprodinil (Switch) და difenoconazole + cyproninil (Inspire Super). მითითებული ფუნგიციდებით კვირაში ერთხელ დამუშავება ყვავილობის დაწყების

პერიოდიდან ხელს შეუშლის ნარგავის ფართო კოლონიზაციას და დათრგუნავს ყვავილის და ნაყოფის ინფექციებს. ფუნგიციდების პროფილაქტიკური დანიშნულებით დამუშავების გარეშე თებერვალში სამეგრელოს რეგიონში რამდენიმე ანთრაქნოზით ინფიცირებულმა ყვავილმა და ნაყოფმა შეიძლება გამოიწვიოს დაავადების მძლავრი გავრცელება აპრილიდან ივნისამდე თბილი და წვიმიანი ამინდის პერიოდში.

სურათი 75. დაავადებული მარწყვის უბეწვო ფესვთა სისტემისთვის დამახასიათებელი სპეციფიკური „ვირთხის კუდის“ მსგავსი სიმპტომი.

მარწყვის ფიტოფტორა (*Phytophthora fragaria*)

მარწყვის ფესვის ფიტოფტორა – სიდამპლის გავრცელების ხელშემწყობია მძიმე ან დრენაჟირების ცუდი სისტემის მქონე ნიადაგებში. სოკო წარმოქმნის სპორებს, რომლებიც ვრცელდება წყლით და მექანიკური გზებით. ეს სპორები აინფიცირებენ და ანადგურებენ ბუსუსა ძაფისებურ ფესვებს, რაც ფესვთა სისტემის დარჩენილ ნაწილს აძლევს „ვირთხის კუდის“ მსგავს შესახედაობას (სურათი 75). სოკოვანი პათოგენი გამოიზამთრებს დაინფიცირებულ ფესვებში და ნიადაგში შეიძლება დარჩეს მრავალი წლის განმავლობაში, მიუხედავად კულტურების როტაციისა. სოკო ყველაზე აქტიურია გაზაფხულზე და შემოდგომაზე, როდესაც ნიადაგი ცივი და სველია. დაავადება ვლინდება ჯგუფებად ყველაზე ნოტიო/სველ ადგილებში. დაავადების სიმპტომები ივნისში მსხმოიარე ჯიშებში თვალსაჩინო არ ხდება მეორე სეზონამდე.

სოკოვანი ინფექცია მხოლოდ ფესვთა სისტემაზე ვრცელდება, თუმცა ფოთლებზე შეინიშნება თვალსაჩინო სიმპტომები. ახალი ფოთლები პატარა და მოლურჯო-მომწვანოა, ძველი ფოთლები კი ყვითლდება ან წითლდება. დაავადებული მცენარეების ზრდა ჩერდება და ისინი იძლევა მცირე რაოდენობით ნაყოფს ან საერთოდ არ იძლევა. დაავადებული მცენარე შეიძლება დაიღუპოს ან შეუჩერდეს ზრდა, წარმოქმნას მცირე რაოდენობის პწკალები და პატარა ზომის ნაყოფი (სურათი 76). დაავადებული მცენარე მშრალი ამინდის პირობებში ძალიან სწრაფად იღუპება.

სურათი 76. დაავადებული მარწყვი, რომელსაც აღენიშნება ჭკნობა და ფოთლების გახმობა.

ფიტოფტორით დაზიანებული მარწყვის ფესვის ყელის ქვედა ნაწილი, რომელიც, ჩვეულებრივ, მოყვითალოა, იღებს მოჟანგისფრო-მოწითალო ყავისფერს. გაუფერულებული შეიძლება იყოს მთელი გული ან მხოლოდ ფესვთა ბოლოებში არსებული შიდა ნაწილი. მოწითალო-მოყავისფრო გაუფერულების შემჩნევა იოლია სიგრძეზე ან სიგანეზე კვეთის შემთხვევაში (სურათი 77).

სურათი 77. მარწყვის ფიტოფტორითათი დაინფიცირებული ფესვის ყელი მოწითალო-ყავისფერია.

კარგი დრენაჟი, მსუბუქი, კარგი ტექსტურის მქონე ნიადაგის შერჩევა და შემაღლებულ კვლებზე ტენიან ადგილებში მცენარეთა დარგვა ხელს შეუშლის სოკოს ზრდას. ნერგები მხოლოდ შემოწმებულ და სერტიფიცირებულ სანერგეებში უნდა შეიძინოთ. დაავადების სიხშირის და ინტენსივობის შემცირება შესაძლებელია ნიადაგის დრენაჟირებით და დამუშავებით mefenoxam (Ridomil)-ით მცენარეთა დარგვის შემდეგ ან fosetyl-Al-ით (Aliette), ფოთლებზე შესხურების გზით მცენარეთა განვითარების შესაბამის სტადიებში.

რიზოქტონიოზი – ფიტოფტორა (*Phytophthora cactorum*)

რიზოქტონიოზი – ფიტოფტორა ნაყოფის სიდამპლის სახეობაა, რომელსაც იწვევს იმავე ნიადაგიდან გავრცელებული ფესვის ყელის სიდამპლის გამომწვევი სოკო. მარწყვის ნაყოფი შეიძლება დაინფიცირდეს ფიტოფტორით განვითარების ყველა ეტაპზე, დაწყებული ყვავილობიდან ნაყოფის დამწიფებამდე. დაავადება ვლინდება ლოკალიზებული, მრგვალი ან ოვალური დაინფიცირებული ადგილებით, რომლებიც მოგვიანებით ფართოვდება და წარმოქმნის არარეგულარული ფორმის ლაქებს. ლაქები შემდეგ ნაყოფის დიდ ნაწილს ფარავს. მიცელიუმი ან სხვა სოკოვანი სტრუქტურები არ ჩანს გარეგან დაზიანებებზე. დაუმწიფებელი ნაყოფის დაინფიცირებული ადგილები, როგორც წესი, მუქი ყავისფერი ან მოყვითალო-მოყავისფროა, მწიფე ნაყოფის დაინფიცირებული ადგილები კი გაუფერულებული და რბილი (სურათი 78). დაავადებული უბანი შეხებისას რბილია და არასასიამოვნო სუნი და მწარე გემო აქვს. მოსავლის აღების შემდეგ ნაყოფის ზედაპირზე, ტენიან პირობებში შეიძლება გაჩნდეს თეთრი ნაფიფქიც.

წვიმიანი ამინდი ხელს უწყობს რიზოქტონიოზი – ფიტოფტორას განვითარებას ყვავილებზე ან ნაყოფზე ნიადაგის ნაწილაკებთან ერთად სოკოვანი სპორების მოხვედრით. შესაძლებელია, ასევე, სიმწიფეში შესული ნაყოფის დაავადება სველ ნიადაგთან შეხებით. ხშირად დილის ნამმა შეიძლება საკმარისი ტენიანობა უზრუნველყოს იმისათვის, რომ სოკოვანმა სპორებმა გამოიწვიოს ინფექცია. ჭარბი წვიმიანობა ხშირად ოპტიმალურ პირობებს ქმნის სოკოვანი დაავადების განვითარებისთვის.



სურათი 78. რიზოქტონიოზი – ფიტოფტორით დაავადებული მუქი ყავისფერი უბნები მკვახე ნაყოფში (მარცხნივ) და გაუფერულებული უბნები მწიფე ნაყოფში (მარჯვნივ).

ფიტოფტორის კონტროლი შეიძლება ფუნგიციდებით – mefenoxam (რიდომილ გოლდი) და fosetyl-Al (Aliette). Mefenoxam-ი გამოიყენება ნიადაგის დასველება-დეზინფექციით, ხოლო fosetyl-Al - ფოთლებზე შესასხურებლად. ორივე ფუნგიციდი სისტემურია და შეწოვის შემდეგ გადაადგილდება დაავადებულ ქსოვილებში, სადაც ახდენს ნაწილობრივ სამკურნალო მოქმედებას. ფიტოფტორის სიხშირე და სიმწვავე შეიძლება მნიშვნელოვნად შემცირდეს მცენარეთა შორის სათანადო მანძილის უზრუნველყოფით და სარეველებთან ბრძოლით, რათა შენარჩუნდეს კარგი აერაცია და ხელი შეეწყოს მცენარეთა ზედაპირების სწრაფად გაშრობას. შემაღლებულ კვლებში პოლიეთილენის ნიადაგის მულჩით დაფარვა დიდწილად შეამცირებს ფიტოფტორის შემთხვევებს. გარდა ამისა, რიგებს შორის უნდა დაიგოს ჩალის მულჩი, რათა დამწიფების პროცესში ნაყოფის ზედაპირს წვიმის შხეფებთან ერთად არ მოხვდეს მიწა.

ვერტიცილიოზი (*Verticillium albo-atrum*)

ვერტიცილიურ ჭკნობას იწვევს ნიადაგში არსებული სოკო, რომელსაც მასპინძლების დიდი სპექტრი აქვს, მათ შორის, ერთწლიანი და მრავალწლიანი კულტურები და სარეველები. ვერტიცილიური ჭკნობის სპორები ვრცელდება წყლით, ქარით ან დაინფიცირებული სარგავი მასალით და მოსავლის აღებისას წარმოქმნილი ნარჩენებით. სოკო ნიადაგში ძლებს 25 წლის ან მეტი ხნის განმავლობაში. დაავადების პირველი ნიშნები შეინიშნება გაზაფხულის ბოლოს, ტემპერატურის გაზრდისას. მარწყვის ახალ ნარგავებს სიმპტომები, როგორც წესი, გამოავლინდებათ ახალი ულვაშების წარმოქმნისას (სურათი 79). სიმპტომები ხშირად უფრო აშკარა ხდება ზაფხულში. ძველი ნარგავები ზიანდება უშუალოდ მოსავლის აღებამდე. ამ დაავადების საწყისი სიმპტომებია დაჭკნობა და კიდეებზე და ძარღვებს შორის შედარებით ძველი ფოთლების გაყავისფრება. შიდა ფოთლები რჩება მწვანე და ჯანსაღი, თუმცა ნელა ვითარდება და მცენარის ზრდა შესამჩნევად ფერხდება.

სურათი 79. ვერტიცილიური ჭკნობა ახალ ყლორტებზე (მარცხნივ) და ჩამოყალიბებული ნარგავების გარე ფოთლებზე (მარჯვნივ).

ძლიერ დაზიანებული მცენარის მდგომარეობა ნელ-ნელა უარესდება, საბოლოოდ კი იღუპება. დაავადებულ მცენარეებს ფესვის ყელზე უვითარდება ნეკროზული ხაზები, რომლებიც სხვა ფესვის ყელის სიდამპლეს ჰგავს (სურათი 80). დაავადებული ნარგავები ხშირად გაფანტულია მთელ ნაკვეთზე. მიწისზედა სიმპტომების გარჩევა რთულია სხვა ფესვთა სოკოვანი დაავადებებისგან. თითქმის ყველა შემთხვევაში, სოკოს სახეობის დასადგენად აუცილებელია სოკოს იზოლირება და გამოკვლევა.

სურათი 80. ვერტიცილიური ჭკნობით დააავადებული მარწყვის ძარღვების დაზოლვა.

ვერტიცილიური ჭკნობის კონტროლის საუკეთესო მეთოდია ჯანსაღი სარგავი მასალის გამოყენება. მარწყვის სანერგეები არ უნდა გაშენდეს ისეთ ადგილებში, სადაც მანამდე კარტოფილი ან პომიდორი მოჰყავდათ. ეს სოკო უფრო მწვავე ხდება ნიადაგის მაღალი PH-ის პირობებში, ამდენად, საჭიროა დაკვირვება, რათა დარგვამდე სათანადოდ დარეგულირდეს pH. რეკომენდებულია, ასევე, არ გაშენდეს მარწყვი ისეთ ნიადაგში, სადაც მანამდე დარგული იყო პომიდორი, ბადრიჯანი, წიწაკა,

ნესვი, კარტოფილი, პიტნა და ჟოლო. ეს მცენარეები ძლიერ მგრძნობიარე არიან ვერტიცილიური ჭკნობის მიმართ. თესლბრუნვა ან/და დარგვამდე ნიადაგის ფუმიგაცია რეკომენდებულია, თუ მარწყვი უნდა დაირგას ისეთ ადგილას, სადაც გასული 2 წლის განმავლობაში ვერტიცილიური ჭკნობის სოკო იყო გავრცელებული. თესლბრუნვისას ნაკვეთი უნდა მოიხნას და არანაკლებ ორი წლის განმავლობაში უნდა დაითესოს ის სასოფლო-სამეურნეო კულტურა, რომელიც მდგრადია ვერტიცილიური ჭკნობისადმი. რაც უფრო დიდი ხნის განმავლობაში შეიძლება როტაცია ნაკვეთზე მარწყვის ხელახლა დარგვამდე, მით უკეთესია. გარდა ამისა, მნიშვნელოვანია ჯიჯლაყას და ნაცარქათამას მსგავსი სარეველების კონტროლი, რადგან ეს სარეველები ვერტიცილიური ჭკნობის მასპინძელი მცენარეებია.

ნაცრისფერი სიდამპლე ანუ ბოტრიცისი Gray Mold (*Botrytis cinerea*)

ნაცრისფერი სიდამპლე ანუ ბოტრიცისი მარწყვის ერთ-ერთი ყველაზე საშიში დაავადებაა, შეუძლია გამოიწვიოს ყვავილების და ნაყოფის დანაკარგი. ასევე, იგი მარწყვის მოსავლის აღების შემდეგ მთავარი დაავადებაა. მარწყვის არც ერთ ჯიშს არ აქვს რეზისტენტობა ბოტრიცისის მიმართ. დაავადების განვითარებას ხელს უწყობს სითბო (15-24°C), მაღალი ფარდობითი ტენიანობა დიდი ხნის განმავლობაში და ფოთლის ზედაპირის სისველე. ბოტრიცისის სიხშირე და ინტენსივობა განსაკუთრებით მაღალია წვიმიან და ღრუბლიან პერიოდებში უშუალოდ მოსავლის აღებამდე ან მოსავლის აღების პერიოდში.

ნაცრისფერი სიდამპლის სპორები, რომლებიც გამოიზამთრებენ გამხმარ ფოთლებზე, განვითარებას იწყებენ ადრე გაზაფხულზე შედარებით თბილი ტემპერატურის დადგომისას. ჯერ ზიანდება ახალი ფოთლები, შემდეგ კი ინფიცირდება ყვავილები, ბოლოს კი ნაყოფი. დაავადების უარყოფითი ზემოქმედება ძლიერდება ნალექიან გაზაფხულზე და ჩახშირებულ ნარგავებში, სადაც ბევრი ფოთოლი და სქელი საბურველია. მნიშვნელოვანია ნარგავებს შორის სათანადო სივრცის დაცვა, რათა შესაძლებელი იყოს ჰაერის კარგი ცირკულაცია. ეს ხელს შეუწყობს ფოთლების, ყვავილების და ნაყოფის სწრაფად გაშრობას მაღალი ტენიანობის პერიოდში და შეამცირებს Botrytis-ის სპორების განვითარების ინტენსივობას.

ბოტრიცისის ინფექციის სიმპტომები ნაყოფზე იწყება პატარა, რბილი, სწრაფად მზარდი ლაქებით, ხშირად ჯამის ქვეშ, რომლებიც ღია ყავისფერია. ნაყოფი გამოშრება, გამუქდება და დაიფარება მტვრის მსგავსი, ფხვნილისებრი სოკოს სპორების ფენით, რაც რუხ შესახედაობას აძლევს (სურათი 81).

სურათი 81. მარწყვის საშიში დაავადება – ნაცრისფერი სიდამპლე ანუ ბოტრიცისი.

ბოტრიცისის კონტროლი უნდა დაიწყოს ნიადაგის მულჩირებით, ნაკვეთის კარგი სანიტარიული დამუშავებით, ნაკვეთიდან ყველა გამხმარი ფოთლის და ინფიცირებული ნაყოფის მოცილებით, ასევე, პროფილაქტიკური მიზნით ფუნგიციდის შეფრქვევით. ფუნგიციდით დამუშავება უნდა დაიწყოს ყვავილობის დასაწყისში და გაგრძელდეს მოსავლის აღებამდე, ყოველ 10 დღეში ერთხელ. ჭარბი ტენიანობის პერიოდში შეიძლება აუცილებელი იყოს 5-7 დღის ინტერვალით შესხურება. ფუნგიციდით დამუშავებისას აუცილებელია პრეპარატის როტაცია, სულ მცირე 2 კვირაში ერთხელ, სხვადასხვა პრეპარატის გამოყენებით, დაავადებისადმი რეზისტენტობის გამომუშავების პრევენციის მიზნით.

ნაცრისფერი სიდამპლის წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებათა სისტემა მოიცავს ზამთრის ბოლოს მცენარის გასუფთავებას, ასევე, სათანადო სქემით ფუნგიციდის ოთხჯერ შესხურებას. პირველი

შესხურება უნდა განხორციელდეს პირველი ნაზარდების განვითარებისას, გამოზამთრებული მცენარის გამხმარი ნაწილების მოცილების შემდეგ, მეორე – ყვავილობის დასაწყისში, მესამე – ყვავილობაში, მეოთხე კი ყვავილობის დასრულებისას. თუ წვიმის ნალექი 10 მმ ან მეტია, ის ჩამორეცხავს დამცავ ფუნგიციდებს და საჭირო იქნება უმოკლეს დროში ხელახალი შესხურება.

ბოტრიცისის კონტროლისთვის რეკომენდებული ფუნგიციდებია: pyraclostrobin (Cabrio), captan (Captan), captan + fenhexamid (Captevate), fenhexamid (Elevate), pyraclostrobin + boscalid (Pristine), iprodione (Rovral), pyrimethanil + propanediol (Scala), cyprodinil + fludioxinil (Switch), thiram (Thiram), difenoconazole + cyprodinil (Inspire Super) და thiophanate-methyl (Topsin M). ფუნგიციდებისადმი რეზისტენტობის განვითარების პრევენციისთვის ერთ სეზონზე ერთი და იგივე ფუნგიციდით დამუშავება არ უნდა მოხდეს ოთხ ან ხუთზე მეტჯერ და ერთმანეთის მიყოლებით არ უნდა ჩატარდეს ორჯერ შესხურება ერთი და იგივე პრეპარატით. სათბურებში მარწყვის მოყვანა მნიშვნელოვნად ამცირებს ბოტრიცისის სიხშირეს და ინტენსივობას.

შავი სიდამპლე (*Rhizopus stolonifer*)

შავი სიდამპლე, ძირითადად, მოსავლის აღების შემდგომი დაავადებაა, თუმცა შეიძლება შეგვხვდეს ნაკვეთზე, მწიფე ნაყოფში. ინფექციის თავდაპირველი სიმპტომები ჩნდება ნაყოფზე წერტილების სახით, რომლებიც თანდათანობით ღია ყავისფერი ხდება. ინფიცირებული ქსოვილის უბნები სწრაფად რბილდება და ლპება, რასაც მოსდევს წვენის გამოჟონვა. ტენიან პირობებში ნაყოფი სწრაფად იფარება თეთრი სოკოვანი ნაზარდის მჭიდრო, ბამბისებრი გარსით. ეს ნაზარდი შემდეგ იღებს მოლურჯო-მოშავო შეფერილობას, როდესაც სოკოს სპორები ჩამოყალიბდება თეთრ მიცელიუმზე (სურათი 82). დაავადების განვითარებას ხელს უწყობს მაღალი ტემპერატურა და ტენიანი პირობები.

სურათი 82. Rhizopus შავი სიდამპლით ძლიერ ინფიცირებული მარწყვის ნაყოფი.

კონტროლის ღონისძიებებია ნიადაგის მულჩის გამოყენება, ნაკვეთის კარგი სანიტარიული დამუშავება, ასევე, ლპობადი ფოთლების და გადამწიფებული ნაყოფის გამოტანა, მოსავლის აღებამდე ფუნგიციდებით დამუშავება, ქსოვილების დაზიანების თავიდან აცილება, მოსავლის აღებიდან ,რაც შეიძლება მალე, ნაყოფის 0°C-ზე გაციება და ცივად შენახვის ჯაჭვის შენარჩუნება ტრანსპორტირებისა და გასაღების პერიოდში. Rhizopus fruit rot-ის კონტროლისთვის მოსავლის აღებამდე რეკომენდებული ფუნგიციდებია: captan (Captan), pyraclostrobin + boscalid (Pristine) და cyprodinil + fludioxinil (Switch).

ქვემოთ წარმოდგენილია სხვადასხვა რეკომენდებული ფუნგიციდის ეფექტურობა მარწყვის დაავადებების კონტროლისთვის.

მარწყვის დაავადებების კონტროლისთვის გამოყენებული ფუნგიციდების ეფექტურობა						
Fungicide	**დაავადება**					
ზოგადი სახელწოდება	ფოთლის ლაქიანობა	ბაქტერიული სიდამწვრე	ნაცარი	ანთრაქნოზი	ფიტოფტორა	ნაცრისფერი სიდამპლე
penthiopyrad			დიახ			დიახ
pyraclostrobin + boscalid	დიახ	დიახ	დიახ	დიახ		დიახ
iprodione	დიახ	დიახ		დიახ		
cyprodinil + fludioxinil			დიახ	დიახ		დიახ
cyflufenamid			დიახ			
azoxystrobin + difenoconazole	დიახ	დიახ	დიახ	დიახ		დიახ
azoxystrobin + propiconazole	დიახ	დიახ	დიახ	დიახ		დიახ
propiconazole	დიახ	დიახ	დიახ	დიახ		
iprodione	დიახ	დიახ				დიახ
thiophanate-methyl	დიახ	დიახ	დიახ			დიახ
azoxystrobin			დიახ	დიახ		
pyraclostrobin	დიახ	დიახ	დიახ	დიახ		
fenhexamid						დიახ
pyrimethanil + propanediol						დიახ
trifloxystrobin			დიახ			დიახ
triflumizole			დიახ			
quinoxyfen			დიახ			
myclobutanil	დიახ	დიახ	დიახ	დიახ		
metconazole			დიახ			
difenoconazole + cyproninil	დიახ	დიახ	დიახ	დიახ		დიახ
captan + fenhexamid	დიახ	დიახ				დიახ
captan	დიახ	დიახ				დიახ
fosetyl-Al					დიახ	
mefenoxam					დიახ	

მოსავლის აღება

მარწყვის მოსავლის აღება უნდა დაიწყოს დილით ადრე, ნაყოფის ზედაპირის გაშრობის შემდეგ. არასასურველია მარწყვის დღის მეორე ნახევარში დაკრეფა. ნაყოფის უფრო მაღალი ტემპერატურა ნაყოფს უფრო დაუცველს გახდის დაზიანებისგან. ამას გარდა, ნაყოფის უფრო მაღალი ტემპერატურისას საჭირო იქნება გასაგრილებლად მეტი ენერგია და სიმძლავრე ნაყოფიდან სითბოს გამოსატანად. მარწყვი არ უნდა დაიკრიფოს, როდესაც ნაყოფი სველია. ეს გამოიწვევს ნაცრისფერი სიდამპლის განვითარების უფრო დიდ ალბათობას. შედარებით გრილ რეგიონებში, როგორიცაა შიდა ქართლი, მარწყვი უნდა დაიკრეფოს ყოველ მეორე დღეს. თუმცა, სამეგრელოს რეგიონში შეიძლება აუცილებელი იყოს ყოველდღიურად დაკრეფა შედარებით თბილ თვეებში – აპრილიდან ივნისის ჩათვლით.

მოსავლის სიმწიფის სტადია

მარწყვის საკრეფი სიმწიფის დადგენის საუკეთესო მაჩვენებლებია ზედაპირის ფერი და ნაყოფის სიმკვრივე. მარწყვი უნდა დაიკრიფოს, როდესაც ნაყოფის ზედაპირი მთლიანად წითელია, თუმცა წითლად შეფერვის ტონი შეიძლება განსხვავებული იყოს ჯიშების მიხედვით (სურათი 83). მარწყვის ყველა ჯიში ოპტიმალურ არომატს და სიტკბოს აღწევს მაშინ, როდესაც მოკრეფამდე მთლიანად დამწიფებულია.

სურათი 83. ერთგვაროვანი, მთლიანად წითელი ფერის მარწყვი კრეფისთვის ოპტიმალური სიმწიფის მაჩვენებელია.

არ შეიძლება დაკრეფამდე ნაყოფის გადამწიფება. გადამწიფებული ნაყოფი იოლად იჭყლიტება, სწრაფად ფუჭდება და ვერ გაუძლებს დიდ მანძილზე ტრანსპორტირებას. დანიშნულების ბაზარზე ჩასვლისთანავე გადამწიფებული ნაყოფი რბილია, წვეთავს და შენახვის ხანმოკლე ვადა აქვს. ამას გარდა, ზოგიერთი გადამწიფებული ხილი შეიძლება დაჭიანდეს.

მეორე მხრივ, ასევე, არასასურველია დაუმწიფებელი ნაყოფის დაკრეფა. დაუმწიფებელ ხილს აქვს თეთრი რბილობი ყუნწის მიმდებარე უბანზე, სუსტი არომატი და ნაკლები გემო შაქრის დაბალი შემცველობის გამო (სურათი 84). შაქრის შემცველობა და სიტკბო არ იზრდება მარწყვის მოსავლის აღების შემდეგ, ვინაიდან იგი მიეკუთვნება არაკლიმაქტერული ხილის კატეგორიას, უგემური ან სიტკბოს არმქონე კენკრა არ ისარგებლებს მოთხოვნით არც შიდა, არც საექსპორტო ბაზარზე.

სურათი 84. მკვახე მარწყვს აღენიშნება გამოკვეთილი თეთრი უბნები.

მარწყვის ნაყოფი ძალიან ფაქიზი და მგრძნობიარეა დაჭყლეტისადმი. საჭიროა მათი უდიდესი სიფრთხილით მოკრეფა. მოსავლის აღებისას შეიძლება დიდი რაოდენობით დაზიანებები ნაყოფის მოწყვეტისას, თუ მკრეფავს უკავია რამდენიმე ნაყოფი ერთ ხელში დასაკრეფ კონტეინერში ჩაწყობამდე. მარწყვი უნდა დაიკრიფოს ჯამის მოცილების გარეშე, მსუბუქად მოქაჩვით ცერა და ორი თითით, შემდეგ კი უნდა მოტრიალდეს და მოიწყვიტოს (სურათი 85).

ზოგიერთ ბაზრებზე უპირატესობას ანიჭებენ ნაყოფს ყუნწის გარეშე, სხვაგან კი – ნაყოფზე ყუნწის ნაწილით. ისინი იკრიფება ნაყოფის მოქცევით საჩვენებელ და შუა თითს შორის, შემდეგ კი ცერა თითსა და საჩვენებელს შორის ყუნწი მოწყდება, დაახლოებით, 1 სმ-ზე ჯამის ზემოთ. რბილნაყოფიანი მარწყვის ჯიშები ასე უნდა დაიკრიფოს: თითები ნაკლებად უნდა ეხებოდეს ნაყოფის რბილობს, კრეფა ხდება, ძირითადად, ყუნწის ზემოთა ადგილიდან.

სურათი 85. ხილს კრეფენ ფრთხილად, ცერა თითით და ორი თითით.

საჭიროა ხილთან დიდი სიფრთხილე, რომ ნაყოფი არ დაიჭყლიტოს; წინააღმდეგ შემთხვევაში მარწყვი გაუფერულდება, შეიძლება დაზიანებული უბნიდან სითხემაც გამოჟონოს. ამ სითხეებში მაღალია ხსნადი შაქრის შემცველობა, რაც წარმოადგენს სუბსტრატს ნაცრისფერი სიდამპლის განვითარებისთვის. ნაყოფი ფრთხილად უნდა ჩაიწყოს კონტეინერში. ურიკაზე უნდა იყოს ცალ-ცალკე კონტეინერები ნაკვეთზე დაკრეფილი ნაყოფის ხარისხის მიხედვით ჩასაწყობად.

ნაკვეთზე დახარისხება და დაფასოება

საჭიროა მკრეფავების სათანადოდ მომზადება, რათა მათ მოსავლის აღებისას ნაყოფი დააფასოონ სარეალიზაციოდ განკუთვნილ კონტეინერში. ეს მაღალხარისხოვანი პროდუქციის მისაღებად მნიშვნელოვანია. გასაყიდად განკუთვნილ კონტეინერებში მხოლოდ მკვრივი, მწიფე ნაყოფი უნდა ჩაიწყოს. მკრეფავებმა არასოდეს უნდა ჩააწყონ გასაყიდად განკუთვნილ კონტეინერებში გადამწიფებული, დაუმწიფებელი, დაავადებული ან მწერების მიერ დაზიანებული ნაყოფი. მოსავლის აღებისას გასაყიდად განკუთვნილ კონტეინერებში ჩაწყობილი ხილის დამატებითი შეხება გასაღების წერტილამდე აღარ მოხდება, რითაც შემცირდება დაჭყლეტის რისკი (სურათი 86).

სურათი 86. ხილისნაკვეთში შერჩევა და პირდაპირ გასაყიდად განკუთვნილ კონტეინერებში ჩაწყობა.

თუ ნაკვეთზე ხილს დაახარისხებს სათანადოდ მომზადებული მკრეფავთა ბრიგადა, აღარ გახდება საჭირო ნაყოფის გადარჩევა (და ორჯერ შეხება) დასაფასოებელ წერტილში. მკრეფავთა მონიტორინგი და გულდასმითი ზედამხედველობა ნაკვეთზე მნიშვნელოვანი იქნება ოპერაციის წარმატებისთვის და ხარისხიანი მარწყვის მისაღებად. მკრეფავები შეიძლება განსხვავდებოდნენ მიდგომით, ზოგიერთ მუშაკს შეიძლება პერიოდულად დასჭირდეს შეხსენება, უფრო ფრთხილად მოეპყრას ხილს. მკრეფავებმა უნდა გამოიჩინონ სიფრთხილე, რათა არ დაჭყლიტონ მარწყვი და ფრთხილად უნდა ჩააწყონ გასაყიდ კონტეინერში. კონტეინერში ჩაწყობილი მარწყვის სასაქონლო სახე ბაზარზე მოთხოვნის განმაპირობებელი ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტორია.

მნიშვნელოვანია ნაკვეთის სანიტარიული მდგომარეობის შენარჩუნება

მთელი მოსავლის სეზონის განმავლობაში გასაყიდად ვარგისი ხარისხიანი ნაყოფის დიდი მოცულობის შესანარჩუნებლად მნიშვნელოვანია ნაკვეთის სათანადო სანიტარიული დამუშავება. აუცილებელია ნაკვეთიდან მოსცილდეს დაზიანებული, დეფექტიანი, გადამწიფებული ან გაფუჭებული ნაყოფი, ურიკის ცალკე კონტეინერში მოთავსებით. დაბალხარისხოვანი ნაყოფი შეიძლება გადაირჩეს დასაფასოებელ ობიექტზე, რათა განისაზღვროს, თუ რომელი კენკრა წავიდეს გადასამუშავებლად ნებისმიერ შემთხვევაში. ნაკვეთზე არ უნდა დარჩეს და რიგებს შორის არ უნდა დაიყაროს დაავადებული ან დაზიანებული ნაყოფი. ეს შექმნის ინფექციის წყაროს მწიფობაში შესული ჯანსაღი ნაყოფისთვის.

სურათი 87. საკრეფი ურიკა აუმჯობესებს მოსავლის აღების ეფექტიანობას.

ურიკის გამოყენება

დაკრეფის პროცესის ხელშესაწყობად ნაკვეთზე უნდა გამოიყენოთ საკრეფი ურიკები; ეს ხელს შეუწყობს მოსავლის აღების ეფექტიანობას (სურათი 87). ურიკა უნდა მოთავსდეს მკრეფავის წინ და მასზე უნდა ეტეოდეს რამდენიმე მუყაოს ყუთი, ასევე, უნდა იყოს ადგილი გასაყიდად გამოუსადეგარი ნაყოფისთვის. ურიკა 2-ფეხიანია და აქვს წინა ბორბალი, რაც ამარტივებს მოძრაობას რიგთაშორის. ურიკაში მარწყვის კონტეინერები დალაგებულია მყარად, ჰორიზონტალურ მდგომარეობაში; ეს გამორიცხავს ნაყოფის მოძრაობას. დასაკრეფი ურიკის გამოყენებით მკრეფავს შეუძლია მოსავლის აღებისას ორივე ხელი გამოიყენოს.

უმჯობესდება მუშათა ეფექტიანობა, მცირდება ნაყოფის დაჭყლეტის რისკი და დანიშნულების ბაზარს მიეწოდება უკეთესი ხარისხის ხილი. ეს განსხვავდება ნაყოფის ერთი ხელით კრეფის არაეფექტიანი მეთოდისგან, როდესაც მკრეფავს ყუთი უჭირავს მეორე ხელში (სურათი 88). საკრეფი ურიკების დამზადება იოლია და არ არის ძვირადღირებული, თუ გავითვალისწინებთ ქვეყანაში არსებულ რესურსებს.

მუყაოს ყუთების მიტანა შეგროვების პუნქტში

თითოეული კონტეინერის გავსების შემდეგ მუყაოს ყუთები უნდა გადაიტანოთ ნაკვეთზე მოწყობილ გადახურულ ადგილზე, სადაც ხდება მათი შეგროვება ახლომდებარე საცავ-მაცივარში გადასაზიდად. ნაკვეთზე მოწყობილი შემგროვებელი პუნქტი შეიძლება, ასევე, წარმოადგენდეს საბოლოო დახარისხების და შემოწმების პუნქტს, სადაც მუშები თითოეული კონტეინერს ათვალიერებენ. საჭიროების შემთხვევაში, შეიძლება ზოგიერთ კონტეინერში ნაყოფი შეიცვალოს მაღალხარისხოვანი ხილით. თუმცა, თუ მკრეფავები სათანადოდ არიან მომზადებული გასაყიდად დაფასოებაში, ნაყოფის შეცვლის შემთხვევები მინიმალური იქნება. ამის მიუხედავად, ზოგჯერ აუცილებელი გახდება გადაფასოება. მუყაოს ყუთები უნდა მოთავსდეს ჩრდილში და ქარით გამოწვეული გამოშრობისგან დაცულ ადგილას. უნდა შემუშავდეს მკრეფავებისგან მუყაოს ყუთების შეგროვების ეფექტიანი სისტემა და ყუთები სწრაფად უნდა გაიგზავნოს საცავ-მაცივარში (სურათი 89).

სურათი 88. ნაყოფის ხელით კრეფის არაეფექტური მეთოდი, რომლის დროსაც ხილს კრეფენ ერთი ხელით, მუყაოს ყუთი კი მეორე ხელში უჭირავთ.

სურათი 89. ნაკვეთზე დაკრეფილი მარწყვის შეგროვება დასაფასოებელ პუნქტში წაღებამდე.

ნაკვეთის მოვლა მოსავლის აღების შემდეგ

მარწყვის მოყვანის წარმატებისთვის აუცილებელი წინაპირობაა ბაზარზე მაღალხარისხოვანი ნაყოფის თანმიმდევრულად მიწოდება. მარწყვი ერთ-ერთი ყველაზე მალფუჭებადი ნაყოფია და საჭიროა მისი მოსავლის აღებისთანავე გაგრილება, რაც ხელს უწყობს შენახვის ვადის გაზრდასა და ნაყოფის ხარისხის შენარჩუნებას. საჭიროა 0-1°C-ზე ცივად შენახვის ჯაჭვის შენარჩუნება რეალიზაციამდე და გასაღებამდე. ფაქტობრივად, საქართველოში წვრილი ფერმერების

მიერ წარმოებული მარწყვი, რომელიც ადგილობრივ ბაზარზე იყიდება დაკრეფის შემდეგ, არ გრილდება, რაც მნიშვნელოვნად აუარესებს ნაყოფის ხარისხს და ასევე, იწვევს ვარგისიანობის ვადის შემცირებას. ნაყოფის ხარისხის გასაუმჯობესებლად და შენახვისუნარიანობის პერიოდის გასახანგრძლივებლად აუცილებელია ჰაერით ფორსირებული გაგრილების სისტემისა და საცავ-მაცივრების უზრუნველსაყოფად ინვესტიციის გაღება. ყურადღება უნდა მიექცეს მოსავლის აღების შემდგომ ტემპერატურის მართვის და ცივად შენახვის ჯაჭვის შენარჩუნების ყველა დეტალს ბაზარზე ტრანსპორტირებისა და გავრცელების პროცესში. მოსავლის აღების შემდეგ ტემპერატურის მართვა ერთადერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორია, რომელიც გავლენას ახდენს მარწყვის ხარისხსა და ვარგისიანობაზე. ახალმოკრეფილი მარწყვის მაქსიმალური შენახვის ვადა მოსავლის აღების შემდეგ მხოლოდ 7-დან 10 დღემდეა 0-1°C პირობებში.

გაგრილების პროცესი უნდა დაიწყოს მოსავლის აღებიდან, რაც შეიძლება მალე. მოსავლის აღებასა და გაგრილების დაწყებას შორის დროის ინტერვალი არ უნდა აღემატებოდეს რამდენიმე საათს. დასაფასოებელი პუნქტი ისე უნდა მოეწყოს, რომ შესაძლებელი იყოს ნაკვეთიდან შემოტანილი პროდუქციის დაუბრკოლებელი და სწრაფი მოძრაობა დასაფასოებელი პუნქტიდან საცავ-მაცივარში და საცავ-მაცივრიდან შესანახ პუნქტში 0-დან 1°C-მდე.

Strawberry Production Manual

New Economic Opportunities Initiative (NEO)

Introduction

The strawberry (*Fragaria virginiana*) is potentially one of the highest-valued fruit crops which can be produced in Georgia. Strawberry production is well-suited to the soils and agro-climatic conditions throughout the country. The harvest season can be extended for much of the year, using a combination of appropriate cultivars, different growing regions, and protected structures (high tunnels). Long-term sustainability of the industry will require continuous improvements in production technology and postharvest care, coupled with planting new and improved cultivars. Strong market opportunities exist both domestically and internationally for those producers who can provide consistent supplies of high quality strawberries.

The purpose of this manual is to provide comprehensive technical information on all aspects of production of strawberries.

Site Selection

Some basic factors must be considered in selecting the strawberry planting site. These include soil type and fertility, pH, drainage, wind protection, sunlight, water availability, and previously planted crops. The strawberry planting site should have full exposure to sunlight. Strawberries should not be planted next to tree lines or buildings that give shade. Sites for planting strawberries should be in areas with adequate air drainage. Fields with low depressions should be avoided, since they are subject to frost damage from the settling of denser cold air.

Soils previously planted to Solanaceous crops (tomato, potato, pepper, eggplant) or strawberries should be avoided. These soils may contain the Verticillium wilt fungus, a disease organism that can survive in the soil for many years and one which strawberries are very susceptible to. If these sites must be used for planting strawberries, soil fumigation is highly recommended. Sites which were previously in pasture should also be avoided. These soils typically contain large numbers of white grubworms, mostly from the *Cyclocephala* and *Phyllophaga* genera, which feed heavily on strawberry roots. Also, perennial weeds are frequently a problem in sites that previously were in pasture. Planting of strawberries on these sites should be delayed for at least 1 year after removal of the pasture to reduce white grubworm populations and to achieve control of perennial weeds.

<u>Soil Testing</u>

Analyses of the soil in the site intended for strawberry production should be made well in advance of planting. The soil analyses should include measurements of pH, % organic matter, salinity, macro-element and micro-element content, and nematode population. The soil should be analyzed in random locations throughout the future strawberry planting site during the year prior to planting (Figure 1). It is always easier to correct soil problems before planting than after plant establishment. A minimum of 5 soil samples per hectare are recommended. The soil samples

should be taken from the upper 15 cm of soil, which comprises nearly 90 % of the strawberry plant root zone.

